პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58, ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. საძვლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 27 ნოემბერი 1927წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 269 (2014)

## დღიური

- ტუსაღთა ამბოხება ამერიკის ციხეებში.
- ინდოეთის საკითხის გარჩევა თემთა პალატაში.
- პარიზის სასამართლოს განკარგულება გაზ. „ჰუმანიტე"-ს რედაქტორის ამხ. გეის დაპატიმრების შესახებ.
- მოსკოვში გამოემგზავრა ოსმალეთის ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში თევფიკ-ბეი.
- მღელვარე სცენა ლატვიის პარლამენტში.
- ავსტრიის სოციალ-დემოკრატ რენნერის სიტყვა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ.

კომუნისტი

მიიღება ხელის მოწერა
დეკემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

# პრაქტიკული მუშაობისაკენ

ლენინის პარტიის მე-15 ყრილობა, რომელიც ერთი კვირის შემდეგ შეიკრიბება იქნება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ყრილობა. არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ყრილობა ავტორიტეტულად გაიმეორებს ლენინის სიტყვებს: „კმარა, ოპოზიციას ბოლო უნდა მოეღოს". და გააკეთებს სათანადო დასკვნებს აქედან. მაგრამ ამასთან დაკავშირებით, ყრილობამ უნდა შემოაბრუნოს (ამაშია მისი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა) პარტიის და მუშათა კლასის ყურადღება ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობისაკენ სოციალიზმის ასაშენებლად, შემოაბრუნოს უფრო მტკიცედ, ვიდრე აქამდე იყო. რომ ყრილობას ასეთი ხასიათი ექნება, ამის თავდებია ყველა პარტიული კონფერენციები, რომელნიც ეხლა მიმდინარეობენ ყრილობის წინ მთელ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ მოსკოვის პარტკონფერენცია. მთელ პარტიას მოსწყინდა მყვირალა ოპოზიციონური ფრაზების მოსმენა. მუშებზე უკვე აღარ მოქმედებს „სენსაციები" პარტიის „გადაგვარების", „ტერმიდორის", „კლემანსოს" შესახებ. ყველა ამათ უკვე დაჰკარგეს „პილპილ ნარევი საჭმელის" სიცხარე, უგემური გახდენ და ყველას მოუყიდა. პარტია და მუშათა კლასი სავსებით დარწმუნდნენ, რომ ოპოზიცია უნაყოფოა მათთვის და სასარგებლოა პროლეტარიატის მტრებისათვის. პარტიასა და მუშათა კლასს უკვე აღარ უნდათ შეალიონ თავისი ძალები ოპოზიციასთან ბრძოლას; მათში გათკეცდა წყურვილი, რომ დაუბრკოლებლად აწარმოონ პრაქტიკული მუშაობა სოციალიზმის პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად.

თუ კი რამე ყველაზე უფრო ნათლად ამტკიცებს ჩვენი რევოლიუციის საერთაშორისო მნიშვნელობას, ეს არის სწორედ საბჭოთა კავშირის ის ყოველდღიური წარმატებანი, რომელნიც ენტუზიაზმს იწვევენ დანარჩენ ქვეყნების მუშების გულში. დასავლეთის ქვეყნების პროლეტარები, რომელნიც მოდიან ჩვენში და ხედავენ, თუ როგორ ხორციელდება სოციალიზმი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში; თავიანთ ბურჟუაზიულ „სამშობლოში" ბრუნდებიან ახალი რწმენით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისადმი, ახალი ძალებით და გადაწყვეტილებით — იბრძოლონ ბოლომდე კაპიტალისტური წყობილების დასამხობათ. პირველი გმირული ეპოქა სამოქალაქო ომებისა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად—ეხლა ჩვენ მიერ უკვე განვლილია. ეხლა მუშები, გლეხები და მშრომელი მასსები ჩვენში იჩენენ ისეთივე გმირობას, და ეს არის გმირობა შრომისა იქ,—„ადგილებზე",—წარმოებებში, სოფლებში, ყაზარმებში, კოოპერატივებში და ყველგან, სადაც მიწის წიაღიდან ფეთქს ახალი სიცოცხლის ახალი ყოფა-ცხოვრების ყლორტები.

ისეთ უდიდეს ამოცანასაც კი, როგორიც არის ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გადიდება, ჩვენ ვატარებთ უმთავრესად წითელი არმიის ყოველდღიურ მშენებლობით, მისთვის დახმარების გაწევით, სამხედრო მომზადებით და მთელი სახალხო მეურნეობის დონის ამაღლებით.

სოციალიზმის „ყოველდღიური" მშენებლობის პერიოდის ძირითადი თავისებურება იმაშია, რომ ამ პერიოდის ამოცანები არ შეიძლება გადაწყდეს არამც თუ ერთი მუჭა „გმირების", არც თვით პარტიის, თუმც მრავალრიცხოვანი პარტიის, ღონისძიებებით, არამედ ეს ამოცანები არ შეიძლება გადაწყდეს არც მუშებისა და მშრომელთა „უმრავლესობის" მონაწილეობით: ეს ამოცანები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მთელი მშრომელთა მასის მონაწილეობით. ჩვენ სოციალიზმის მშენებლობაში უნდა ჩავაბათ მუშების ღარიბი და საშუალო გლეხების, მოზარდების, ახალგაზრდების, ქალების და პიონერების მთელი მასები. მთელმა მშრომელმა მასსამ აქტიურად მხარი უნდა დაუჭიროს ჩვენს პარტიას სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ამ მხარის დაჭერის, მშრომელთა მასსების ამ დახმარების მოპოება არის საბჭოთა კავშირისთვის ამჟამად დამდგარი პერიოდის ისტორიული ამოცანა.

ის ახალი, რაც ამასთან დაკავშირებით ამჟამად არის წამოყენებული, როგორც მორიგი ამოცანა, არის კულტურული რევოლიუციის გატარება მასსებში. ჩვენ უნდა ავამაღლოთ შრომის კვალიფიკაცია, მივაღწიოთ წერა-კითხვის საყოველთაო მცოდნეობას და მშრომელთა დასვენების კულტურულად მოწყობას, გავატაროთ სამუშაო დღის შემდგომი შემცირება, ჩვენ უნდა დავსძლიოთ ბიუროკრატიზმი, ლოთობა და აღვირახსნილობა ყოფა-ცხოვრებაში. ჩვენ უნდა შევქმნათ მუშათა ინტელიგენციის ახალი კადრები, აღვზარდოთ ისინი მარქსის და ლენინის თეორიის მიხედვით, მივსცეთ მათ სათანადო ტეხნიკური ცოდნა და სხვა. ჩვენს წინაშე ისეთი უდიდესი კულტურული გადატრიალების ამოცანა სდგას, რომელიც გაგრძელდება მრავალ წელიწადს და რომელიც ყოველ ჩვენგანს შეეხება. სასაცილო იქნებოდა ამ „საკულტურო" ამოცანების ქადაგება მაშინ, როცა ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია იდგა. ეხლა, როცა უკვე გავლილია პროლეტარიატის დიქტატურის ათი წელი, ყოველი მუშის და კომუნისტის მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ქვეყნის კულტურულ დაწინაურებაში. კულტურული რევოლიუცია ეხლა ხდება იმ რგოლათ, რომელსაც ხელი უნდა ჩავკიდოთ, რომ თანდათანობით ამოვათრიოთ სოციალიზმის მთლიანი ჯაჭვი.

მასსების კულტურიოსნობის ამაღლებამ უნდა განამტკიცოს სოციალიზმის სამეურნეო მიღწევები და გახდეს მათ საფუძვლად შემდეგისათვის.

1918 წელში ლენინმა გადმოისროლა ლოზუნგი: „ნაკლები პოლიტიკა, უფრო მეტი ეკონომიკა". ეკონომიკის საკითხები უნდა დარჩეს ცენტრად. რომლის გარშემო უნდა ტრიალებდეს მთელი ჩვენი პრაქტიკული საქმიანობა. სოციალისტური ეკონომიკის აგება ნიშნავს სოციალიზმის აშენებას. მსხვილი სოციალისტური მრეწველობა ჩვენ უნდა გავხადოთ მშრომელთა საყოველთაო ყურადღების ნამდვილ ცენტრად. პარტიისა და მუშათა კლასის ყურადღება უნდა შევაჩეროთ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და კაპიტალური ხარჯების გადიდება. ასევე უნდა მოვექცეთ მრეწველობის სასოფლო მეურნეობამდე მიმყვან ქსელის მიმართ: თვალყური უნდა ვადევნოთ საქონლის გამტარებელ ქსელს სასოფლო კოოპერაციაში, როგორც სამომხმარებლოში, ისე საწარმოოში. განსაკუთრებით თვალყური უნდა ვადევნოთ იმ ახალ ფორმებს, რომელიც წამოყენებული და გამართლებულია უკანასკნელი წლების პრაქტიკით, როგორიც არის, მაგალითად, ხელშეკრულების საფუძველზე აგებული ურთიერთობა სამრეწველო წარმოებებსა და საგლეხო კოოპერატივებს შორის—მრეწველობისათვის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, ხოლო სოფლისათვის სამრეწველო პროდუქციების მიწოდების შესახებ. მშრომელთა მასსების მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს წინანდებურად უნდა ეჭიროთ განსაკუთრებული ადგილი ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაში. უფრო ნაკლები ყურადღება „პლატფორმებს", უფრო მეტი შესწავლა ჩვენი პრაქტიკული რესურსების, შესაძლებლობის და პარტიის დირექტივების. ის გადაწყვეტილებანი სამეურნეო საკითხების შესახებ, რომლიც ცენტრალურმა კომიტეტმა თეზისებათ ჩამოაყალიბა და მე-15 ყრილობას დასამტკიცებლად უდგენს, პირდაპირ ტანჯვითა და წამებით არის დამუშავებული პარტიის მიერ, ვინაიდან თვითეული თეზისი დაცულია პარტიის მიერ ოპოზიციასთან ბრძოლაში შემოწმებული და დამტკიცებული პარტიული მასებისაგან. ასეთი მდგომარეობის დროს პარტიის შეჩერება ოპოზიციონური „პლატფორმების". განხილვაზე, — ეს იქნებოდა ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა, პარტია კი უნდა წავიდეს წინ და წავა კიდეც.

ჩვენს შინაურ პრაქტიკაში წინანდებურად თვალყურს ვადევნებთ მუშათა კლასის დამოკიდებულებას გლეხობასთან, ძალთა ურთიერთობას გლეხობის შიგნით, დავეხმარებით ღარიბ გლეხობას საშუალო შეძლების გლეხობასთან კავშირის განმტკიცებაში, დავაწვებით კულაკს, გავდევნით კაპიტალიზმს ქალაქშიც ვაჭრობის სფეროდან. ჩვენს წინაშე სდგას ჩვენ მიერ სოფლის ხელმძღვანელების გაუმჯობესების დიდი ამოცანა. ჩვენ უფრო უკეთ, დაწვრილებით უნდა შევისწავლოთ სოფელი, გავაძლიეროთ ჩვენი ყურადღება გლეხობის მოთხოვნილებისა და საჭიროებისადმი. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ პარტიის მუშაობა მუშათა მასაში. ჩვენ უფრო უნდა განვავითაროთ და გავაღრმავოდ პროლეტარული დემოკრატია საბჭოებში, პროფკავშირებში და პარტიაში, ავამაღლოთ აქტივობა და გავაღვიძოთ მასსების ინიციატივა.

ჩვენს წინაში აუარებელი სამუშაოა. ამიტომ მე-15 ყრილობა, რომელიც განიხილავს და დასკვნებს გაუკეთებს ოპოზიციონურ გამთიშველობის შედეგებს, რომელმაც ფრთები შეასხა და გააცოცხლა საბჭოთა ხელისუფლების ძველი მტრების აქტივობა,—მე-15 ყრილობა სრული საფუძვლითა და უფლებით დაუსვამს წერტილს ოპოზიციის მუშაობას და მას იძულებულს გახდის აირჩიოს: ან იარაღის სრული დაყრა პარტიის წინაშე, ან პარტიისა და პროლეტარიატის რიგებიდან გასვლა. ჩვენს წინაშე სდგას უდიდესი გადაუწყვეტელი პრაქტიკული ამოცანები. სოციალიზმის გზაზე ჩვენ წინ გვეღობება მრავალი დაბრკოლებები... ამიტომ ლენინის პარტია მე-15 ყრილობაზე მოგვცემს ლოზუნგს: მეტი ყურადღება მასსებს, მასსებში მუშაობას, მეტი ხელმძღვანელობა მასსებზე, მასსების პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების უფრო მეტი შესწავლა, ოპოზიციის სრული ლიკვიდაცია, „კმარა, შორს ოპოზიცია".

ახალი ცხოვრების ასაგებად წარმოებულ ყოველდღიური მუშაობის გაძლიერებით პარტიის და მუშათა კლასის ყურადღება შემოვაბრუნოთ უფრო მტკიცედ, ვიდრე აქამდე.— სოციალიზმის დიდ ყოველდღიურ მუშაობისაკენ, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო დღესასწაულს საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის მსვლელობაში.

„პრავდა" 26 ნოემბერი.

## საბჭოთა კავშირის ნოტა პოლონეთისადმი
## ამხ. ლიტვინოვის და შტრეზემანის შეხვედრა
## იტალიის პრესა იტალია-ალბანეთის ხელშეკრულების შესახებ
## ნანკინის მთავრობის ახალი დეკლარაცია

## საბჭოთა მთავრობის ნოტა პოლონეთს

**მოსკოვი, 26 ნოემბერი.** საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პოლონეთში ამხ. ბოგომოლოვმა 24 ნოემბერს პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრ ზალესკის ჩააბარა ნოტა. ნოტაში ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი: საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების მთავრობას აფიქრებს ის გამწვავებული მდგომარეობა, რომელიც შექმნა უკანასკნელ დროს პოლონეთსა და ლიტვას შორის და, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობიანობისათვის. საკავშირო მთავრობას არ შეუძლია გულგრილად უცქიროს იმ კონფლიქტის განვითარებას, რომელსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს უაღრესად სერიოზული გართულებანი და რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ახალი სისხლის ღვრა და მთელი ევროპის მრავალმილიონ მშრომელთა ახალი ტანჯვა. არ შედის რა იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც წარმოადგენენ დავის საგანს პოლონეთსა და ლიტვას შორის, საკავშირო მთავრობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ მშვიდობიანობის დაცვა ბევრად უფრო დამოკიდებულია პოლონეთზე, ვიდრე ლიტვაზე, რამდენადაც უკანასკნელი, თავის რესურსების მიხედვით, არ შეიძლება დაინტერესებული იყოს იმაში, რომ თავისი პრეტენზიების გადაჭრა მოინდომოს შეიარაღებული კონფლიქტით პოლონეთთან. თავის მხრივ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ აგრეთვე არ დააყოვნა მეგობრულად მიექცია ლიტვის მთავრობის ყურადღება იმის საჭიროებაზე, რომ აცილებულ იქნას ყოველი ისეთი ნაბიჯი, რომელსაც შეეძლება გაამწვავოს ისედაც გამწვავებული მდგომარეობა. რამდენად დიდიც არ უნდა იყოს უთანხმოება პოლონეთისა და ლიტვის მოთხოვნილებებს შორის, საკავშირო მთავრობა ღრმად არის დარწმუნებული, რომ ამ სახელმწიფოებს შორის არსებულ ყველა დავის გადაჭრა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით. ამავე დროს კი კონფლიქტი ორივე სახელმწიფოს შორის სულ უფრო და უფრო მწვავდება. ცნობები შეიარაღებულ შეტაკების შესაძლებლობის შესახებ სულ თანდათან აფიქრებს ყველა ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს, კერძოდ საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ აზრს, რომელსაც განსაკუთრებით აფიქრებს ის გარემოება, რომ პოლონეთის სერიოზულ პრესაში ავტორიტეტულად არ იქნა გაბათილებული ცნობა იმის შესახებ, თითქოს პოლონეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება „რადიკალურად გადასჭრას პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობათა კვანძი". არ შედის რა ყველა დამაფიქრებელ ცნობების შეფასებაში, რომლებიც ადასტურებენ ამ შიშს, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის—პოლონეთისა და ლიტვის უახლოეს მეზობლის—მთავრობა, უაღრესად დაინტერესებული მშვიდობიანობის დაცვით აღმოსავლეთ ევროპაში, იძულებულია მთელი სერიოზულობით მიაქციოს პოლონეთის მთავრობის ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ პოლონეთის ევენტუალური (შესაძლებელი) თავდასხმა ლიტვის დამოუკიდებლობაზე, რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს ეს, წარმოადგენს განუზომელ საშიშროებას. საკავშირო მთავრობა გამოსთქვამს რწმენას, რომ პოლონეთის მთავრობა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინად დეკლარატიულად და ესოდენ საზეიმო ფორმით გააკეთა განცხადება თავის მშვიდობიანობის მოყვარეობის შესახებ, ნამდვილად შესძლებს გაფანტოს მოსალოდნელი ომის საშიშროება. საკავშირო მთავრობა გამოსთქვამს იმედს, რომ პოლონეთის მთავრობა ამ გამოსვლას გაიგებს, როგორც ნაკარნახევს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის მისწრაფებით დაიცვას მშვიდობიანობა საერთოდ და, კერძოდ, განავითაროს მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა პოლონეთთან". (ადს).

### საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

გამოქვეყნებულ ნოტასთან დაკავშირებით, საბჭ. კავშ. დეპეშათა სააგენტო აცნობებს ავტორიტეტულ წყაროდან, რომ ჯერ კიდევ ამ ნოტის გადაცემამდე ვარშავაში, საკავშირო მთავრობამ მეგობრულად ურჩია ლიტვის მთავრობას, რათა უკანასკნელი ერიდოს ყოველ ისეთ ნაბიჯებს, რომლებსაც შეუძლია გაამწვავოს პოლონეთ—ლიტვის კონფლიქტი, რომელიც საფრთხეს უმზადებს მშვიდობიანობას აღმოსავლეთ ევროპაში.

## ამხ. ლიტვინოვის და შტრეზემანის შეხვედრა

### ამხ. ლიტვინოვი შტრეზემანთან

**ბერლინი, 25 ნოემბერი.** ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა კომისარის მოადგილემ **ლიტვინოვმა 25 ნოემბერს** ინახულა შტრეზემანი (ადს).

### მიმდინარე საკითხები

**ბერლინი, 25 ნოემბერი.** ვოლფის სააგენტოს ცნობის გამო ამხ. ლიტვინოვის შტრეზემანთან შეხვედრის შესახებ იტყობინებიან, რომ ამასთან დაკავშირებით ირჩეოდა მიმდინარე პოლიტიკური საკითხები. განიარაღების საკითხთან ერთად, რომელიც შეადგენს ამხ. ლიტვინოვის გამგზავრების მიზანს, საუბარი ეხებოდა აგრეთვე სხვა საკითხებსაც, რომლებიც აინტერესებს ორივე სახელმწიფოს, განსაკუთრებით ლიტვა-პოლონეთის ურთიერთობის საკითხს. **ლიტვინოვმა გარეშე საქმეთა მინისტრს გააცნო საბჭოთა მთავრობის იმ ნოტის შინაარსი, რომელიც 24 ნოემბერს გადაეცა პოლონეთის მთავრობას და რომელშიაც საბჭოთა მთავრობა გამოსთქვამს შიშს ლიტვა-პოლონეთის კონფლიქტის გამწვავების და აქედან გამომდინარე შესაძლო საფრთხის გამო.**

ლიტვინოვი და შტრეზემანი დაეთანხმენ ერთმანეთს იმაში, რომ საერთო ინტერესებისათვის აუცილებლად საჭიროა მშვიდობიანი მდგომარეობის ყოველგვარი დარღვევის თავიდან აცილება და ყოველივე ზომების მიღება არსებულ დაბრკოლებათა გადასალახავად, რაც შეიძლება მოკლე ვადაში (ადს).

## ლიტვის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის მზადება

### სამხედრო გალაშქრების წინ

**რიგა, 25 ნოემბ.** „ბრივა ზემე" ბეჭდავს ვრცელ წერილებს ლიტვა-პოლონეთის კონფლიქტის შესახებ. გაზეთი სთვლის, რომ **თუ ლიტვა-პოლონეთის კონფლიქტი გაირჩა ერთა ლიგის საბჭოში, საკითხი გადაწყდება პოლონეთის სასარგებლოდ, ვინაიდან ელჩთა კონფერენციამ უკვე საჭიროდ** სცნო თავის დროზე ვილნოს შეერთება პოლონეთთან.

„იაუნაკს ზინიას" კოვნოელი კორესპონდენტის ცნობით, კოვნოში გავრცელებულია ხმები, რომ **არაუგვიანეს 15 დეკემბრისა დაიწყება კოვნოზე სამხედრო გალაშქრება ვილნოს მხრიდან, პლეჩკაიტისის ხელმძღვანელობით.** (ადს).

### პოლონეთის ზრახვები

**კოვნო, 25 ნოემბ.** გაზეთი „ლეტუვოს ჟინიოს", ეყრდნობა რა პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულ ხმებს, ათავსებს ცნობას, რომლის თანახმად **პოლონეთს განზრახული აქვს დაამხოს ლიტვის მთავრობა** იმ პარტიზანულ რაზმების დახმარებით, რომლებსაც მეთაურობენ ლიტველი ემიგრანტები, და შექმნას ახალი ხელისუფლება, რომელსაც შეეძლება ნორმალური ურთიერთობის აღდგენა ლიტვასა და პოლონეთს შორის. ამ საფრთხესთან დაკავშირებით, გაზეთი მოუწოდებს პრემიერს დაამთავროს მოლაპარაკება ოპოზიციონურ ჯგუფებთან და მიმართავს პრეზიდენტს წინადადებით შექმნას ლიტვაში კოალიციონური მთავრობა. (ადს).

## მენშევიკები დეტერდინგის სამსახურში

### ყალბი ჩერვონცების მკეთებელნი

**ბერლინი, 25 ნოემბერი.** „ფორვერტს"-ის ცნობით, **ყალბი ჩერვონცების დამზადების საქმეზე მოსალოდნელია ახალი დაპატიმრებები.**

გაზეთის ცნობით, ამ დღეებში დაკითხულ იქნება ცნობილი ავანტიურისტი, რიგაზე გალაშქრების (1919 წელს) ინიციატორი **ავალოვი-ბერმონტი**, რომელსაც დაჰკითხავენ იმის შესახებ, თუ როგორ გააბა სალარაშვილმა კავშირი მიუნხენის ნაციონალ-სოციალისტებთან. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქარუმიძე და გერმანიიდან გაქცეული ინჟენერი ბელი ცდილობდნენ კავშირი გაებათ შვეიცარიაში თავის მიუნხენელ მეგობრებთან.

ახალმა კვლევა-ძიებამ ჰამბურგში დაამტკიცა, რომ იქ **დეტერდინგის რწმუნებულნი ეწეოდენ ისეთ საქმეებს, რომ მათი კავშირი ქართველ ემიგრანტებთან ყოველგვარ ეჭვს გარეშეა (ადს).**

## რუმინეთი კურს იცვლის

**ვენა, 25 ნოემბერი.** როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, სარეგენტო საბჭომ მიიღო ოპოზიციონური პარტიების ბელადები **ავერესკუ, იორგი და მანიუ.**

ამის შემდეგ მანიუმ ნაციონალურ გლეხთა პარტიის აღმასკომს განუცხადა, რომ სარეგენტო საბჭო ეხლანდელ მთავრობას დროებითად სთვლის. და მოითხოვს კონცენტრაციულ მთავრობის შედგენას. რომელშიაც შევლენ ყველა ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები. **ნაციონალურ გლეხთა პარტიის აღმასკომმა მიიღო რეზოლიუცია,** რომელშიაც აცხადებს, რომ ყოველგვარი კოალიციური მთავრობის შედგენის **წინასწარი პირობა უნდა იქნეს პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნები.** რომელიც უნდა ჩატარდეს მთავრობის ყოველგვარ ზეგავლენის გარეშე.

ბუქარესტის დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ, რომ **იონელ ბრატიანუს სიკვდილი რუმინეთის საგარეო პოლიტიკაში გამოიწვევს, ალბათ, საფრანგეთის ორიენტაციის შეცვლას ინგლის-იტალიის ორიენტაციაზე** (ადს).

## ჩინეთის ამბები

### ნანკინის მთავრობის დეკლარაცია

**შანხაი, 25 ნოემბერი.** ნანკინის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელსაც ხელს აწერს საგარეო საქმეთა მინისტრი. დეკლარაციაში ნათქვამია:

„უთანასწორო ხელშეკრულებები, რომლებიც დაიდვა ძველ მთავრობებთან უნდა გაუქმდეს უახლოესი ხნის განმავლობაში, ვინაიდან არ არსებობს არავითარი საფუძველი მათი ვადის გასახანგრძლივებლათ. ის ხელშეკრულებები რომლებთაც უკვე გაუვიდათ ვადა, ცხადდებიან გაუქმებულად. ის ხელშეკრულებები, რომლებიც დაიდო დიდ სახელმწიფოთა მიერ ჩინეთის სხვადასხვა კორპორაციებთან და ცალკე მოქალაქეებთან, მიუხედავად ნაციონალური მთავრობის დასტურისა— აღარ რჩებიან ძალაში, ხოლო ის ხელშეკრულებები კი, რომლებიც დადებული არიან ჩინეთის საკითხების გარშემო, ნაციონალური მთავრობის წარმომადგენლების დაუსწრებლათ არ ითვლებიან სავალდებულოთ ჩინეთისათვის".

ნანკინის მთავრობამ ამასთანავე შეატყობინა ესპანეთის ელჩს, რომ მთავრობამ გააუქმა ესპანეთ-ჩინეთის ხელშეკრულება, ვინაიდან მისი მოქმედების ვადა უკვე გავიდა (ადს).

### სამზადისი გომინდანის კონგრესისათვის

**შანხაი, 25 ნოემბერი.** ჩან-კაი-შის ბინაზე შესდგა გომინდანის აღმასკომის და საკონტროლო კომისიის წევრთა თათბირი გომინდანის კონგრესისათვის საჭირო სამზადისის შესახებ. თათბირზე გადასწყვიტეს 3 დეკემბერს მოიწვიონ კონფერენცია, რომელიც განიხილავს კონგრესის მოწვევასთან დაკავშირებულ საკითხებს (ადს).

## რენნერის სიტყვა


რენერი

**ვენა, 25 ნოემბერი.** ნაციონალურ საბჭოს (პარლამენტის) საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა სოციალ-დემოკრატების ბელადი რენერი.

მიუთითა რა საშიშ ამბებზე ევროპის აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში, რენერმა დასვა კითხვა— საჭიროა თუ არა, რომ ავსტრიამ მიიღოს გამაფრთხილებელი ზომები?

„მე ვშიშობ,—განაცხადა რენერმა,— რომ იტალიის მოკავშირე უნგრეთის ეკონომიური და სამხედრო ექსპანსიას შედეგად არ მოჰყვეს, სხვათა შორის, კარინტიის და ბურგენლანდის ოკუპაცია და მათი დაკარგვა ავსტრიის მიერ. ჩემის აზრით, ერთად-ერთი გამოსავალია ავსტრიის შეერთება გერმანიასთან".

აღნიშნა რა ის გარემოება, რომ ნეიტრალიტეტის წყალობით, რომელსაც იცავს ავსტრია, ის კარგ დამოკიდებულებაშია საბჭოთა კავშირთან და რომ საჭიროა ასეთი დამოკიდებულების შენარჩუნება საბჭოთა კავშირთან, რენერმა დაგმო ვიცე-კანცლერის ხარტლერის მიერ ივლისის ამბების შემდეგ წარმოთქმული სიტყვა, რომელშიაც ხარტლერმა გაილაშქრა საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის (ბერლინში) წარმომადგენლების ლენგიელის და რაპაპორტის წინააღმდეგ.

დასასრულ რენნერმა ზეიპელისაგან მოითხოვა განმარტებები პოლის გადაყენების შესახებ ავსტრიის ელჩის თანამდებობიდან მოსკოვში და აღნიშნა, რომ ზეიპელის მთავრობა სისტემატიურად დევნის სოციალ-დემოკრატებს სახელმწიფო და დიპლომატიურ თანამდებობებიდან (ადს).

## ღამის ცნობები

### „ფორვერტს"-ის ცნობა

**ბერლინი, 26 ნოემბერი.** „ფორვერტს"-ი ავრცელებს ხმებს, რომ ლიტვაში აკრძალულია რაიმე ცნობების გამოქვეყნება პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. „კოვნოდან მიღებულ უკანასკნელ ცნობაში, სწერს „ფორვერტს"-ი —ნათქვამი იყო, რომ კოვნოს ქუჩებში ვრცელდება მოწოდება შეიარაღებულ აჯანყების შესახებ. ამის შემდეგ ბერლინში უკვე აღარ მოსულა ცნობა კოვნოდან არც პირდაპირი, და არც შემოვლილი (ვარშავის და რიგის) გზით. მემელის ოლქიდანაც აგრეთვე არავითარი ცნობები არ მოდის". (ადს).

### ქარიშხალი შავ ზღვაზე

**სოხუმი, 26 ნოემბერი.** უკანასკნელ დღეებში შავ ზღვაზე ძლიერი ქარიშხალია. რამოდენიმე პატარა გემს შეემთხვა ავარია, რამოდენიმე გემი ღელვამ გაიტაცა ზღვაში. ჩრდილოეთ კავკასიის ნაპირზე ზღვამ გამორიყა მოტორიანი გემი, რომელიც სრულებით დაიმსხვრა. ამ გემების მეზღვაურები, რომლებსაც ავარია შეემთხვა გადაარჩინეს. (ადს).

### უცხოეთის მუშათა დელეგაციები ბაქოში

**ბაქო, 26 ნოემბერი.** ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის მუშების დელეგაცია და უცხოელ რკინის-გზელთა დელეგაცია. ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციაში შედიან—მელითონეები, გემო-კვების მუშები, კომუნალური მუშაკები. ტრანსპორტელები და სხვ. რკინის-გზელთა დელეგაციაში—ინგლისის, საფრანგეთის, მექსიკის და სხ. წარმომადგენლები. ორივე დელეგაცია დღეს ეცნობოდა ნავთის მრეწველობას და ბაქოელ მუშების ცხოვრებას.

რკინის-გზელთა დელეგაციამ ინახულა 26 კომისარის საფლავი. (ადს).

## ალიოხინ-კაპაბლანკა

**ბუენოს—აირესი, 25 ნოემბერი.** ალიოხინ—კაპაბლანკას მატჩის მე-33 პარტია უშედეგოდ დასრულდა მე-18 სვლის შემდეგ. (ადს).

# შინაპარტიული მდგომარეობა

## ამხ. რიკოვის მოხსენება უკრაინის კომპარტიის ყრილობაზე

მოსკოვი, 26 ნოემბერი. პარტორგანოების სრულიად უკრაინის ყრილობაზე ამხ. რიკოვმა თავის მოხსენებაში გააშუქა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და სამეურნეო მშენებლობა. შემდეგ ის გადავიდა შინაპარტიულ მდგომარეობაზე.

### ეხლანდელი ოპოზიციის თავისებურობა

ამხ. რიკოვმა აღნიშნა, რომ სოციალისტური გარდაქმნის პერიოდში რჩება საკმაო ნიადაგი მუშათა კლასის და პროლეტარული რევოლიუციისადმი მტრულად განწყობილ მიმდინარეობათა აღმოცენებისათვის, რომლებიც სცდილობენ პროლეტარული სახის მიღებას. ეს არაპროლეტარული და ნახევრად პროლეტარული ფენები მოკლებული არიან საშუალებას სხვა პოლიტიკური პარტიების საშუალებით გამოხატონ თავისი ინტერესები, განსაზღვრონ და ჩამოაყალიბონ თავისი იდეოლოგია; ამიტომ ისინი მთელი სიმძიმით აწვებიან იდეოლოგიას მუშათა კლასის იმ ფენებისას, რომლებიც მათთან არიან, მათთან დაკავშირებული, ხოლო მათი საშუალებით პარტიას. აი ძირითადი მიზეზი იმ მრავალრიცხოვან ჯგუფებისა და მიმდინარეობათა აღმოცენების, რომლებიც გაჩნდენ ოქტომბრის შემდეგი პერიოდის მანძილზე, მაგრამ ისეთი სახის დაჯგუფება, როგორიც ამ ბოლო ხანში გვაქვს, პირველად შეიქმნა.

ეხლანდელი ტროცკისტული ოპოზიციის თავისებურება და განსაკუთრებული დამახასიათებელი მხარეები მდგომარეობს იმაში, რომ მან უკუაგდო ყოველგვარი პრინციპიალური სიზუსტის აუცილებლობა და თავისი მოქმედება დაიწყო მოწოდებით პარტიის დღემდე არსებულ ჯგუფების გაერთიანებისაკენ პარტიის ცენტრალურ ორგანოების შემადგენლობის შეცვლისა და მათზე ხელმძღვანელობის აღების მიზნით. ის გადაჭრით დაადგა კომინტერნში განხეთქილების შეტანის, საბჭოთა კავშირში მეორე პარტიის შექმნის და პარტიის წინააღმდეგ ქვეყნისადმი მიმართვის გზას და გაეთიშა პარტიას ჩვენი პოლიტიკის არა რომელიმე ცალკე ფაქტიურ საკითხზე, არამედ ჩვენი პარტიის მთელ პროგრამასა და მთელ ტაქტიკაზე.

შემდეგ ამხ. რიკოვი შეეხო შინაპარტიული დემოკრატიის საკითხს და ხაზგასმით აღნიშნა ოპოზიციის ჩივილი იმის შესახებ, რომ ის მოკლებულია პარტიული უმრავლესობის თანასწორ უფლებებს. ამ. რიკოვმა მოიყვანა მაგალითი— ცეკას უკანასკნელ პლენუმზე ზინოვიევმა შეიტანა წინადადება კოალიციონური რედაქციების შედგენის შესახებ, ე. ი. ყოველ პარტიულ ორგანოს რედაქციაში უნდა შესულიყო აგრეთვე ოპოზიციონერი რედაქტორი, რომელიც თვალყურს ადევნებდა ოპოზიციის ინტერესების დაცვას. ამნაირად, ამ წინადადების მიხედვით, თანასწორ საფუძვლებზე უნდა წარმართულიყო საქმე—პარტია დაიცავდა თავის გადაწყვეტილებებს, ხოლო ოპოზიცია თანასწორ საფუძვლებზე იბრძოლებდა ამ გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.

„ასეთი წესი,—სთქვა ამხ. რიკოვმა,—ცენტრალურ კომიტეტში არასოდეს არ ყოფილა, არც არის და არც იქნება.

ოპოზიციამ,—აღნიშნავს ამხ. რიკოვი,—თავის ბრძოლაში ცეკას წინააღმდეგ მიმართა პარტიას, ხოლო პარტიასთან ბრძოლაში შეეცადა მიემართა ქვეყნისათვის, ამასთან ერთად არ ერიდებოდა დემაგოგიას და ცილისწამებას. ოპოზიციის ამ უკანასკნელმა ნაბიჯებმა აიძულეს ცეკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია გამოერიცხათ პარტიის შემადგენლობიდან ცეკას ყოფილი წევრები—ტროცკი და ზინოვიევი. მაგრამ ოპოზიციის ბრძოლის ყოველ საფეხურზე ცეკას შეეძლო და უნდა წასულიყო კიდეც მხოლოდ ისეთ ნაბიჯებზე, რომლებიც ხელს შეუწყობდენ პარტიის შემჭიდროებას მის გარშემო, მუშათა კლასის შემჭიდროებას პარტიის გარშემო".

შემდეგ ამხ. რიკოვი დაწვრილებით შეჩერდა ოპოზიციასთან წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლის გაშუქებაზე, რომელიც ოპოზიციის სრული დამარცხებით დასრულდა, და სთქვა:

„საერთოდ შეუძლებელია მივაღწიოთ ასპროცენტიან ერთსულოვნებას. მაგრამ მე-15 ყრილობისათვის ჩვენ გვაქვს მაქსიმუმი იმის, რაც ყოველ წუთს შეიძლება მოეთხოვოს პარტიას ერთსულოვნებისა და შემჭიდროების მხრივ როგორც საერთო პოლიტიკურ, ისე საორგანიზაციო და შინაპარტიული პოლიტიკის საკითხებში".

### რატომ სდუმდა ტროცკი 14 ყრილობაზე

შემდეგ ამხ. რიკოვმა დოკუმენტალურად გამოამჟღავნა ოპოზიციონური კრიტიკის აშკარა ფრაქციულობა და მისი დიდი განსხვავება საქმიანი კრიტიკისაგან. შეჩერდა პარტიის მე-14 ყრილობის წინ ტროცკისა და ზინოვიევის შორის არსებულ დამოკიდებულებაზე, რომელიც ცნობილი გახდა მხოლოდ ამ დღეებში ამხ. ანტონოვ-ოვსეენკოს მიერ ცეკაში გამოგზავნილ წერილებიდან. ტროცკისათვის გაგზავნილ წერილში ამხ. ანტონოვ-ოვსეენკო, ტროცკის დამოკიდებულების შესახებ ზინოვიევისა და კამენევისთან მე-14 ყრილობის პერიოდში, სწერს შემდეგს:

„მე ვიცი, რომ თქვენ მოემზადეთ პარტიის ყრილობაზე ზინოვიევისა და კამენევის წინააღმდეგ გამოსვლისათვის. მე ღრმად ვწუხდი და ვწუხვარ, რომ მოთმინება და შორსმჭვრეტელობა დაკარგულ მეგობარ-ფრაქციონერებმა გაიძულეს თქვენ (თქვენს მხრივ უმნიშვნელო წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ) უარი გეთქვათ ამ, თქვენ მიერ უკვე გადაწყვეტილ გამოსვლაზე. თქვენ იცით, რომ მე ვიყავი თქვენი ბლოკის წინააღმდეგი ზინოვიევთან და კამენევთან, ვინაიდან ამ ბლოკს სრულიად უპრინციპო ბლოკად ვთვლიდი".

„ამნაირად,—ასკვნის ამხ. რიკოვი,—ტროცკისტული ოპოზიციის ავტორიტეტული წარმომადგენელი ამოწმებს, რომ მე-14 ყრილობის დროს ტროცკის უნდოდა გამოსვლა ზინოვიევისა და კამენევის წინააღმდეგ ალბად იმიტომ, რომ მათ ხაზს შემცდარად სთვლიდა. მაგრამ გაიმარჯვეს არა პარტიის ინტერესებმა, არა პრინციპიალურმა ხაზმა, არამედ ფრაქციულმა მოსაზრებებმა, ფრაქციონერის იმედმა, რომ თავისი ფრაქციის ინტერესების სასარგებლოდ ის გამოიყენებდა პარტიაში აღმოცენებულ განხეთქილებას. ერთი სიტყვით, „შორიდან დამიზნების" პოლიტიკა პარტიასთან ბრძოლაში.

მოკლე ხნის შემდეგ,—განაგრძობს ამხ. რიკოვი,—ტროცკი შეუკავშირდა იმათ, რომელთა პოლიტიკური ხაზის წინააღმდეგ ის აპირობდა და ერთხანს გადაწყვეტილი ჰქონდა კიდეც გამოსვლა მე14 ყრილობაზე. მე მგონია, ამ შემთხვევაში მართლდება ის დახასიათება, რომელიც ერთ დროს ვლადიმერ ილიჩმა გაუკეთა ტროცკის. ის სწერდა. რომ „არასოდეს, მარქსიზმის არც ერთ სერიოზულ საკითხში ტროცკი არ ყოფილა მტკიცე აზრის, ის ყოველთვის ამა თუ იმ უთანხმოების „ხვრელში ძვრებოდა" და ერთი უთანხმოებიდან მეორეზე გადადიოდა"-ო.

„თუ პროლეტარულ მოღვაწეს,—ამბობს ამხ. რიკოვი,—პარტიისათვის გადამწყვეტ მომენტში —მე-14 ყრილობა იყო სწორედ ასეთი სერიოზული, საპასუხისმგებლო მომენტი მუშათა კლასის პოლიტიკაში—შესწევს უნარი და შესაძლებლადაც მიაჩნია დიპლომატიური თამაში უდიდესი მნიშვნელობის მქონე საკითხებში, თუ პოლიტიკური მოღვაწე—მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებების მომხრე, რამდენიმე კვირის შემდეგ ბლოკს ჰკრავს ამ გადაწყვეტილებების მოწინააღმდეგებთან, მაშინ ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ასეთი მოღვაწე საბოლოო ანგარიშით წინასწარვე განწირულია, როგორც მომავალი პოლიტიკური ლეში".

### „დიქტატურა" თუ კოლეგიალური მუშაობა

შემდეგ ამხ. რიკოვი ამბობს „მანამდე, სანამ მე მთელ რიგ დოკუმენტებით შევეცდებოდე იმის დამტკიცებას, რომ ეხლა ოპოზიცია ებრძვის არა პარტიულ კანონიერებას, არამედ საბჭოთა კანონიერებას, პროლეტარიატის დიქტატურის კანონებს, მე მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო მისი პროგრამის ერთ მუხლს, რომელიც საჭიროა გადაჭრით მოისპოს. ეს არის საკითხი ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის შესახებ. ერთ-ერთ თავის დოკუმენტში ოპოზიცია ამბობს: „ორგანიზაციულ დარგში ფაქტიური დამორჩილება პოლიტბიუროსი სამდივნოსადმი, ხოლო სამდივნოსი გენერალურ მდივნისადმი,—უკვე დიდი ხანია წარმოადგენს მომხდარ ფაქტს". ოპოზიციის მთელ რიგ შინაპარტიულ და გარეპარტიულ დოკუმენტებში ნახმარია ასეთი გამოთქმა: „დიქტატორი სტალინი", „სტალინის მეთოდი", „სტალინმა წინასწარ გადასწყვიტა"-ო და სხ. ყველაფერი ეს არის უბოროტესი და უსაზიზღრესი ცილისწამება მთელს პარტიასა და სტალინზე.

ლენინის გარდაცვალებისა და მე-14 ყრილობის შემდეგ, ცეკასი და პოლიტბიუროს მოქმედებაში მოხდა შემდეგი ცვლილებები. ჯერ ერთი—გაფართოვდა ცეკასი, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და პოლიტბიუროს შემადგენლობა. მეორე—არც ერთ საკითხს ბიუროს არც ერთი წევრი არ სწყვეტს ერთპიროვნულად. არც სტალინი, არც ბუხარინი, არც რიკოვი, არც ტომსკი და პოლიტბიუროს არც სხვა რომელიმე წევრი არაფერს არ სწყვეტენ ერთპიროვნულად. შეიძლება ითქვას, რომ კოლეგიალობა ჩვენ ზედმეტადაც განვავითარეთ. მთელი ჩვენი დრო მიდის იმაში, რომ ერთი კოლეგიიდან მეორე კოლეგიაში დავდივართ. ცეკას სამდივნო შესდგება ამხ. სტალინის, მოლოტოვისა, კასიორისა უგლანოვისა და კუბიაკისაგან. სამდივნოს მუშაობის ნაკლს წარმოადგენს, რომ ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში ამხ. სტალინი დროის უქონლობის გამო თითქმის სრულიად არ მონაწილეობდა სამდივნოს და საორგანიზაციო ბიუროს მუშაობაში. ამავე დროს კი მას საკმაო პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული მუშაობისათვის. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩვენ სტალინთან ერთად პოლიტბიუროში გაგვიუქმებია სამდივნოს ან საორგანიზაციო ბიუროს გადაწყვეტილება. რომ უფრო მეტი სისტემატიური ხასიათი მიგვეცა პოლიტბიუროს მუშაობისა და პოლიტბიუროს კავშირისათვის ცეკას პლენუმთან და ცეკას პლენუმის კავშირისათვის მთელ პარტიასთან, ამხ. სტალინის წინადადებით ჩვენ მივიღეთ პოლიტბიუროსი და პარტიის ცეკას დეტალურად დამუშავებული სამუშაო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, ყოველ ორ თვეში საბჭოთა, პარტიულ და სხ. მუშაობის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხები განსახილველად უნდა გადაგვეტანა ცეკას პლენუმზე. ამ საკითხების რიცხვში შედის სამეურნეო პოლიტიკის, ბიუჯეტის, სამუშაო ხელფასის, შინაპარტიული მშენებლობის, აგიტაციის, პროპაგანდის და სხ. მნიშვნელოვანი საკითხები. სამწუხაროდ ეს გეგმა ჩაიშალა უმთავრესად იმიტომ, რომ ჩვენ ბევრი დრო უნდა დაგვეთმო ოპოზიციის საკითხებისათვის, მისი დოკუმენტების კითხვისთვის, რომლებიც წვიმასავით ეყრებოდა თავზე პოლიტბიუროს.

### ვინ ივიწყებს ლენინის ანდერძს

ამხ. სტალინის წინააღმდეგ გალაშქრების მთელი დედა-აზრი მდგომარეობს, ჯერ ერთი, იმაში, რომ ამხ. სტალინში ოპოზიცია ხედავს ერთ-ერთ ყველაზე მტკიცე ლენინელს, და, მაშასადამე,—თავის ყველაზე საშიშ მოწინააღმდეგეს; მეორე,—იმაში, რომ ოპოზიციონერები სტრატეგიული მოსაზრებებით, პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის გაადვილების მიზნით, სცდილობენ ამ ბრძოლის დაფარვას ბრძოლით უმრავლესობის ერთ-ერთი წევრის, პარტიის ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ.

ამ საკითხზე ეხლა ისინი შესჩივიან ყველას, უპარტიოებსაც კი. ამ გალაშქრებამ პარტიის ცეკას გენერალური მდივნის, როგორც „დიქტატორის", როგორც „ფაშისტების ლიდერის" და სხ. წინააღმდეგ. ზოგიერთ წრეებში უკვე ჰპოვა ოპოზიციის თანამგრძნობნი, უკვე წარმოშვა ლაპარაკი ტერორისტული აქტების პირველ რიგში ამხ. სტალინზე მოხდენის შესახებ (ხმა ადგილიდან: „სირცხვილი, სირცხვილი!"). ჩვენ გამოვიტანეთ გადაწყვეტილება, რომ ასეთი ლაპარაკისათვის ჩვენ დავაპატიმრებთ დამნაშავეს (ხმა ადგილიდან: „სწორია". ტაში).

თავის გალაშქრებაში ამხ. სტალინის წინააღმდეგ ოპოზიცია სცდილობს დაეყრდნოს ლენინის ეგრედწოდებულ ანდერძს. რაში მდგომარეობს ლენინის ანდერძის მთავარი დედა-აზრი? ლენინის მისწრაფებაში უზრუნველყოს პარტიის მთლიანობა, არავის ასე უხეშად და დანაშაულებრივად არ არღვევდა ჩვენი პარტიის მთლიანობას, არავის ასე უხეშად და დანაშაულებრივად არ შეუქმნია განხეთქილების საფრთხე, როგორც ტროცკის, ზინოვიევს და კამენევს. მე შემიძლია დავამტკიცო, რომ ტროცკის, ზინოვიევის და კამენევის მთელი მოღვაწეობა უკანასკნელ ორი-სამი წლის განმავლობაში არის ლენინის „ანდერძის" ყველაზე თავხედური დარღვევა.

ლენინის ამ წერილში, ზოგად საკითხებს გარდა, არის ტროცკის, ზინოვიევის და კამენევის პოლიტიკური დახასიათება. ზინოვიევისა და კამენევის შესახებ ამ წერილში ნათქვამია, რომ მათი შეცდომები ოქტომბერში არ იყო შემთხვევითი, ისე როგორც შემთხვევითი არ არის ტროცკის არაბოლშევიკობა. სტალინზე ნათქვამია, რომ ის უხეშია, ლენინის წერილში ერთი სიტყვა, ერთი შენიშვნაც არაა ხსენებული იმის შესახებ, რომ თითქოს ამხ. სტალინს როდისმე დაემჟღავნებინოს თავისი პოლიტიკური მოუმწიფებლობა.

შევასრულეთ თუ არა ჩვენ ლენინის რჩევა? ვფიქრობ, რომ შევასრულეთ. უკანასკნელი ორი წელი მოუნდით ბრძოლას ტროცკის არაბოლშევიკობის და ზინოვიევისა და კამენევის „არა შემთხვევით შეცდომების" წინააღმდეგ. რას უსაყვედურებდა ლენინი ყველა წერილებში უმთავრესად ზინოვიევსა და კამენევს? არა იმას რომ ისინი ერთმანეთს არ ეთანხმებოდენ რაიმე პოლიტიკურ საკითხებში: რაიმე საკითხში შეუთანხმებლობა, რასაკვირველია, შეიძლება. ლენინი მათ უსაყვედურებდა იმას, რომ ლენინთან ამ უთანხმოების გამო ისინი მიმართავდენ ქვეყანას, უპარტიო მასას, მესამე ძალას, მათ დღესაც იგივე გაიმეორეს. ილიჩის რჩევის ჭეშმარიტი პოლიტიკური შინაარსი ჩვენ მთლიანად და სრულიად განვახორციელეთ ჩვენ ოპოზიციას ხელი უნდა ავალებინოთ საზიზღარ სპეკულიაციაზე ლენინის წერილით. ამ მიზნით უახლოესმა ყრილობამ უნდა განიხილოს საკითხი იმის შესახებ, ხომ არ იქნება საჭირო, ლენინის ამ წერილის გამოქვეყნება საყოველთაო ცნობისათვის.

### ვის ებრძვის ტროცკი

ტროცკი ეხლა სტალინის წინააღმდეგ გამოდის, როგორც პარტიის ცეკას გენერალური მდივნის წინააღმდეგ. მაგრამ მისი დამოკიდებულება ბოლშევიკურ პარტიასთან როგორც ოქტომბრის რევოლიუციამდე, ისე ოქტომბრის შემდეგ, გამოიხატებოდა იმაში, რომ ის ყოველთვის გამოდიოდა ჩვენი პარტიის საორგანიზაციო ლენინურ მეთოდების წინააღმდეგ და გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა მასთან. ამ საორგანიზაციო საკითხებში ის ყველაზე უფრო მეტად იყო მენშევიზმის იდეოლოგი. ცეკამ და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ პარტიიდან გამორიცხეს ტროცკი და ზინოვიევი, როგორც ტიპიური ანტი-პარტიული, ანტი-საბჭოთა ხასიათის მიმდებ მოძრაობის ორგანიზატორები. საბჭოთა კანონების უხეში დარღვევისათვის რამდენიმე ოპოზიციონერი გამორიცხულია პარტიიდან და დაპატიმრებული. (მქუხარე ტაში). ჩვენ ყოველთვის ვერიდებოდით ამას, მაგრამ გარემოებამ გვაიძულა ასე მოვქცეულიყავით".

შემდეგ ამხ. რიკოვი აღნიშნავს, რომ ოპოზიცია ცდილობს არა მარტო განხეთქილების შეტანას პარტიაში, არამედ მიმართავს კიდეც მესამე ძალას საბჭოთა კავშირის გარეთ. მაგალითად ის მიმართავს კომინტერნის პარტიებს უცხო ქვეყნებში. ოპოზიციის გამოსვლებმა ფრთა შეასხეს მთელი მსოფლიოს თეთრგვარდიელთა, იმპერიალისტთა და ბურჟუაზიის ხროვას. მაგრამ ოპოზიციის სრულმა დამარცხებამ მათ მწარედ გაუცრუვა იმედები: ოპოზიციამ იგემა სრული დამარცხება, ისეთი დამარცხება, როგორიც არც ერთ ოპოზიციას არ უგემნია ჩვენს პარტიაში. ოპოზიციამ თავისი უკანასკნელი გამოსვლით იმდენად გაიშიშვლა თავი, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის მოწინააღმდეგე ძალამ, რომ მას შორდებიან და ჩამოშორდებიან მისი უკანასკნელი მომხრეები.

### საჭიროა შეცდომების გულწრფელი აღიარება

ეხლა მრავალ ამხანაგის წინაშე ისმება კითხვა—როგორ გადაწყვეტილებას გამოიტანს ოპოზიციის შესახებ პარტიის მე-15 ყრილობა?

— მე მგონია,—ამბობს ამხ. რიკოვი,—რომ ოპოზიციას უნდა მოეთხოვოს ნამდვილი, სრული, გულწრფელი კაპიტულიაცია. ის მდგომარეობა, რომელიც უკანასკნელ დროს შეიქმნა, არსებითად შეუძლებლად ხდის ერთდროულად ყოფნას ოპოზიციაშიც და პარტიაშიც. მე-15 ყრილობის შემდეგ პარტიამ მთელი გადაწყვეტილებით უნდა უზრუნველყოს პარტიის ყველა წევრთა დამორჩილება პარტიის კანონიერებისადმი, რისთვისაც არ უნდა დაერიდოს პარტიიდან გამორიცხვასაც კი. საბჭოთა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დამორჩილება პროლეტარული დიქტატურის კანონებისადმი. დაიცავს თუ არა ოპოზიცია პარტიულ და საბჭოთა კანონიერებას—ეს მისი საქმეა. პარტია მას ამაში ყოველ მხრივ დაეხმარება. (მქუხარე ტაში. ყველა ფეხზე დგება).

## საბჭოთა კავშირის დელეგატები განიარაღების კონფერენციაზე

დელეგაციის გენერალური მდივანი და ექსპერტი ამხ. შტეინი

დელეგაციის წევრი ამხ. უგაროვი

დელეგაციის ექსპერტი ამხ. ბერენსი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა.-კ. კომუნისტური ორგანიზაციების მეხუთე ყრილობა

## ამხ. შ. ელიავას მოხსენება

## ა.-კ. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

### პარტიის დირექტივები

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებს პირველად უხდებათ ამიერ-კავკასიის მეურნეობის დაგეგმვის საკითხის განხილვა. მაგრამ ამიერ-კავკასიის მეურნეობის დაგეგმვა წარმოუდგენელია, თუ იგი არ დაუკავშირეთ მთელი კავშირის მეურნეობის დაგეგმვას. ამიტომ მე მოვიყვან რამოდენიმე ცნობას პარტიულ გადაწყვეტილებათაგან, რომელნიც ახურათებენ იმას, თუ როგორ დაისახა საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე, მისი არსებობის ათი წლის თავზე, საკითხი ხუთწლიან გეგმის შედგენის შესახებ.

მთლიანი სამეურნეო გეგმის შექმნის საკითხი ჩვენმა პარტიამ პირველად განიხილა მეცხრე ყრილობაზე 1920 წელში, როცა სამოქალაქო ომი თავდებოდა, და უნდა დაგვეწყო მუშაობა დანგრეული მეურნეობის აღსადგენად. ამ ყრილობაზე პარტიამ ამოცანას მთლიანი სამეურნეო გეგმის დარგში ასეთი ფორმულა მისცა:

„ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღორძინების ძირითადი პირობა,—ნათქვამია პარტიის მეცხრე ყრილობის გადაწყვეტილებაში,—შეურყევლად გავატაროთ მთლიანი სამეურნეო გეგმა, რომელიც ნავარაუდევია უახლოესი ისტორიული ეპოქისათვის. სამეურნეო ნგრევისა და ჩვენი ქვეყნის პირდაპირი გაღატაკების მიხედვით სამეურნეო გეგმა ბუნებრივად იყოფა მთელ რიგ ერთი მეორისაგან დამოკიდებული ძირითადი ამოცანებად: ა) პირველ რიგში ტრანსპორტის მდგომარეობის გაუმჯობესება, პურისა, სათბობისა და ნედლეულის აუცილებლად საჭირო მარაგის გადაზიდვა და შექმნა; ბ) მანქანათშენების ტრან., სათბობის, ნედლ. გაძლიერებით მიღება და პურის მოყვანა; გ) მანქანათშენების გაძლიერებით განვითარება მასიური მოხმარების პროდუქტების დასამზადებლად; და დ) მასიური მოხმარების პროდუქტების გაძლიერებული ტემპით დამზადება.

აღნიშნული გეგმის გატარების დროს უნდა დავემყაროთ ტეხნიკის ახალ მონაპოვართ, რის გამოც ამ საქმის ტეხნიკური მხარის ქვაკუთხედი უნდა იყოს ელექტრონის ენერგიის ფართოდ გამოყენება, დაახლოებით ისეთი თანამიმდევრობით, რომელიც შეეფერება საერთო სამეურნეო გეგმის გატარების ძირითად ეტაპებს:

1. სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის გეგმის დამუშავება და ელექტროფიკაციის მინიმუმ პროგრამის განხორციელება, ე. ი. ელექტრო-მიწოდების ძირითადი პუნქტების გამოყოფა, და ამ მიზნით არსებული ელექტროსადგურების, და აგრეთვე იმ სარაიონო ცენტრალების ნაწილების გამოყენება, რომელნიც სასწრაფო წესით შენდება.

2. პირველი რიგის ძირითადი სარაიონო ელექტრო-სადგურებისა და ელექტრო-გადაცემის ძირითადი ხაზების აგება ელექტრო-მოწყობილობის ქარხნების მოქმედების გაფართოების მიხედვით.

3. შემდეგი რიგის სარაიონო სადგურებს მოწყობა, ელექტრონის ქსელის შემდგომი განვითარება და უმთავრესი საწარმოო პროცესების თანდათანობითი ელექტროფიკაცია.

4. მრეწველობის, ტრანსპორტის და მიწათმოქმედების ელექტროფიკაცია. ამ ძირითად სამეურნეო გეგმიდან, რომელნიც ნავარაუდევია უახლოესი ეპოქისათვის, უნდა გამომდინარეობდეს საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო ცენტრები, ამასთანავე მობილიზაცია უნდა მოუხდინონ თავის უმთავრეს ძალებს და საშუალებებს, პირველ რიგში ძირითადი სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად".

იქვე, ძირითადი ამოცანების გარკვევის შემდეგ პარტიული ყრილობის რეზოლუცია ამბობს:

„ძირითადი მიზნისათვის დამხმარე წარმოებანი განვითარებულ უნდა იქნან ნამდვილი აუცილებლობის მიხედვით. წარმოებები, რომელნიც აუცილებლად საჭიროა სამეურნეო პერიოდის ძირითადი ამოცანისათვის, შეიძლება შეიწყოს ხელი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი მუშაობა არ აბრკოლებს უმთავრესი ამოცანის გატარებას. ამის გამო საბჭოთა სამეურნეო ცენტრების მიმდინარე სამეურნეო ამოცანები უნდა წარმოადგენდენ არა გათვალისწინებულ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა უბრალო ჯამს, არამედ რკინის აუცილებლობით უნდა გამომდინარეობდენ მთელი სამეურნეო გეგმიდან, რომელიც ნავარაუდევია უახლოესი ეპოქისათვის".

ასეთი იყო პარტიული ყრილობის ძირითადი დირექტივა ამ საკითხში.

შემდეგ 1921 წელში, კრონშტადტის ამბოხების ლიკვიდაციის შემდეგ, ჩვენმა პარტიამ, ანგარიშს უწევდა რა ის იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს გლეხური მეურნეობის ქვეყანას როგორც ცნობილია, გადასწყვიტა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე გადასვლა. ჩვენი პარტია, გამოდიოდა რა კერძო მწარმოებელ გლეხთა მრავალმილიონი მასის არსებობის ფაქტიდან, ამ ყრილობაზე შეუდგა ფულის ბრუნვის განვითარებასა და შინაური ბაზრის შექმნის საკითხების გადაწყვეტას. ამ საფუძველზე. შინაური ბაზრისა და ფულის ბრუნვის შექმნისათვის წარმოებული მუშაობის საფუძველზე დაიწყო მეურნეობის აღდგენა. პარტიის მე12 ყრილობამ 1923 წელში კვლავ განიხილა მრეწველობის ორგანიზაციის საკითხი ჩვენს ქვეყანაში, რომელშიაც აბსოლიუტურად სჭარბობს სასოფლო მეურნეობა, და დასვა საკითხი სახელმწიფო მრეწველობის განვითარების [illegible] შესახებ.

[illegible] ყრილობამ თავის რეზოლიუციაში მრეწველობის ორგანიზაციის შესახებ სპეციალურად წამოაყენა და ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპი ჩაყენებულია ობიექტიურ ფარგლებში, რომლებსაც განსაზღვრავს გლეხთა მეურნეობის მდგომარეობა, და რომ მთელი სამეურნეო პოლიტიკის ზედმიწევნით შეთანხმება გლეხთა მეურნეობის განვითარების დონესთან, წარმოადგენს უმთავრეს ამოცანას, რომლის არასწორად გადაწყვეტა აუცილებლად გამოიწვევს დამღუპველ შედეგებს არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ დარგშიაც. ეხლანდელი პოლიტიკური და ეკონომიური პირობების მხოლოდ ძირითად შეცვლას ევროპის სამრეწველო ქვეყნებში შეუძლია სერიოზულად დაასუსტოს სახელმწიფო მრეწველობის უშუალო დამოკიდებულება გლეხთა მეურნეობის მდგომარეობისაგან. და შექნას პირობები უფრო სწრაფად გადასვლისათვის სოციალისტური მეურნეობის ბატონობისაკენ.

ასეთი დირექტივა მოგვცა მე-12 ყრილობამ. მაგრამ ერთი წლის პრაქტიკამ ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გვიჩვენა, რომ პარტიის ყველა ეს მითითებანი ვერ შესრულდა პრაქტიკულად. ამან შექმნა მთელი რიგი დაბრკოლებანი და კრიზისები, რომელზედაც პარტიას არ შეეძლო პასუხი არ გაეცა, და ამიტომ პარტიამ პარტკონფერენციაზე კვლავ განიხილა ეს საკითხი და თავის გადაწყვეტილებაში [illegible]:

„დიდი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ როცა საბჭოთა წვრილ-გლეხ. მეურნ. რიცხვი, როცა იზრდება მთლიანი ბაზრისა და მისი ფასების მნიშვნელობა ჩვენს მეურნეობაში, სახელმწიფო გეგმიანი ხელმძღვანელობა შესძლებს კრიზისის აღმოფხვრას [illegible] პირობებში. მაგრამ კრიზისი, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ხაზს უსვამს იმას, რომ აუცილებელია გაცხოველდეს მუშაობა სახალხო მეურნეობის ცალკე დარგის შესათანხმებლად და გაძლიერდეს გეგმიანობა სახელმწიფო სამეურნეო ორგანოების მუშაობაში".

კონფერენციამ აღნიშნა, რომ „პარტიამ ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე უნდა შეასწავლოს სახელმწიფო მეურნეობის ელემენტების როგორც ურთიერთისათვის, ისე ბაზართან შეთანხმება. ამ ამოცანას ამსუბუქებს ის, რომ ჩვენ ეხლა მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ გეგმიანი ხელმძღვანელობის ძირითადი წინასწარი პირობების შექმნის საქმეში, ურომლისოდაც გეგმიანობა ადვილად შეიძლებოდა გადაქცეულიყო ბიუროკრატიულ უტოპიად. ეს წინასწარი პირობები წარმატებითი გეგმიანობისათვის მდგომარეობს შემდეგში: 1) მტკიცე ვალიუტის შექმნა, 2) კრედიტის ორგანიზაცია, 3) მატერიალური ფონდების დაგროვება, რომლების გამოყენება შეიძლება საჭიროების მიხედვით; 4) მეურნეობის ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმების განხორციელება და განმტკიცება (ტრესტები და სხ.); 5) მთელი რიგი ცალკე, გამოცდილების ნიადაგზე აგებული გეგმების, პირველ რიგში, რეალური საბიუჯეტო გეგმების შექმნა და სხვა".

### სახალხო მეურნეობის ზრდა და ოპოზიცია

აი, ამხანაგებო, ის დირექტივები, რომლებსაც პარტია მთელი რიგი წლების განმავლობაში იძლეოდა ჩვენი მეურნეობის აღდგენასთან და ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად. თქვენ იცით, რომ ეს ამოცანები, რომლებსაც პარტია სვამს ჩვენი ქვეყნის წინაშე, უმთავრეს ნაწილში შეიძლება განხორციელებული იქნას. პარტიის პოლიტიკის შედეგები უკვე ცხადია: მე თქვენს ყურადღებას არ დავღლავ იმ ციფრობრივი მასალების წაკითხვით, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ეს ძირითადი პარტიული დირექტივები უმთავრეს ნაწილში შეიძლება იქნას განხორციელებული. თქვენ ეს მშვენივრად იცით მთელი რიგი მოხსენებებიდან, მთელი რიგი პარტიული გადაწყვეტილებების დამუშავებიდან და კერძოთ თქვენ ამის შესახებ იცით, ამხ. მამიას მოხსენებიდან, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინედ მოისმინეთ. მაგრამ მე აქ აუცილებელ საჭიროებად ვთვლი მოვიყვანო ჩვენი ზრდის ის დახასიათება, რომელსაც იძლევა საბჭოთა კავშირის სახელმწ. საგეგმო კომისია, რომ ნათლად შეიცნოთ პარტიის დირექტივა 5 წლიანი გეგმის შესახებ.

აი, როგორ ახასიათებს სახელმწიფო საგეგმო კომისია ჩვენს გამოსავალ მდგომარეობას ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის:

„ოქტომბრის დიდი რევოლიუციის პირველი ორი დასაწყისი პერიოდი დამთავრდა სამოქალაქო ომის პირველმა გმირულმა პერიოდმა, რომელიც ძლევამოსილად დასრულდა 1920 წელში, გადაკოდა დაამარცხა პროლეტარიატის კლასობრივი მტრები. ამ დროის განმავლობაში საფუძვლიანად დაინგრა ძველი სახელმწიფოს კლასობრივი ბატონობის პოლიტიკური აპარატი. მაგრამ ამასთან ერთად, ბრძოლის შედეგად საფუძვლიანად დაინგრა ძველი წყობილების სამეურნეო ფონდებიც. რევოლიუციის მეორე პერიოდის ამოცანას შეადგენდა ნორმალურ მუშაობისა და ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ძლიერების აღდგენა, ყველა იმ ჭრილობათა განკურნება და იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ორგანიზმმა განიცადა რევოლიუციის პირველ პერიოდში. ამჟამად. საერთოდ და მთლიანად უკვე შესრულებულია ეს ამოცანა, რევოლიუციის ხარჯები ანაზღაურდა, რევოლიუციის მეორე აღდგენითი პერიოდი დამთავრდა".

რომ ეს მართალი არ იყოს, ჩვენ რომ აღდგენითი პერიოდი არ დაგვემთავრებინა, რომ არ ჩაგვეტარებინა დიდებითი მუშაობა იმ დირექტივების საფუძველზე, რომლებსაც პარტია იძლეოდა თავის ყრილობებზე, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ფიქრი 5 წლიან სამეურნეო გეგმის შედგენაზე, რომელიც შეიცავს ჩვენი სახალხო სამეურნეო ცხოვრების ყველა მხარეებს.

თვით ამ საკითხის დასმა, ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის შედგენისათვის გაცემული დირექტივის განხილვა პარტიულ მასებში და პარტიულ ყრილობაზე, მოწმობს იმას, რომ ჩვენ საკმაოდ გავიზარდეთ, საკმაოდ ავაღორძინეთ სახალხო მეურნეობა იმისათვის, რათა გადავსულიყავით გეგმიანობაზე, სამეურნეო განვითარების ახალ ეტაპზე, რეკონსტრუქტიულ ეტაპზე. ეს ჩვენი ზრდა, რომელიც გამოსავალი დებულება უნდა იყოს ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის, არა სწამთ მხოლოდ მოუთმენელ ურწმუნო თომებს ჩვენს პარტიაში, რომელთაც დაკარგეს ამ პროცესების რეალური გათვალისწინების უნარი, რომელნიც ჩამოშორდნენ ძირითად ლენინურ პოზიციას, იმ პოზიციას, რომელიც წითელი ზოლივით გადის ყრილობების ყველა დადგენილებებში. ეს ის ხალხია, რომელსაც მეთაურობს ტროცკი და ზინოვიევი, რომელთაც შეთხზეს ახალი პოლიტიკური პარტიის დიდი პლატფორმა. გარდა იმისა, რომ მათ არ სწამთ არსებული ზრდა და უარჰყოფენ მას, ისინი ამასთანავე ჩვენს ქვეყანას უწინასწარმეტყველებენ დაღუპვას. პირველად არ ლაპარაკობენ ისინი, რომ თითქოს ჩვენი ქვეყანა დაღუპვისაკენ მიდის იმ სამეურნეო პოლიტიკის გამო, რომელსაც ჩვენი პარტია ატარებს.

ეს ადამიანები ოპოზიციიდან შეხმატკბილებით ლაპარაკობენ იმ ხალხთან, რომელნიც ნამდვილად არის დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის დაღუპვაში. მაგრამ ოპოზიცია ბევრ რამეს ვერ ითვალისწინებს, როცა იგი წინასწარმეტყველობს ჩვენს დაღუპვას, როცა მოითხოვს ინდუსტრიალიზაციის გააფთრებულ ტემპს, როცა აყენებს მთელ რიგ მოთხოვნილებებს, რომელნიც შეუძლებელს ხდიან ჩვენი მეურნეობის ნამდვილ რეკონსტრუქციას. ისინი ვერ ერკვევიან იმაში, თუ როგორ პირობებში გვიხდება სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხებს გადაწყვეტა.

ის, ვინც პარტიას და ჩვენს ქვეყანას უდგენს იმგვარ მოთხოვნილებებს, რომელნიც მოთავსებული იყო „პრავდა"-ში 17 ნოემბრის თარიღით, ოპოზიციის კონტრ-თეზისებში, ის იჩენს მეტად დიდ მოუთმენლობას. ასეთ მოუთმენელ „პოლიტიკოსებს" სურთ გადაახტენ მთელ ეპოქას, რომელიც ჩვენ უნდა შევავსოთ ჩვენი საბჭოთა მუშაობით. რაშია აქ საქმე? საქმე იმაშია, რომ ავანაზღაურეთ რევოლიუციის ყველა ხარჯები და ეხლა უნდა ავანაზღაუროთ ის, რაც არ გაუკეთებიათ ჩვენს წინამორბედებს, ჩვენ უნდა გამოვასწოროთ დანაკლისი, რომელიც გამოწვეულ იქნა მათი უმოქმედობით. ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ეხლა ეწოდება საბჭოთა კავშირი, იყო არასაკმაოდ განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყანა. ამაზე ყოველთვის ამბობდენ. რუსეთის ბურჟუაზიამ ვერ გააკეთა ის, რაც გააკეთა სხვა ქვეყნის ბურჟუაზიამ, ჩვენ კი გვიხდება მუშაობა ამ რუსეთის ბურჟუაზიის მაგივრად, გვიხდება მისი უმოქმედობით გამოწვეული დანაკლისის ანაზღაურება.

მოთხოვნილებანი, რომლებსაც ოპოზიცია უდგენს ჩვენს ქვეყანას, სავსებით არ შეეფერება ჩვენი სახალხო მეურნეობის ნამდვილ მდგომარეობას. ისინი ახტებიან ამ მდგომარეობას. ეს არის დემაგოგიური ხასიათის მოთხოვნილებანი. მაგრამ იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, ოპოზიციას არ აქვს კონკრეტული პლატფორმა. ოპოზიცია ამბობს: სახელმწიფომ ეს უნდა მოგვცეს, ეს უნდა გააკეთოს. ოპოზიცია გეგმას არ აშენებს [illegible] არსებული მეურნეობის საფუძველზე, პირიქით, ჯერ სვამს ამოცანას და შემდეგ ხვდილობს შეუთანხმოს მას [illegible], რომელიც ეწინააღმდეგება ამ ამოცანას. ჩვენ ეხლა არა მარტო რეკონსტრუქცია უნდა მოვახდინოთ არსებული მრეწველობისა და მემკვიდრეობით მიღებული ინდუსტრიისა. ეს უკვე გაკეთებულია. ის ტეხნიკური ბაზა, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ ძველი მთავრობისაგან, ჩვენ გამოვიყენეთ სრული 100 პროცენტით, ეხლა უნდა ავაშენოთ ახალი, ე. ი. უნდა მოვახდინოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომ ამ ინდუსტრიალიზაციის ნიადაგზე ავაშენოთ სოციალისტური საზოგადოება.

თუ ჩვენ გამოვალთ იმ დებულებიდან, რომ ძველი ტეხნიკური ბაზა ამოწურულია სრული 100 პროცენტით, რომ ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც არ გააკეთა რუსეთის ბურჟუაზიამ, რომელიც ბატონობდა ჩვენს ქვეყანაში. თუ ჩვენ გამოვალთ იმ რესურსებიდან, რომლებიც აქვს ჩვენს ქვეყანას, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ სხვა გეგმა, სხვა პერსპექტივა, ვიდრე ის, რომელსაც გვაძლევს ჩვენი პარტია ცეკას უკანასკნელ გადაწყვეტილებებში, არ შეიძლება იქნას წარმოდგენილი.

### სამუშაო ხელფასი

მე თქვენ გაგაცნობთ რამოდენიმე ციფრს, რომელიც ახასიათებს საქმის ეხლანდელ ვითარებას. ეს ციფრები სავსებით უარჰყოფენ ოპოზიციის თეორიას და პრაქტიკას სამეურნეო მშენებლობის საკითხებში.

რაზე [illegible] ოპოზიცია? იგი ფიქრობს, რომ ჩვენ არ გვაქვს არავითარი ზრდა, და თუ არის ზრდა, ეს უმთავრესად არის კერძო და არა სოციალისტური სექტორის ზრდა.

ოპოზიცია გამოსავალ მდგომარეობას კატასტროფიულად სთვლის და ამბობს: „ჩვენ ეხლა განვიცდით კატასტროფიულ მდგომარეობას, და ამ კატასტროფიული მდგომარეობის ნიადაგზე, რასაკვირველია, შეუძლებელია გეგმების აგება". ასეთი მდგომარეობის დასაბუთებისათვის ოპოზიცია ამტკიცებს, რომ სოციალისტური მრეწველობის ტემპი ჩამორჩენილია კერძო კაპიტალისტური ელემენტებისაგან, რომ მუშათა კლასის მდგომარეობა ჩვენში დღითი-დღე უარესდება, უმუშევრობა იზრდება, სამუშაო ხელფასი ეცემა და სხ. მართალია თუ არა ეს? მე არ ვფიქრობ, რომ თქვენთვის საჭირო იყოს მრავალი ციფრების მოყვანა ამ საკითხზე; საკმაოა მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი და ცხადი გახდება, რომ ყოველივე ის, რასაც ჩვენი პარტიული პოლიტიკის უახლესი მტრები ამბობენ სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ სამუშაო ხელფასი ეცემა და მუშათა კლასის საარსებო დონე მცირდება. აი, ციფრები ამის შესახებ. სახელმწიფო საგეგმო კომისია, რომელიც გეგმავს ჩვენ მეურნეობას, გვაძლევს აგრეთვე სამუშაო ხელფასის ზრდასაც. დაახლოებითი საორიენტაციო ვარაუდით, მუშათა ფულადი შემოსავლის გადიდება ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული 26 პროცენტით. სამუშაო ხელფასის შესაძლებელი გადიდების საერთო რაოდენობა განისაზღვრება ჩვენი ფინანსიური შესაძლებლობით. სახელმწიფო მრეწველობის მუშის ხელფასს ჩვენ ვადიდებთ 25,7 პროცენტით, ხოლო მთელ მრეწველობაში 24,2 პროცენტით; ამასთანავე შესაბამისად უნდა გაიზარდოს პროდუქცია ერთ მუშაზე. სამუშაო ხელფასი სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში ნავარაუდევია გაიზარდოს 25,4 პროცენტით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მუშების გარდა 26,0 პროცენტით.

რაც შეეხება მუშათა კლასის წილს სახალხო შემოსავალში, მე მოვიყვან მთელ რიგ ციფრებს; ეს ციფრები ნათლად ამტკიცებენ იმ პირთა არაკეთილსინდისიერებას, რომელნიც გაიძახიან საარსებო დონის შემცირებაზე და სამუშაო ხელფასის დაკლებაზე. სახალხო შემოსავლიდან 1924—25 წელში მუშათა კლასის წილად მოდიოდა 32,2 პროც.; ხოლო 1927—28 წელში იგი აღწევს 40 პროც. როგორც ხედავთ, მუშათა კლასის წილი სახალხო შემოსავალში ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა 8 პროც. ეს სავსებით უარჰყოფს ოპოზიციის ყველა განცხადებებს ამ საკითხზე.

### უმუშევრობის საკითხი

ოპოზიციონერები ლაპარაკობენ უმუშევრობაზე. მართალია; ჩვენს ქვეყანაში არის უმუშევრობა. მაგრამ უმუშევრობის ძირითადი ელემენტი ჩვენს ქვეყანაში არის აგრარული მოსახლეობის სიჭარბე, ის რომ სოფელი ქალაქებში და სამრეწვ. ცენტრებში აგზავნის არაკვალიფიციური მუშა-ხელის დიდ რაოდენობას.

აი ციფრები, რომლებსაც იძლევა სახელმწიფო საგეგმო კომისია ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმაში. სოფლის მოსახლეობის დენა ქალაქებისაკენ ყოველწლიურად შეადგენს 500.000 კაცს მთელ კავკასიაში. იბადება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული ეს მუშა ძალები. ეს მუშათა ძალები განზრახულია გამოყენებულ იქნას სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციის საშუალებით, რომელშიაც უნდა ჩავაბათ უმუშევართა ძირითადი მასა, სამრეწველო მშენებლობის გაფართოებით, მრეწველობის რაციონალიზაციის და შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის საშუალებით. თქვენ იცით, რომ ოპოზიციას 7 საათის სამუშაო დღის შესახებ აქვს უარყოფითი თვალსაზრისი, და მას, ალბად, არ აქვს შეგნებული, რომ ეს არის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტისათვის.

სახელმწიფო საგეგმო კომისია ჩვენს უმუშევრობას ახასიათებს განსაკუთრებით აგრარული მოსახლეობის სიჭარბის ხაზით, როგორც უმთავრესად სეზონის გავლენას. ამიტომ ნავარაუდევია თავისუფალი მუშა-ხელის ჩაბმა სასოფლო მეურნეობაში და აღნიშნულია, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში ჩვენში არამც თუ არ იქნება უმუშევრობის დიდი ზრდა, არამედ პირიქით, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციას და ინდუსტრიალიზაციას მოუნდება ზედმეტი მუშა-ხელი და არც კი ეყოფა მუშათა არსებული რაოდენობა.

სახელმწიფო საგეგმო კომისია ამბობს:

„გავითვალისწინეთ რა სასოფლო-სამეურნეო შრომის სეზონურობას, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ აგრარული მოსახლეობის სიჭარბის პრობლემა მთელ კავკასიაში არ სდგას ისე მწვავედ, როგორც ბევრი ფიქრობს, და რომ 1931 წლის შემდეგ, როცა დაიწყება შრომის უნარის მქონე მოსახლეობის ზრდის ტემპის შემცირება (იმის გამო, რომ შრომის უნარის მქონეთა ასაკში შევლენ ომისა და რევოლიუციის პერიოდში დაბადებული ბავშვები), მაშინ ჩვენს წინაშე დადგება არა ამოცანა იმისა, რომ ბრძოლა ვაწარმოოთ სასოფლო-სამეურნეო მუშა-ხელის სიჭარბესთან, არამედ ამოცანა იმისა, რომ რაც შეიძლება გავაძლიეროთ შრომის ნაყოფიერება, რომლის საშუალებითაც შესაძლოა უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო მეურნეობის პროდუქციის საკმაო ტემპი".

### პარტიის წევრობასთან შეუთავსებელია

მე ვფიქრობ, რომ არ ღირს შევჩერდეთ ოპოზიციის განცხადებაზე იმის შესახებ, რომ ჩვენი მოსახლეობის სულობრივი მოხმარება ნაკლებია კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით. საოცარი იქნებოდა რომ ეს ასე არ ყოფილიყო. ძველ დროში რუსეთის კაპიტალიზმი ძალიან იყო ჩამორჩენილი ევროპის ქვეყნების კაპიტალიზმისაგან. მას შემდეგ კი ჩვენი ქვეყანა გაადგურებულ იქნა. და ეხლა, როცა ჩვენ ხელმეორედ გვიხდება ჩვენი ეკონომიკის აგება, მოთხოვნა იმისა, რომ ჩვენი სულობრივი მოხმარება გაუთანასწორდეს ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის და სხ. სულობრივ მოხმარებას, ეს ძალიან უცნაური იქნებოდა. ასეთ მოთხოვნილებებს ჩვენ ვაყენებდით თავის დროზე, როცა ვებრძოდით ცარიზმს, და ავცხადებდით, რომ ჩვენი მუშისა და გლეხის სულობრივი მოხმარება ჩამორჩენილია ევროპის ქვეყნების მუშათა და გლეხთა სულობრივ მოხმარებასთან შედარებით. მაგრამ პარტიის წევრების მიერ ასეთი მოთხოვნილების წაყენება საკუთარი პარტიისადმი ჩემის აზრით, სრულებით შეუთავსებელია პარტიის წევრობასთან. ასეთი მოთხოვნილებანი შეიძლება მემარცხენე ოპოზიციამ წარუდგინოს კაპიტალისტურ მთავრობას ევროპის პარლამენტებში, მაგრამ ჩვენში დაუშვებელია.

### განსაზოგადოებული სექტორის ზრდა

შემდეგ, ოპოზიცია ამბობს, რომ ჩვენი მრეწველობის ტემპი ჩამორჩენილი არის ჩვენი ქვეყნის კერძო სამეურნეო ელემენტების ზრდის ტემპისაგან.

ნება მომეცით მოვიყვანო რამდენიმე ციფრი, რომელიც არის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის განკარგულებაში და რომელიც ახასიათებს საქმის ნამდვილ ვითარებას. სახელმწიფო საგეგმო კომისია ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორი მდგომარეობა უჭირავს სახალხო მეურნეობაში განსაზოგადოებულ სექტორს კერძო-სამეურნეო სექტორთან დაპირდაპირებით. 1926—27 წლის საერთო პროდუქციიდან—65,6 მილიარდი მანეთიდან, განსაზოგადოებული სექტორის წილად მოდის 41.600 მილიონი ჩერვ. მანეთი, ანუ 63,4 პროც.; ხოლო 1931—32 წელში, 5 წ. ბოლოს, საერთო პროდუქციის რაოდენობა განსაზღვრულია 88.900 მილიონი მან.; აქედან განსაზოგადოებული სექტორის წილად მოდის უკვე 61.900 მილიონი მან.; ანუ 69,6 პროცენტი. ამ ციფრების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად „ჩამორჩება" განსაზოგადოებული სექტორი თავის განვითარებაში და ტემპში კერძო სამეურნეო სექტორს.

განსაზოგადოების პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა სავაჭრო ბრუნვაში.

სხვათა შორის, ოპოზიცია თავის პლატფორმაში ამტკიცებს, რომ მთელი სამრეწველო პროდუქციის 50 პროცენტს მოსახლეობა (მუშათა კლასი და გლეხობა) იღებს კერძო სავაჭრო აპარატის საშუალებით. აი, ციფრები ამის შესახებ: საერთო პროდუქციიდან 89,6 პროც. სავაჭრო ბრუნვაში უჭირავს განსაზოგადოებულ სექტორს, ტრანსპორტში—99,3 პროც., მრეწველობაში (ფაქტიურად)—86,8 პროც. და მშენებლობაში—67,5 პროც.

განსაზოგადოების პროცენტი სასოფლო მეურნეობაში, რასაკვირველია, გაცილებით ნაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაზოგადოებული სექტორის წილი მიმდინარე 1926—27 წ. აქაც იზრდება 11.9 პროცენტიდან 15.5 პროცენტამდე. კერძო-სამეურნეო სექტორს ქალაქის მრეწველობაში არ უჭირავს დიდი ადგილი, ხოლო კერძო მეურნეობის ძირითადი წილი, რასაკვირველია, ეკუთვნის სოფლის მოსახლეობას, გლეხობას. მაგრამ აქაც, მრავალმილიონი გლეხების გაფანტულ მასაში, განსაზოგადოების სექტორი ყოველწლიურად გაიზრდება და 5 წლის დასასრულში მიაღწევს 15,5 პროცენტამდე.

საკითხის ისეთი დასმა, როგორც აყენებს ოპოზიცია, გამომდინარეობს მისი შეხედულებებიდან გლეხთა საკითხზე. ტროცკი, როგორც იცით, მაშინაც კი, როცა იგი სცნობდა, რომ ჩვენი მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე კერძო სამეურნეო სექტორი (ეს იყო 2—3 წ. წინეთ, 1925 წელში), იგი მაშინაც, როცა დაიბეჭდა წერილი, რომელიც ახასიათებდა სახელმწ. საგეგმო კომისიის პირველ საკონტროლო ციფრებს, ამტკიცებდა, რომ დავაში: ვინ—ვის?—სოციალისტური სექტორი ჩვენს ქვეყანაში იმარჯვებს და გაიმარჯვებს. შემდეგში მან ამ წიგნაკის წინასიტყვაობაში სახელმწიფო მრეწველობა დაუპირდაპირა კერძო-სამეურნეო სექტორს, 22 მილიონ გლეხურ მეურნეობას. იგი ამათ უპირდაპირებდა ერთმანეთს. აქედან გამომდინარეობს ეხლანდელი თვალსაზრისი, რომელსაც ოპოზიცია გვაწვდის თავის პლატფორმაში.

ვნახოთ, როგორ ნაწილდება სახალხო შემოსავალი სოციალური სექტორების მიხედვით. 1926—27 წელში 24.600 მილიონ მან. სახალხო შემოსავლიდან განსაზოგადოებული სექტორის წილად მოდიოდა 12 მილიარდი მანეთი, ანუ 48.90 პროც., ხოლო 5 წლიანი საორიენტაციო საპერსპექტივო გეგმით 1931—32 წ. უნდა იყოს 33,5 მილიარდი მან. სახალხო შემოსავლიდან განსაზოგადოებული სექტორის წილად მოვა 53.5 პროც. განსაზოგადოებული შემოსავალი ყველაზე მეტია ვაჭრობაში, ტრანსპორტში, მრეწველობაში და მშენებლობაში. ყველაზე ნაკლები განსაზოგადოებული შემოსავალი არის სასოფლო მეურნეობაში.

სახელმწიფო სექტორის ზრდის ნივთიერ ბაზას შეადგენს მისი ძირითადი ფონდების ზრდა, რომელსაც ახასიათებს კაპიტალისტური ხარჯების დაბანდება სახელმწიფო სექტორში 20,2 მილიარდი მანეთის რაოდენობით ხუთი წლის განმავლობაში—1927—28 წლიდან 1931—32 წლამდე. კაპიტალური ხარჯები 1926—27 წელში შეადგენდა 2,2 მილიარდ მან.; ხოლო 1931—32 წელში იქნება 4,5 მილიარდი მან. კაპიტალური ხარჯები 5 წლის განმავლობაში გაიზრდება—73 პროცენტით.

ოპოზიციონერები ლაპარაკობენ კაპიტალურ ხარჯებზედაც, ამბობენ, რომ კაპიტალური ხარჯები მეტად უმნიშვნელოა, რომ მას განსაზღვრავს მრეწველობის განვითარების ტემპი და სხვა.

მე ვფიქრობ, რომ ეს ციფრები საკმაოდ ამტკიცებენ იმას, რომ ჩვენი დღევანდელი სამეურნეო მდგომარეობა, როგორც გამოსავალი მდგომარეობა, სავსებით უზრუნველყოფს ჩვენი მრეწველობის გაფართოებას, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას იმ ფარგლებში, რომელიც დასახულია ჩვენი ხელისუფლების მიერ.

ჩვენი გეგმით განვითარების ტემპი გათვალისწინებულია იმ მთავარი დებულებებთან სრულ შეფარდებით, რომელიც მე თქვენ წაგიკითხეთ პარტიის მე-9 ყრილობის რეზოლიუციიდან. ჩვენ არ შეგვიძლია დავაჩქაროთ ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპი, თუ სავსებით არ შევუფარდეთ ეს მუშაობა გლეხურ მეურნეობის დონეს, ქვეყნის მატერიალური რესურსების დონეს.



ამხ. შ. ელიავა

### მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი

ოპოზიცია აყენებს საკითხს ტემპის შესახებ და ამბობს, რომ არა საკმაო ტემპი აიხსნება იმით, რომ ჩვენი კავშირის მთავრობას და ჩვენს პარტიას არ სურს ის საშუალებათა ამოღება სახალხო მეურნეობიდან, რომელიც შეიძლება მოხმარებული ყოფილიყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. ოპოზიცია პირდაპირ მოითხოვს საშუალებათა ამოქაჩვას სასოფლო მეურნეობიდან ინდუსტრიალიზაციის უფრო ჩქარი ტემპის მისაღწევად. აქედან გამომდინარეობს მათი მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხელისუფლე[illegible] და ისესხოს კუ-

---

# საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

### სკანდალი „კეთილშობილ ოჯახში".—პოლონეთი ლიტვის წინააღმდეგ. — ევანსის „ავტორიტეტული ცნობები".—ინდოეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

ქართულ ემიგრაციას „საჯაყი" საქმე დაემართა. ის დაჭერილ იქნა სისხლის სამართლის დანაშაულის ალაგას. გერმანიის პოლიციამ გამოააშკარავა „ჩვენი" მენშევიკების და სხვა ქართველ ემიგრანტების ორგანიზაცია, რომელიც ყალბ ჩერვონცებს ამზადებდა. ეს „წარმოება" მათ ძალიან ფართოთ ჰქონიათ დაყენებული: აღმოჩენილ იქნა 150 ფუთამდე ყალბი ჩერვონცი. ამასთან ირკვევა, რომ მენშევიკები, გერმანიის გარდა, ჰუნგრეთის და საფრანგეთშიც ეწეოდენ ამ „მოღვაწეობას". ამიერიდან ქართველი მენშევიკები არიან არა მარტო მშრომელი ხალხის მოღალატენი, და იმპერიალისტების აგენტები, არამედ ყალბი ფულის მჭრელებიც, ე. ი. იმ „ხელობის" ოსტატები, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე სამარცხვინოთ ითვლებოდა ყველასათვის.

რაც არ უნდა ეცადონ ემიგრაციის მეთაურებმა, ჟორდანია - რამიშვილებმა ამ სკანდალიდან გამოძვრენა, ამას ისინი ვერ მოახერხებენ. მენშევიკი საღირაშვილი, რომელიც ყალბი ჩერვონცების დამზადების მომწყობია, ცხადია,—მოქმედობდა მენშევიკების საზღვარგარეთელი ცენტრის დასტურით და კარნახით, ის მათი დავალების ტეხნიკური ამსრულებელია. გერმანული გაზეთების გადმოცემით ჟორდანიას „მთავრობა" არ უარყოფს, რომ საღირაშვილთან მას „მუდმივი კონტაქტი ჰქონია", ხოლო „კავკასიის განთავისუფლების კომიტეტის" მეთაური სპ. კედია აღიარებს, რომ საღირაშვილი ამ კომიტეტის „ფრიად აქტიური წევრი იყო". ასეთ პირობებში, აშკარაა, არავითარი ღირებულება არა აქვს ემიგრაციის მესვეურების განცხადებას, რომ თითქო საღირაშვილი „თავისი ინიციატივით" მოქმედებდა, თითქო ამის შესახებ მათ არაფერი იცოდენ.

რა მიზანს ისახავდა მენშევიკების ეს „ფინანსიური წამოწყება"? საქართველოდან გატაცებული ქონება კარგა ხანია მათ გაფლანგეს და უმუშევრად დარჩენილ ემიგრანტებს ხომ ცხოვრება უნდათ, ხელგაშლილი ცხოვრება, რომელსაც ისინი შეჩვეულნი იყვნენ საქართველოში ბატონობის დროს. მაგრამ უფრო საყურადღებო, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ყალბი ჩერვონცების საშუალებით მათ სწადიათ ჩვენი ქვეყნის „გაბედნიერება", მისი „განთავისუფლება", ე. ი. მშრომელთა წყობილების დამხობა. ეტყობა, კაპიტალისტები და მათი მთავრობები ფულად დახმარებას არც ისე დიდი ხალისით უწევენ ჟორდანიას „მთავრობას", ვინაიდან მათ მიერ საქართველოში აჯანყების მოწყობის მიზნით გაღებული არა [illegible] თანხები უშედეგოდ დაიკარგა, ემიგრაციამ იმპერიალისტების იმედი გაცრუა და ამის შემდეგ გასაგები, რომ მისთვის სუბსიდიების მიცემაში ისინი „სიძუნწეს" იჩენენ.

სამაგიეროდ კაპიტალისტები მენშევიკებს ეხმარებიან ყალბი ჩერვონცების დამზადების საქმეში. აქ გარეულია დეტერდინგის სანავთო ფირმის ბერლინელი წარმომადგენელი და თვითონ დეტერდინგი. მილიარდერ დეტერდინგს შესაძლებლად მიაჩნია ყალბი ფულების დამზადება. კაპიტალისტების ჩვეულებრივ ბნელ კომბინაციებს და ზნე-ჩვეულებას თუ მივიღებთ მხედველობაში, ეს ჩვენთვის გასაგები იქნება. მაგრამ დეტერდინგის ამ ბოროტმოქმედების მზეზე გამოტანა უეჭველად დიდი სკანდალია მისთვის და მისი სანავთო კომპანიისათვის, აგრეთვე ინგლისის მთავრობისათვისაც, რომელთანაც ის მჭიდროდაა დაკავშირებული. ამიტომაა, რომ ინგლისის მთავრობა ცდილობს გერმანიის მთავრობაზე ზეგავლენა მოახდინოს, რათა დეტერდინგი ამ „უხერხულ" მდგომარეობიდან გამოყვანილ იქნეს.

დეტერდინგი და ქართველი მენშევიკები სისხლის სამართლის დანაშაულამდე მიიყვანა საერთო პოლიტიკურმა მიზანმა — საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლამ. ჟორდანია, როგორც „8 ურ აბენბლატ" იუწყება, უარს არ ამბობს იმაზე, რომ მას მუდმივი კონტაქტი ჰქონდა დეტერდინგთან. უკანასკნელი ემიგრაციის საშუალებით ფიქრობდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და ბაქოს ნავთის დაუფლებას, ხოლო სამაგიეროდ ემიგრაცია მას ფინანსიურ დახმარებას შესთხოვდა. და აკი ეს დახმარება აღმოჩენილ იქნა... ყალბი ჩერვონცების დამზადების სახით.

მენშევიკების აფიორა უდიდესი სკანდალია არა მარტო მათთვის,—არამედ მთელი მეორე ინტერნაციონალისათვის, რომლის მფარველობის ქვეშ ისინი იმყოფებიან. როგორ გამოეხმაურებიან გერმანელი სოციალისტები ამ აფიორას? მოსალოდნელია, რომ ისინი პირში წყალს ჩაიგუბებენ, ან დაკმაყოფილდებიან ჟორდანიების ფორმალური განმარტებით და ამ გზით სოლიდარობას გამოუცხადებენ ყალბი ფულის მჭრელებს. ასევე ჩაუვლიან ისინი დეტერდინგთან ქართველ მენშევიკების კავშირის გამომჟღავნებას: გერმანელი სოციალ - მოღალატენი ხომ თითონ მზად არიან ყველას შეუთანხმდენ და შეუთანხმდებიან კიდეც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კამპანიაში.

რანაირი იქნება გერმანიის მთავრობის პოზიცია? ის იძულებულია მოუდგომლად გამოიძიოს საქმე და პასუხისგებაში მისცეს არა მარტო მისი ტეხნიკური, არამედ პოლიტიკური ორგანიზატორები. ყალბი ფულის მჭრელებ თავშესაფარი არ უნდა ექნეთ არსად. მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ გერმანიის მთავრობა ამას მოისურვებს და შესძლებს. ამ ისტორიაში, გარდა დეტერდინგთან ერთად, ჩარეული არიან გერმანიის მემარჯვენე ელემენტებიც. ვერც დეტერდინგს და მის აგენტებს, ვერც ამ ელემენტებს ის ხელს არ ახლებს. მოსალოდნელია რომ პროცესს დააწვრილმანებენ, ვიწრო სისხლის სამართლის ფარგლებში მოაქცევენ, დაფიორის მთავარი „გმირები" განზე დარჩებიან.

მაგრამ როგორადაც არ უნდა გათავდეს საქმე ფორმალურად, ჟორდანიებს და დეტერდინგი ყალბი ფულის მკეთებელთა დაღს შუბლიდან ვერ აიცილებენ. ხოლო საქართველოს მშრომელი მასები სათანადოდ შეაფასებენ მენშევიკების ამ გაუგონარ გახრწნას და აქედან სათანადო დასკვნებს გამოიტანენ.

⁂

პოლონეთ - ლიტვის ურთიერთობის გამწვავებამ ბოლო ხანებში უკიდურეს წერტილს მიაღწია. მათი დავის საგანი პირველ ყოვლისა შეადგენს ლიტვის კუთვნილ ვილნოს ოლქი, რომელიც პოლონეთმა 1920 წ. დაიპყრო. პილსუდსკი ცდილობს, რათა ლიტვის მთავრობას „დააკანონებინოს" ეს დაპყრობა და ვილნო პოლონეთის ტერიტორიად გამოაცხადებინოს. ასეთი ფორმალური დადასტურება პილსუდსკის ესაჭიროება იმიტომ, რომ ამის შემდეგ სხვა სახელმწიფოებს საბაბი არ ექნებათ პოლონეთს მოსთხოვონ ვილნოს დაბრუნება ლიტვისათვის, რომ ამ გზით ის აიძულონ სხვა საკითხებში დათმობაზე, რომელნიც მათ აინტერესებენ.

პილსუდსკის იმპერიალისტური მადა მარტო ვილნოთი არ განისაზღვრება. ის ლამობს მთელი ლიტვის გადაყლაპვას. ხაზგასასმელი აქ ის არის, რომ ამაში დაინტერესებულია ლონდონი. შუბლმაგართა გეგმა ამ შემთხვევაში ასეთია: პოლონეთისათვის ლიტვის შეერთების და მისთვის მემელის ნავთსადგურის გადაცემის სამაგიეროდ გერმანიას უნდა დაუბრუნდეს დანციგი: ამან შესაძლებელი უნდა გახადოს გერმანია - პოლონეთ შორის არსებული უთანხმოების მოსპობა და პოლონეთს ხელ-ფეხი უნდა გაუხსნას საბჭოთა კავშირზე გამოლაშქრებისათვის; ასეთმა კომბინაციამ გერმანიაც უნდა ჩააბას ანტი-საბჭოთა ბლოკში. ყოველ შემთხვევაში ის პოლონეთის მიმართ „კეთილ განწყობილ ნეიტრალიტეტის" პოზიციაზე დააყენოს.

მაგრამ გერმანია ეწინააღმდეგება ასეთ გეგმის განხორციელებას. ეს, ჯერ — ერთი, იმიტომ, რომ მემელზე ი. თითონ აცხადებს პრეტენზიებს... მემელი, რომელიც უმთავრესად გერმანელებითაა დასახლებული, ომამდე, გერმანიის ტერიტორიას შეადგენდა, მხოლოდ ვერსალის „ზავით" ჩამოართვეს მას და 1923 წ. ომში გამარჯვებულ ქვეყნების დასტურით დაკავებულ იქნა ლიტვის მიერ... თუ ლიტვა პოლონეთს შეუერთდა, გერმანიას მემელის დაბრუნების იმედი დაეკარგება. მეორე, გერმანიას იმედი არა აქვს, რომ პოლონეთი დათანხმდება მისთვის დანციგის დაბრუნებაზე, თუ გინდ პოლონეთისათვის ლიტვის შეერთების შემდეგ; მესამე, გერმანია ეკონომიურ და საერთაშორისო პოლიტიკის მოსაზრებით დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების შენარჩუნებით.

სხვათა შორის, გერმანიის ასეთი პოზიციით აიხსნება, რომ ლიტვაში შარშან მომხდარ ფაშისტურ გადატრიალებას, რომელიც პილსუდსკის მიერ იყო მოწყობილი, არ მოყვა ლიტვის შეერთება პოლონეთთან. გერმანიის ზეგავლენით ლიტვის ფაშისტურ მთავრობაში შეყვანილ იქნენ არა მარტო პოლონეთის ორიენტაციის მომხრე „ქრისტიანულ დემოკრატები", არამედ მისი მოწინააღმდეგე ელემენტებიც (ნაციონალისტები).

რაკი ფაშისტურმა გადატრიალებამ პილსუდსკის სასურველი შედეგი არ მოიტანა, ის „საქმეს" სხვანაირად უვლის. პილსუდსკი თავს უყრის ლიტველ ემიგრანტებს და მათი საშუალებით სურს ლიტვის დაპყრობა. ეს ბნელი განზრახვა გამოაშკარავებულ იქნა ამ ემიგრანტების კონგრესზე, რომელიც შესდგა რიგაში 6—7 ნოემბერს. ლიტველი ემიგრანტი, მენშევიკი პლეშკაიტისი გამოვიდა რეზოლიუციით პოლონეთთან შეთანხმების და ვილნოს მის ტერიტორიად აღიარების შესახებ... პლეშკაიტის ასეთი თვალსაზრისის სარჩული გამოამჟღავნა კონგრესის მეორე დელეგატმა, ვიგონისმა, რომელმაც სთქვა, რომ რიგის კონგრესი მოწყობილია პოლონეთის მთავრობის მიერ და პლეშკაიტიში მისი აგენტიაო. პოლონელ იმპერიალისტების მიზანი შემდეგია: ლიტველ ემიგრანტებს მოაწყობინოს აჯანყების ინსცენიროვკა და მათ თავისი ჯარები მიაშველოს ლიტვის მთავრობის დასამხობად. მენშევიკი პლეშკაიტისი ფაშისტ პილსუდსკის დახმარებით ფიქრობს ლიტვის მთავრობის ჩამოგდებას და „დემოკრატიულ" წყობილების დამყარებას. განა ეს სასაცილო არ არის! ფაშისტმა პილსუდსკიმ ლიტვა უნდა გაანთავისუფლოს ვოლდემარასის ფაშისტურ რეჟიმისაგან. რით სჯობია ერთი მეორეს,—ეს პლეშკაიტისის „ღრმა საიდუმლოებას" წარმოადგენს. ფაქტი მხოლოდ ის არის, რომ ლიტველ ემიგრანტებს გადაუწყვეტიათ თავის ქვეყნის დამონება პილსუდსკისათვის და ამით საერთაშორისო მდგომარეობის გართულება.

პილსუდსკი გამალებულ მუშაობას ეწევა ამ განზრახვის განსახორციელებლად. იგი ეთათბირება ლიტველ ემიგრანტებს და იმუშავებს გეგმას ლიტვაზე შეიარაღებული თავდასხმისათვის. ასეთ ნაბიჯებს კვერს უკრავენ ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები. ამაოდ ეძებს ლიტვა თავის უფლებების დაცვას ერთა ლიგაში, რომელსაც მან რამოდენიმეჯერ მიმართა პოლონეთზე საჩივრით. ლიგაში გაბატონებული ინგლისი და საფრანგეთი აშკარად პოლონეთის მხარეზეა.

პილსუდსკის ავანტიურა სერიოზულ დაბრკოლებებს წააწყდება. პირველ ყოვლისა საბჭოთა კავშირი ვერ შეურიგდება მას, ვინაიდან ეს ავანტიურა მიმართულია არა მარტო ლიტვის, არამედ ჩვენს წინააღმდეგაც. ამასთან გერმანიაც გულგრილად ვერ შეხვდება პოლონეთის ამ ნაბიჯს. გარდა ამისა, ლიტვის გადაყლაპვა პოლონეთის მიერ უკანასკნელს გააძლიერებს და მის ჰეგემონიას დაამკვიდრებს ბალტიის სხვა სახელმწიფოებზე, რაც უკანასკნელებისათვის მიუღებელია. ყოველ შემთხვევაში მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპაში მეტად გამწვავებულია და მშვიდობიანობის დარღვევით იმუქრება, თუ პილსუდსკის მადა დროზე არ იქნა შეკვეცილი.

⁂

ლოიდ - ჯორჯის საპასუხოთ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ევროპის სახელმწიფოებს ამჟამად თავის განკარგულებაში ჰყავთ ათი მილიონი ჯარის კაციო, ამ დღეებში განცხადებით გამოვიდა ინგლისის სამხედრო მინისტრი ვორტინგტონ ევანსი. მან სასაცილოდ აიგდო ყოფილ პრემიერის ეს გამოანგარიშება და აღნიშნა: „ავტორიტეტული ცნობები ამტკიცებენ, რომ ამჟამად ევროპაში თოფ ქვეშ იმყოფება 3.552.000 კაცი, აქედან 1.124.000 საბჭოთა კავშირში"-ო. შემდეგ ევანსმა დასძინა, ინგლისის ხარჯები ჯარზე, რომელიც 1921 წ. უდრიდა 82 მილიონ გირვანქა სტერლინგს 1927 წ. შემცირდა 41 მილიონამდე, მაშინ, როდესაც ხარჯები წითელ არმიაზე, რომელიც 1924—25 წ. შეადგენდა 43 მილ. გირვანქა სტერლინგს, 1926 — 27 წ. გაიზარდა 67 მილიონამდე"-ო.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ინგლისის მთავრობის „პასუხისმგებელი" წევრი ასეთ განცხადებას აკეთებს ე. წ. განიარაღების კომისიის სესიის წინ. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ამ გამოსვლით კონსერვატორების მთავრობა ამზადებს „საზოგადოებრივ აზრს" გარკვეული მიმართულებით. მისი მიზანია იმის „დამტკიცება", რომ თითქო კაპიტალისტურ ქვეყნებს დღეს გაცილებით ნაკლები შეიარაღებული ძალები ჰყავდეთ, ვინემ მსოფლიო ომის წინ; ამით მას სურს მიჩქმალოს იმპერიალისტების გამალებული შეიარაღება, მათი მზადება ომისათვის და მიაძინოს მშრომელთა სიფხიზლე მომავალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის საფრთხის წინაშე, გაუღვიძოს მათ პაციფისტური ილიუზიები. შემდეგ, ბოლდუინის მთავრობა ცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ინგლისი მშვიდობის მოყვარე სახელმწიფოა,—წარმოადგინეთ მას სამხედრო ხარჯები სანახევროდ შეუმცირებია (?!). ბოლოს, ყველაზე უფრო შეიარაღებული და იმპერიალისტური სახელმწიფო თურმე საბჭოთა კავშირია, რომელსაც ვითომდა თოფ ქვეშ 1.124000 კაცი ყავს ე. ი. ევროპის ყველა ქვეყნების არმიების თითქოს მესამედი... ევანსს მოყავს არა დამრგვალებული, არამედ ზედმიწევნით „სწორი ციფრები", რათა თავის განცხადებას უფრო დამაჯერებელი სახე მისცეს. წითელი არმიის და ჩვენი სამხედრო ხარჯების შესახებ ასეთი ყალბი ცნობების გავრცელებით ევანსი ცდილობს საბჭოთა კავშირისათვის არახელსაყრელი განწყობილება შექმნას განიარაღების კონფერენციაზე და ფასი დაუკარგოს საბჭოთა მთავრობის წინადადებებს განიარაღების შესახებ.

მაგრამ ევანსის მთელი უბედურება იმაშია, რომ „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს". მას იმდენად დაუკარგავს ზომიერების გრძნობა სიცრუის შეთხზვაში, რომ მისი „ავტორიტეტული ცნობები" სინამდვილე საეჭვო ხდება გულუბრყვილო და საქმის გაუცნობელ ადამიანისათვისაც კი. მართლაც, მდგომარეობა სულ სხვაგვარია, ვინემ ის, რასაც ინგლისის სამხედრო მინისტრი ასე „ავტორიტეტულად" გვეუბნება.

რა თქმა უნდა, მართალია, ლოიდ ჯორჯი, რომელიც ევროპას ჯარებს ათი მილიონი კაცის რაოდენობით ანგარიშობს. კიდევ მეტი: ლორდი როტემირი ევანსის საპასუხოთ აცხადებს:

„ევროპაში იმყოფება არა ნაკლებ 20 მილიონი კაცისა, რომელთაც შესწავლილი აქვთ სამხედრო საქმე. ევროპის არსენალებში მოიპოვება იმდენი რაოდენობის სამხედრო მასალები, რამდენიც საკმაოა მთელი ამ მასსის დაუყონებლივ შეიარაღებისათვის". არავითარი საფუძველი არა გვაქვს, ლოიდ ჯორჯსა და როტემირს არ დაუჯეროთ. ფაქტია, რომ კაპიტალისტურ ევროპას დღეს გაცილებით უფრო მეტი შეიარაღებული ძალა გააჩნია, ვინემ 1914 წ.

ევანსის სიცრუე კერძოდ წითელ არმიის რაოდენობის შესახებ განა უარყოფას საჭიროებს? მან მშვენივრად იცის, რომ, ჩვენ წითელ არმიაში, საზღვაო და საჰაერო ფლოტების შემადგენლობასთან ერთად, გვყავს 562.000 კაცი და არა ფანტასტიური 1.124.000 კ., როგორც ევანსი უტიფრად სტყუის. რამდენად მცირეა აღნიშნული რიცხვი შედარებით კაპიტალისტურ ქვეყნების ჯარების რაოდენობასთან, ეს ნათელი გახდება, თუ მივიღებთ მხედველობაში საბჭოთა კავშირის და ამ ქვეყნების მოსახლეობის და ტერიტორიის სიდიდეს. საბჭოთა კავშირს, რომლის ტერიტორია შეადგენს 20.939.014 კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა უდრის 146 მილიონ კაცს, ყავს, როგორც ვსთქვით, 562.662 შეიარაღებული კაცი, ხოლო. მაგ., საფრანგეთს (551.000 კილ. ტერ. 40 მილიონ მცხოვ.), 700.000 ჯარისკაცი, პოლონეთს (38600 კილ. ტერ., 28 მილიონ მცხოვრები), 270.000 ჯარისკაცი. დაახლოვებით ასეთი შეფარდება არსებობს დანარჩენ კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და საბჭ. კავშ. შორის. სხვათა შორის, ამიტომაა, რომ ისინი უარს აცხადებენ საბჭოთა მთავრობის მიერ არა ერთხელ წამოყენებულ წინადადების მიღებაზე, რომ შეიარაღებულ ძალა შემცირებულ იქნას ტერიტორიის სივრცის და მოსახლეობის რიცხვის მიხედვით პროპორციულად. ამ წინადადებაზე დათანხმება გამოიწვევდა მათი ჯარების სამჯერ და ოთხჯერ შემცირებას.

რაც შეეხება სამხედრო ხარჯებს, ევანსი აქაც ისევე სტყუის, როგორც ჯარების რაოდენობის საკითხში. ჩვენი სამხედრო ხარჯები უდრის მეფის 1913 წლის სამხედრო ბიუჯეტის მხოლოდ 40 პროც.-ს. სახელმწიფო ბიუჯეტში მისი ხვედრითი წონა თანდათან მცირდება. ასე, მაგ. 1924—25 წ. ის შეადგენდა საერთო ბიუჯეტის 14 პროც. ხოლო 1926—27 წ. 12,7 პროც.. ამავე დროს კაპიტალისტური სახელმწიფოები შეიარაღებაზე ხარჯავენ სახ. ბიუჯეტის 20—40 პროცენტამდე. კერძოდ აღსანიშნავია, რომ ინგლისის სამხედრო ხარჯებმა, რომლებიც 1913 წ. უდრიდა 860 ათას ოქროს მან.—1927 წ. მიაღწია 1.115 ათას მან.,—1913 წ. შედარებით გაიზარდა 30 პრ. ევანსი კი ყვება ზღაპარს, თითქო ინგლისის სამხედრო ხარჯები 50 პრ. შემცირებიოს. მის ციფრების ღირებულებას კარგად აშკარავებს ის გარემოება, რომ ის არაფერს ამბობს საზღვაო და საჰაერო ფლოტზე გაწეულ ხარჯების შესახებ. ცხადია, რატომ: ინგლისი სწორედ საზღვაო ფლოტზე იღებს აუარებელ საშუალებებს, რომელთა გამოქვეყნება, თუ გინდ აუცილებლად შემცირებულ ოფიციალური ცნობების მიხედვით, ყველაზე ნაკლებად დაამტკიცებდა ინგლისის მშვიდობიანობის მოყვარეობას.

ასეთია მდგომარეობა. ევანსი თავის „გამოანგარიშებით", ცხადია, ვერ შესძლებს იმ უდავო ფაქტის დამალვას, რომ იმპერიალისტური ქვეყნები, და მათ შორის ინგლისი, სულ უფრო იარაღდებიან, ადიდებენ მილიტარიზმის ტვირთს და ომისათვის ემზადებიან. ხოლო საბჭოთა კავშირი, პირიქით, ამცირებს ჯარს და სამხედრო ხარჯებს და მშვიდობიანობის საქმეს ემსახურება. საბჭოთა დელეგაცია ჟენევის კონფერენციაზე ამ მხრივ ნამდვილ სურათს გადაშლის.

⁂

ინგლისის სამხედრო მინისტრი ევანსი, რომლის განცხადების შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი, უკანასკნელ ცნობით ინდოეთში გაემგზავრა. ევანსი, რომელიც ინგლისის „მშვიდობის მოყვარეობას" გვიმტკიცებდა, ცხადია, [illegible] „სამშვიდობო" ზრახვებით გაემგზავრა ინდოეთისაკენ. თუ რანაირია ის ზრახვები, ამას ნათლად გვიჩვენებს ურთიერთობის ის გამწვავება, ინდოეთისა და ინგლისის შორის, რომლის მოწმენი ჩვენ ვართ.

ინდოეთი თავის 4.700.000 კილომეტრიან ტერიტორიით და 320 მილიონიანი მოსახლეობით ინგლისის იმპერიალიზმის საწველ ფურს წარმოადგენს ის პოლიტიკურად უფლება აყრილია და ეკონომიურად დამონებული. ინდოეთი დიდი ხანია იბრძვის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისათვის და არამკითხე მზრუნველების — ინგლისელების თარეშის მოსასპობად. ნაციონალურ - განმანთავისუფლებელი მოძრაობა თანდათან უფრო ძლიერდება, მაგრამ დღემდე ინგლისის იმპერიალიზმი მაინც ინარჩუნებს თავის ბატონობას. ინდოელ ნაციონალისტების ზეგავლენით ინგლისის მიერ ინდოეთში 1919 წ. შემოღებული წარმომადგენლობითი დაწესებულებები პარლამენტარიზმის კარიკატურაა და სხვა არაფერი. არავითარი პარლამენტარიზმი და ნამდვილი თვითმართველობა ინდოეთში არ არსებობს. უმაღლესი ხელისუფლება ინდოეთში ეკუთვნის ინგლისის მეფის მიერ დანიშნულ მინისტრს, რომელსაც უფლება აქვს ვეტო დაადოს საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებებს და რომლის კანტროლს ექვემდებარება ინდოეთის მთელი პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრება.

ასეთი მდგომარეობის წინააღმდეგ ინდოეთის ყველა პროგრესიული ელემენტები ენერგიულად იბრძვიან, მათ უნდათ ჯერ - ჯერობით მეტი დამოუკიდებლობა და საბოლოო ანგარიშით სრულებით განთავისუფლონ ქვეყანა ინგლისელების უღლისაგან. და აი, ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა საკენკი გადაუგდოს ინდოეთს, უმნიშვნელო „რეფორმები" გაატაროს, რომ არსებითად მთელი ძალა-უფლება შეინარჩუნოს. კონსერვატორების მთავრობამ ამ „რეფორმების" ჩასატარებლად დანიშნა საპარლამენტო კომისია. აქ აღსანიშნავი ის არის, რომ ამ კომისიაში შედიან მხოლოდ ინგლისელები, ისიც, რა თქმა უნდა, ინდოეთის დაუძინებელი მტრები, ხოლო ინდოეთის არც ერთი წარმომადგენელი არ არის კომისიაში მოწვეული. ამ გარემოებამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია მთელი ინდოეთის მოსახლეობაში. გამოაქვთ რეზოლიუციები ხსენებული კომისიისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, საერთოთ ძლიერდება ანტი-ინგლისური მოძრაობა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მუშათა პარტიამ მაკდონალდის მეთაურობით ვერაფერი გამონახა კონსერვატორების ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, თუ არ უწყინარი „მწუხარების გამოთქმა" იმის გამო, რომ არ არის უზრუნველყოფილი ინდოეთის ხალხის წარმომადგენელთა თანამშრომლობა საპარლამენტო კომისიასთან. ეს არსებითად ნიშნავს ბირკენხედებისათვის მხარის დაჭერას.

აშკარაა, რომ საპარლამენტო კომისია არ მოისურვებს ისეთი რეფორმების გამომუშავებას ინდოეთისათვის, რომელიც უკანასკნელს ოდნავადაც დააკმაყოფილებს: და ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ უფრო მეტი ენერგიით იწარმოებს. ამ ბრძოლის შეჩერებას, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხებს ევანსი, რომელიც ინდოეთში მიემგზავრება ანტი-ბრიტანულ მოძრაობის ასალაგმავად.

ბ. კ—ლი.

ლაკებისაგან და ნაწილობრივ საშუალო შეძლების ელემენტებისაგან განსაზღვრული თანხა ინდუსტრიალიზაციის გასაძლიერებლათ. აქედან გამომდინარეობს მათი წინადადება იმის შესახებ, რომ გადასახადების გზით ამოღებული იქნეს სასოფლო მეურნეობიდან დიდი თანხა. ეს მოთხოვნილებები სავსებით გამოხატავენ ოპოზიციის თვალსაზრისს გლეხობის საკითხზე ჩვენს ქვეყანაში. თუ ოპოზიციის პლატფორმაში სავსებით ნათლად ამის შესახებ არაფერი სწერია (იქ ,პირიქით, იცავენ კიდეც გლეხობას საბჭოთა ხელისუფლების ვითომდა შემცდარ პოლიტიკისაგან), სამაგიეროთ ოპოზიციის ცალკე პასუხისმგებელი წარმომადგენლები სავსებით გულახდილათ აცხადებენ უკანასკნელ დროს, რომ მათ მხედველობაში აქვთ სწორეთ საშუალებათა ამოღება გლეხურ მეურნეობიდან, იმ შემთხვევაშიაც კი თუ ეს გამოიწვევს უთანხმოებას საბჭოთა სახელმწიფოსა და გლეხობას შორის. პარტია კი ფიქრობს, რომ მანამ, სანამ ჩვენ არ მოგვეპოვება დახმარებაგარედან, სანამ ჩვენ არ მოგვეპოვება კაპიტალისტურ ქვეყნებიდან შემოსული ახალი კაპიტალები, სანამ ვიმყოფებით კაპიტალისტურ გარემოცვაში, ჩვენ ჩვენი მრეწველობის განვითარება უნდა შეუფარდოთ სოფლის მეურნეობის მდგომარეობას და უნდა გავიყოლიოთ როგორც ეს მეურნეობა, ისე გლეხური ბაზარი.

დღეს თქვენ ალბათ წაიკითხავდით გაზეთებში ამხ. სტალინის სიტყვას, სადაც მოყვანილია ამხ. სმირნოვის სიტყვიდან მოყვანილი ციტატები, სადაც ეს თვალსაჩინო ოპოზიციონერი პირდაპირ აცხადებს: „თქვენ ქვეყანა მიგყავთ დაღუპვისაკენ, (ის პირდაპირ ასე ამბობს—დაღუპვისაკენ) ჩვენ კი ვამბობთ, რომ ისე უნდა გადავსინჯოთ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენი ხუთმილიარდიანი ბიუჯეტისა მიმართული იყოს მრეწველობის ხაზით, ვინაიდან უმჯობესია დამოკიდებულების გართულება საშუალო გლეხობასთან, გლეხობასთან, ვიდრე აუცილებელ დაღუპვისაკენ წასვლა“. ეს მოწმობს ჩვენი პარტიის შეხედულებების დარღვევაზე გლეხთა საკითხში. ჩვენი რევოლუციის ძირითად საკითხს წარმოადგენს, როგორც მოგეხსენებათ, მუშათა კლასის დაკავშირება გლეხობასთან. დღეს ეს დაკავშირება სწარმოებს მრეწველობის განვითარების და აღდგენის ნიადაგზე. ჩვენ კი ისეთ რეცეპტს გვაწვდიან, რომელიც შეაფერხებს, და შეიძლება კიდეც ჩაშლის მთელ ჩვენ მშენებლობას.

## გეგმის შედგენის სიძნელენი

ამ მოკლე შენიშვნების შემდეგ, რომელიც ეხება ჩვენს პარტიაში არსებულ დავას, ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმის შესახებ, გადავდივარ იმ დირექტივების მოკლე დახასიათებაზე, რომელიც გამოიმუშავა ცეკამ უკანასკნელ პლენუმზე და რომელიც შემოაქვს მას განსახილველად საკავშირო პარტყრილობაზე.

მე უკვე ვსთქვი, რომ დაგეგმვის სიძნელენი მდგომარეობენ არა მარტო იმ სიახლეში, რომელსაც წარმოადგენს ჩვენთვის ეს საქმე, არა მარტო იმაში, რომ ჩვენ ვცხოვრობთ უზარმაზარ ტერიტორიაზე სხვადასხვა სამეურნეო ელემენტებით და მრავალრიცხოვან გლეხობით, არამედ იმაშიც, რომ ჩვენ სოციალიზმს ვაშენებთ იმ ქვეყანაში, სადაც კაპიტალიზმი არ იყო საკმაოდ განვითარებული და ჩვენ გვიხდება ამჟამად ხარჯის გაწევა ისეთ საქმეებზე, რაც უნდა შესრულებინა ჩვენ მიერ დამხობილ ბურჟუაზიას.

ამასთან ერთად, ეს სიძნელენი გეგმის შედგენის დროს გამომდინარეობენ იმ საერთაშორისო მდგომარეობიდანაც, რომელსაც განიცდის ამჟამად ჩვენი ქვეყანა. ცეკას სწორად აქვს აღნიშნული ეს საკითხი თავის დირექტივებში ხუთწლიანი გეგმის შედგენის შესახებ. სხვათა შორის, სწორედ ამიტომ ყრილობაზე განსახილველად ცეკას შემოაქვს არა თვით ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ჯერ საბოლოოთ შემუშავებული არ არის, არამედ მხოლოდ დირექტივები ამ გეგმის შედგენის შესახებ.

## ცეკას თეზისები

ცკ, ჩვენი პარტიის ცეკა, როგორ ახასიათებს 5 წლ. გეგმის შედგენის ნამდვილ სიძნელეებს. მთავარი სიძნელეები გამომდინარეობენ ჩვენი მეურნეობის მდგომარეობიდან და დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობიდან. მიუხედავად ამ სიძნელეებისა ცეკა მაინც იძლევა საკმაოდ დაწვრილებით დირექტივას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივუდგეთ 5 წლიანი გეგმის შედგენის საკითხს. მე არ წაგიკითხავთ ცეკას თეზისებს, თქვენ იცნობთ ამ თეზისებს. მე მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავ იმ საკითხებს, რომლებსაც ეხება ცეკას ეს დირექტივა 5 წლიანი გეგმის შედგენის შესახებ. აქ მოყვანილია ყველა საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ სახალხო მეურნეობის განვითარებაზე. აქ არის საკითხები წარმოების და მოხმარების დამოკიდებულების, ქალაქის და სოფლის ურთიერთობის შესახებ და კერძოთ საკითხი სოფლის მეურნეობიდან დამატებითი საშუალებათა ამოღების შესახებ, მრეწველობის დარგიდან კი—საკითხები მძიმე და მსუბუქ ინდუსტრიის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, საკითხები კლასიური ბრძოლის შესახებ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში, საკითხი სამრეწველო ნედლეულობის და ამ ნედლეულობაზე არსებული ფასების და სამრეწველო პროდუქციაზე არსებული ფასების შესახებ, ნაწარმოებთა თვითღირებულება, საკითხები წვრილ დაგროვებათა მოზიდვის შინაო სესხის, საგარეო ვაჭრობის, სავაჭრო ბალანსის შესახებ, საკითხები საქონლის, სავალუტო და ნატურალურ რეზერვის შექმნის შესახებ, საკითხები სოციალისტურ რაციონალიზაციის, ხელფასის, საბინაო მშენებლობის შესახებ. საკითხი ტრანსპორტის შესახებ, როგორც ჩვენი მრეწველობის და ჩვენი მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება და საკითხები სოფლის მეურნეობის და მიწათმოწყობის შესახებ.

## ა-კ. მთლიანი სამეურნეო რაიონია

ჩვენ ვსთვლით, რომ ყველაფერი ის, რაც მოცემულია ცენტრალურ კომიტეტის თეზისებში, სავალდებულოა ჩვენთვის—ყველასათვის, ისინი განსაზღვრავენ ჩვენს მუშაობას ამიერ-კავკასიისათვის 5 წლიან გეგმის შედგენის დროს. იმ თეზისებში, რომელიც თქვენ დარიგებული და გაცნობილი გაქვთ, დაწვრილებით არის ნათქვამი, თუ რა პირობებში გვიხდება დირექტივის შედგენა და ჩვენი ქვეყნის გეგმიან სოციალისტური მშენებლობისათვის წინასწარ პირობების განზრახვა.

ამიტომ ამ თეზისების ცალკე დებულებებს განხილვას, რომელთაც თქვენ გაეცანით, არ შეუდგები და არ შევაჩერებ მათზე თქვენს ყურადღებას, ამ თეზისებში საკმაოდ დაწვრილებით არის გადმოცემული ჩვენი თვალსაზრისი ყველა საკითხებში.

მე მინდა აღვნიშნო მხოლოდ შემდეგი: როცა ჩვენ ვიხილავდით საკითხს, თუ როგორ შევადგინოთ ამიერ-კავკასიის 5 წლიანი გეგმა, მივიდეთ აუცილებელ დასკვნამდე: ამიერ-კავკასია არის საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი, რომ იგი ჩვენი კავშირის მეურნეობის განუყოფელი სამეურნეო ნაწილია. კიდევ მეტი. ჩვენ ვსთვლიდით, რომ ამიერ-კავკასია მთლიანი, დაუნაწილებელი ეკონომიური რაიონია. მე მინდა მოგახსენოთ დავა, რომელიც აღიძრა, როცა დავსვით საკითხი ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ. მაშინ ჩვენ სწორედ ამის შესახებ ვლაპარაკობდით. მე თვითონ მომიხდა ამის შესახებ მოხსენების გაკეთება, ამიერ-კავკასიის გაერთიანების აუცილებლობის დასაბუთება და იმის მტკიცება, რომ ამიერ-კავკასია წარმოადგენს მთლიან სამეურნეო რაიონს, რომ ამიერკავკასიის ცალკე ნაწილები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი დანაწილება და მათ შორის ნაციონალური ნიშნების მიხედვით, პოლიტიკური საზღვრების აღმართვა, შეუძლებელია. მე მახსოვს, როგორ გვიტევდა ამის გამო ჩვენ ამხ. მდივანი.

ჩვენ ეხლაც ვამტკიცებთ, რომ ამიერ-კავკასია მთლიანი ეკონომიური რაიონია. ეს იყო მეორე წინასწარი პირობა ჩვენი მეურნეობის განვითარების გეგმის შედგენის დროს.

ჩვენს სამეურნეო საქმიანობას ამიერ-კავკასიაში სათუოვლად უნდა დაედვას მუშაობა წყლის რესურსების გამოსაყენებლად. მელიორაცია წარმოადგენს ერთ-ერთს ძირითად ელემენტთაგანს, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს სამეურნეო განვითარებას და, ბუნებრივია, თუ წყლის რესურსები, რომელნიც ერთი მეორესთან აკავშირებენ ა. კ. რესპუბლიკებს, განსაზღვრავენ ეკონომიური რაიონის მთლიანობას. ამის შესახებ საჭირო არ არის მეტი განმარტების მოყვანა, საკმაოა მოვიყვანოთ ამხ. ლენინი, რომელიც არასოდეს აქ არ ყოფილა, და რომელსაც არასოდეს სპეციალურად არ შეუსწავლია ჩვენი მეურნეობის საკითხები, მაგრამ 1921 წელს ამიერ კავკასიის გასაბჭოების მომენტში მან გაითვალისწინა ჩვენი ქვეყნის წყლების რესურსების განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის კომუნისტებისათვის გამოგზავნილ წერილში იგი შემდეგს ამბობდა: „განავითარეთ ამ მდიდარ კუთხის საწარმოო ძალები: თეთრი ნახშირი, მორწყვის საქმე. რათაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მორწყვას მიწათმოქმედების და მესაქონლეობის განსავითარებლად“. შემდეგ: „აქედანვე ეცადეთ გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას, დაიწყეთ დიდი სამუშაოები ქვეყნის ელექტროფიკაციით და მოსარწყავად. მორწყვა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, იგი გარდაქმნის კუთხეს, აღადგენს მას და განამტკიცებს ქვეყნის სოციალიზმზე გადასვლის საქმეს“.

თუ კი ეს ძირითადი ამოცანაა, მაშინ ჩვენს პირობებში მორწყვა შესაძლებელია მხოლოდ იმ წყლის სისტემის საშუალებით, რომელიც ჩვენ გვაქვს. ამიერ-კავკასიის მდინარეების ყველა აუზები ხომ მჭიდროდ აკავშირებენ ერთმანეთთან ჩვენი ქვეყნის ცალკე კუთხეებს. ამიტომ ამიერ-კავკასიის არსებობა, როგორც არა მთლიან ეკონომიური რაიონის, შეუძლებელია.

ჩვენი წყლის რესურსები განსაზღვრავენ თეთრი ნახშირის გამოყენებას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციას. რამდენადაც ენერგეტიკა და მორწყვის საქმე ემყარება წყალთა სისტემას, ამდენად სრულიად ბუნებრივია ის, რომ ამიერ-კავკასია წარმოადგენს მთლიან სამეურნეო რაიონს. ამ ორ მთავარ მომენტს გარდა, ჩვენი ქვეყანა სხვებისაგან განირჩევა იმითაც, რომ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში მისდევენ ერთნაირ კულტურას, რასაც დიდი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამ რესპუბლიკათა სამეურნეო სისტემაში. საკმარისია დავასახელოთ ბამბის, აბრეშუმის, კულტურა, მევენახეობა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომელნიც ამიერ-კავკასიას ხდიან მთლიან ეკონომიურ რაიონად.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანას უხვად მოეპოვება ქვა-ნახშირი, შავი ქვა, რკინის მადნები, ნავთის წყაროები, რაც ერთი დიდი სამეტალურგიო კომბინატის მოწყობას შესაძლებლობას ქმნის, აშკარა ხდება, რომ ამიერ-კავკასიის დანაწილება ცალკე ელემენტებად შეუძლებელია.

## გეგმის შემუშავებისათვის

ჩვენ ვსთვლიდით, რომ ამიერ-კავკასია ამჟამად წარმოადგენს უმთავრესად სასოფლო სამეურნეო ქვეყანას, სადაც უპირატესი მნიშვნელობა აქვს გლეხობას. თუ გამოვრიცხავთ ბაქოს ნავთის მრეწველობას და ნაწილობრივ ჭიათურას, აღმოჩნდება რომ ამიერ-კავკასია თავის დანარჩენ ნაწილებით წარმოადგენს უაღრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას.

სწორედ ჩვენი ქვეყნის ასეთმა სასოფლო-სამეურნეო ხასიათმა გვაიძულა დაგვესვა საკითხი სასოფლო-მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის აუცილებლობის შესახებ მორწყვის და ელექტროფიკაციის საფუძველზე.

ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ამ დადებით ელემენტებს გარდა ჩვენს ამოცანას 5 წლიანი გეგმის შესადგენად აადვილებდა, პირველ ყოვლისა, ამიერ-კავკასიის ტერიტორიის სიმცირე მისი რესურსების სიუხვესთან შედარებით და მეორე ის გარემოება, რომ მთელი რიგი საკითხებისა, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ გეგმის შედგენა, წყდება არა ჩვენ მიერ, არამედ საკავშირო ცენტრის მიერ სრულიად საკავშირო გეგმის წესით.

მეორე მხრით ჩვენ გვაქვს ისეთი მომენტები, რომელნიც აძნელებენ გეგმის შედგენას. გეგმის შედგენას აძნელებს ის, რომ ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილია, რომ ჩვენ უკანასკნელ დრომდე მშენებლობის საქმეში არავითარი გამოცდილება არა გვქონია. ჩვენ მივდივართ არა ძველი გათელილი გზით, არამედ ვაშენებთ და ვნერგავთ სრულიად ცარიელ ადგილზე. ეს ართულებს ჩვენს ამოცანას. გარდა ამისა, გეგმის შედგენის ამოცანას ართულებს ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყანა მეტის მეტად დაღარულია, აქვს მეტის მეტად მთაგორიანი ხასიათი. ჩვენ გვაკლია ისეთი ელემენტები, რომელიც მიწის წიაღთან, ქვეყნის რესურსებთან ახლო მისვლის საშუალებას იძლევიან, გვაკლია სატრანსპორტო კავშირი, ცალკე რაიონები დაცილებული არიან ერთმანეთს, არ არსებობს ქვეყნის ეკონომიურ რაიონებად დაყოფა და სხვა.

გეგმის შემდგენ ორგანიზაციათა სიმრავლეც წარმოადგენს აგრეთვე შემაფერხებელ მოვლენას გეგმის შედგენის დროს.

ჩვენ მოგვიხდება დავსვათ საკითხი ამიერ-კავკასიის ეკონომიურ რაიონებად დაყოფის სწრაფი გატარებისა და იმ აპარატების გამარტივების შესახებ, რომლებშიდაც ყოველგვარი გეგმები ტარდებიან. ჩვენ მოგვიხდება ამ საკითხების დასმა, რომ თავის დროზე შევასრულოთ საკავშირო ცენტრის მოთხოვნები, რომელნიც დაკავშირებული არიან საერთო გეგმების, ტეხნიკური გეგმების შედგენასთან და სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ გავაგვიანებთ და ჩამოვრჩებით. ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ დამოკიდებულნი ვართ სრულიად საკავშირო გეგმაზე და იმ ლიმიტებს გარეშე. რომელნიც ნაკარნახევი არიან სრულიად საკავშირო მოსაზრებებით, ვერ შევძლებთ ჩვენი მუშაობის გაშლას.

## შრომის განაწილების საფუძველზე

რაზე უნდა აშენდეს თვით გეგმა? ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი გეგმა უნდა აშენდეს ამიერ კავკასიის ერთიანი ეკონომიური რაიონის სპეციალიზაციაზე, სპეციალიზაციაზე, რომელიც უნდა დაეყრდნოს შრომის განაწილებას მთელ საბჭოთა კავშირში.

ჩვენ ერთხელ და საბოლოოდ ზურგი უნდა ვაქციოთ ეგრეწოდებულ უნივერსალიზმს. უარი ვსთქვათ იმ თვალსაზრისზე, რომელიც შესაძლებლად სთვლის, თითქოს ჩვენში—ამიერ-კავკასიაში შეიძლებოდეს ყველაფრის მოწყობა, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს უნივერსალური მეურნეობა, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის ყოველგვარ საჭიროებას. ეს სწორი არ არის.

პირველ ყოვლისა, ჩვენ უხვად არა გვაქვს ის ელემენტები, რომელნიც საჭირო არიან უნივერსალურ მეურნეობისათვის. მეორე, ჩვენი მუშაობის მასშტაბიც ისეთი არ არის, რომ შევძლოთ ჩვენი ქვეყნის ყველა საჭიროებათა დაკმაყოფილება.

ჩვენ უნდა ავაგოთ მრეწველობა სპეციალურად, ავაგოთ მრეწველობა იმ რესურსების მიხედვით, რომელიც ჩვენს მეურნეობაში მოიპოვება. აი რატომ უნდა უკუვაგდოთ უნივერსალური მეურნეობის თვალსაზრისი. ჩვენ უნდა უარვყოთ უნივერსალიზმი, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე ა. კ. ცალკე რესპუბლიკების მაშტაბით. აქ უნდა შევნიშნო, რომ ასეთი ავადმყოფობა ჩვენში არის. თვითეული რესპუბლიკა ფიქრობს, რომ თავის ტერიტორიაზე მას ყველაფრის მოწყობა და განვითარება შეუძლია ისე რომ ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას რენტაბელური და სასარგებლო თუ არა ეს. უნივერსალიზმის ასეთი ტენდენციას ჩვენ ვამჩნევთ არა მარტო რესპუბლიკებში, არამედ მაზრებშიაც. ეს ძირშივე უარყოფილი უნდა იქნეს. ჩვენ ჩვენი მეურნეობა უნდა ავაგოთ შრომის განაწილების პრინციპზე.

ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ თუ რა არის ყველაზე უფრო ხელსაყრელი და სასარგებლო მეურნეობის განვითარებისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის ჩვენში და მთელს საბჭოთა კავშირში. ეს არის ძირითადი დებულება. აქედან უნდა გამოვდიოდით და ჩვენც აქედან გამოვდივართ ჩვენი მეურნეობის განვითარების 5 წლიანი გეგმის შემუშავების დროს.

## ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია

ეხლა თვით ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ჩვენი მიმართულებაა მთლიანად ვაწარმოოთ მუშაობა ქალაქის ინდუსტრიის განვითარებისა და გლეხურ მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისათვის. ჩვენ არ ვაშორებთ ერთმანეთს ამ ორ საკითხს. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ერთი უნდა განვითარდეს მეორეს ხარჯზე, რომ ერთს ზედმეტი ყურადღება მივაქციოთ, მეორე კი მივატოვოთ და ვუცადოთ, სანამ ის სტიქიურად განვითარდება და სტიქიურად დაეწევა პირველს. არა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გეგმა ისე უნდა აშენდეს, რომ ჩვენი მეურნეობის ყველა ელემენტები თანაბრად განვითარდენ, რაც საჭიროა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. ხომ ძნელია წარმოსადგენი ჩვენში მრეწველობის განვითარება სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე და განსაკუთრებით ძვირფას ტეხნიკურ კულტურების განვითარების გარეშე ამ პირობების გამო, ამიერ-კავკასია უნდა იყოს ნედლეულის ბაზისი როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი მრეწველობისათვის. საჭიროა იაფ სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან მაღალ ღირებულების ტეხნიკურ კულტურებზე გადასვლა და შესაძლებლობის ფარგლებში მათი გადამუშავება.

ეს განსაკუთრებით საჭიროა იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში ვხედავთ კოლოსალურ აგრარულ ჭარბ მოსახლეობას, გლეხურ მუშა-ხელის სიჭარბეს. ამ ჭარბ მოსახლეობას სამუშაო უნდა ვუშოვოთ ინდუსტრიალიზაციაზე გადასვლით, შრომის ტევად კულტურების აღმოცენებით და განვითარებით და ნედლეულის გადამუშავებით, რაც უნდა მივუახლოვოთ ნედლეულის წყაროებს.

შემდეგ, დირექტივებში ხუთწლიან გეგმის შედგენის შესახებ ჩვენ არ შეგვეძლო გვერდი აგვევლო მიწადმოწყობის საკითხებისათვის და საერთოდ ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის მოწყობისათვის. ცალკე უნდა აღინიშნოს ის წარმოებები, რომლებიც აუცილებლად წარმოიშობა ჩვენში მდიდარ წიაღის და მდიდარ ჰიდრავლიურ ენერგიის არსებობის გამო.

ეს ორი გარემოება—ჰიდრავლიურ ენერგიის სიმდიდრე და წიაღის სიმდიდრე—წინასწარ განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის ქიმიურ მშენებლობას, უწინარეს ყოვლისა ნიადაგის გასანოყიერებელ ნივთიერებათა წარმოებას. ინტენსიურ კულტურებზე გადასვლისათვის საჭიროა ქიმიურ გასანოყიერებელ ნივთიერებათა გამოყენებაზე გადასვლა.

შემდეგ, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ საფეიქრო მრეწველობას, რომელიც დაკავშირებულია მებამბეობასთან. ზედმეტია ლაპარაკი მებამბეობის როლზე ჩვენს სახალხო მეურნეობაში. სრულიად ბუნებრივია, რომ თუ საჭიროა გადამამუშავებელი წარმოებები დავუახლოვოთ ნედლეულის ბაზრებს, პირველ რიგში ეს უნდა გაკეთდეს საფეიქრო მრეწველობაში. და ჩვენ სწორედ ამას ვაკეთებთ აზერბეიჯანში და სომხეთში, [illegible]დაც, განსაკუთრებით აზერბეიჯანში, ვითარ[illegible]ბა დიდი საფეიქრო მრეწველობა. ამ კატეგ[illegible]ას ეკუთვნის, აბრეშუმის ამოხვევი და აბრ[illegible]შუმის საქსოვი მრეწველობა, რომლის მშენ[illegible]ბას ჩვენ ამჟამად შევუდექით. წყლის ენერგი[illegible]და მადნების არსებობიდან გამომდინარეობს [illegible]ამთო-ქიმიური საქმის განვითარება.

## ტრანსპორტი

შემდეგ, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ტრანსპორტის საკითხებს თეზისებში. ჩვენ პირდაპირ ვუდგებით საკითხს რკინისგზის ტრანსპორტის და განსაკუთრებით გზატკეცილო ტრანსპორტის განვითარების საჭიროების შესახებ. ჩვენ ქვეყანას ყოველთვის აკლდა ისეთი გზები, რომლებსაც ხელი უნდა შეეწყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების განვითარებისათვის, მეფის დროს გზები გაჰყავდათ სტრატეგიულ მიზნებისათვის, რომ უფრო ადვილად მოეხერხებათ სპარსეთთან და ოსმალეთთან ომის დგომა და წაეგლიჯათ მათთვის მიწის მეტი ნაჭრები. ეს გზები გაჰყავდათ ისეთ ადგილებში, რომლებსაც არ ჰქონდა ეკონომიური მნიშვნელობა. სწორედ ეს გზები დაგვრჩა ჩვენ. მაგრამ სხვა გზები, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის აღორძინებას, ჩვენ არ მოგვეპოვება. აგრეთვე არ მოგვეპოვება ისეთი გზებიც, რომლებსაც ცალკე რაიონების მოსახლეობა გამოჰყავს მაგისტრალურ გზებზე. ამიტომ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში ტრანსპორტმა უნდა დაიკავოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მდგომარეობა, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის პირობებში. ამიერ-კავკასიას არ გააჩნია ის, რაც აქვს ცენტრალურ რუსეთს, ან უკრაინას, ამიერ-კავკასიას მდინარის ტრანსპორტი აქვს მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში. ჩვენს ქვეყანაში ზამთარი ხანგრძლივი არ არის და ჩვენ არ გვაქვს სამარხილე გზები. სამაგიეროდ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ რაიონებში დიდი ზიანი მოაქვს ზედმეტ ნალექებს, ჩვენ აგრეთვე არა გვაქვს შარა-გზებიც და ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავეა ჩვენს გეგმაში. მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

## კულტურული მშენებლობა

დირექტივების პროექტში ჩვენ არ შეგვეძლო განსაკუთრებით არ შევხებოდით საკითხს კულტურული მშენებლობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში. კულტურულ მშენებლობის საკითხებს მცირედ ეხება საკავშირო გეგმა, მაგრამ ჩვენში ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ სდგას.

დასასრულ ჩვენ განსაკუთრებით გავუსვით ხაზი საკითხს კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების შესახებ. ჩვენი უბედურება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენში ადგილი აქვს მოსახლეობის სიჭარბეს, მაგრამ ამ ჭარბ მოსახლეობას არ მოეპოვება არავითარი კვალიფიკაცია. ჩვენ ვაშენებთ მთელ რიგ წარმოებებს და გვჭირდება კვალიფიციურ მუშა-ხელის ძებნა. ჩვენში ადგილი არა აქვს ისეთ მდგომარეობას, რომელიც არის ძველ სამრეწველო რაიონებში, სადაც არსებობს მემკვიდრეობითი პროლეტარიატი, მაგალითად ფეიქრები, მემადნეები, მელითონეები და სხვ. იქ შემდგომი თაობა ბუნებრივად ემზადება იმისათვის, რომ შევიდეს წარმოების პროცესში. ჩვენ ბევრი მუშები გვყავს სოფლიდან, მაგრამ ისინი მოუმზადებელი არიან.

აზერბეიჯანში, ზაქოში, ჩვენ ვამზადებთ [illegible] მუშებს განჯის საფეიქრო ფაბრიკისათვის. აგრეთვე ლენინკანშიაც. ჩვენ ვფიქრობთ ქაღალდის ფაბრიკის აგებას, და დაგვჭირდება მუშების გაგზავნა მოსამზადებლად სადმე რუსეთში, რომელიმე ქაღალდის ფაბრიკაში. და ამიტომ ჩვენში განსაკუთრებით მწვავედ სდგას საკითხი კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების შესახებ.

მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადებას განვითარების პროცესში მყოფ ჩვენი მრეწველობისა და მეურნეობის ბრძანებელ სიმაღლეებისათვის. ჩვენი სასწავლებლები არ არის სამისოდ მომზადებული.

ამ დარგში, ტეხნიკურ განათლების დარგში; ჩვენ გვაქვს უდიდესი უნივერსალიზმი. თვითეული რესპუბლიკა ფიქრობს, რომ ცოდნის მთელი ციკლი უნდა დასრულდეს ამ ქვეყანაში. დაწყებული პირველ საფეხურის სკოლებიდან და გათავებული უმაღლეს აკადემიით. აქედან გამომდინარეობს ტეხნიკური განათლების საქმის არაჩვეულებრივ დაქსაქსულობა განხრა ჩვენ უფრო ჰუმანიტარული გვაქვს, ვიდრე ტეხნიკური. საჭიროა ისე დავაყენოთ სასკოლო საქმის მთელი სისტემა და, განსაკუთრებით, ტეხნიკური განათლება, რომ ჩვენ შეგვეძლოს მივაწოდოთ საჭირო კადრები იმ მეურნეობას, რომელსაც ვანვითარებთ როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

## „პარტიის მეორე პროგრამა“

ამრიგად ამიერ-კავკასიის, როგორც საკავშირო მეურნეობის სისტემის ცალკე რაიონის სახე ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

„მდიდარ ენერგეტიულ რესურსების საფუძველზე ხდება სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია. სოფლის მეურნეობა თავის ნახევრად პირველყოფილ მდგომარეობიდან გადადის მრეწველობის მთელ რიგ დარგების ნედლეულის ბაზრის მდგომარეობაზე. ამ რეკონსტრუქციის დროს მისი სამომხმარებლო ხასიათი იცვლება საწარმოო ხასიათით, ანარქიული ფორმები კი იცვლება კოლექტივებში შეკავშირებულ კოოპერატორების წყობილებით. ამავე ბაზისზე ვითარდება მრეწველობა, რომელიც ფარავს ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა წარმოებებით და მთელ მოსახლეობაში ავრცელებს სამრეწველო პროლეტარიატს. ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციის გზაზე იმ ადგილებში, სადაც მოიპოვება ნედლეული, უნდა აშენდეს ფაბრიკები და ამოღებისა და დამუშავების პროცესების დაახლოებით, უნდა მივიღოთ გაიაფებული პროდუქცია, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას“.

„ამ გეგმის განხორციელება“—ნათქვამია თეზისების მე-26 მუხლის ბოლოს,—„შესაძლებელია მხოლოდ იმ სამეურნეო კომპლექსის ფარგლებში, რომელიც სოციალიზმისათვის 10 წლის ბრძოლის ისტორიაში შევიდა ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახელით“. დამეც ვწერ: „ამიტომ ყველა ცდები, მიმართული ამ კომპლექსის დარღვევისაკენ, წარმოადგენენ იმის ცდას, რომ დარღვეულ იქნას „პარტიის მეორე პროგრამა“, როგორც სხელიც უწოდა ილიჩმა მთლიან სამეურნეო გეგმას“.

ამ ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მთლიანობის პირობებში, მთლიან ეკონომიურ რაიონის პირობებში, ამიერ-კავკასიის მთლიანი სახელმწიფო ორგანიზაციის პირობებში, მთლიანი გეგმის პირობებში, სპეციალობის მიხედვით შრომის განაწილების პირობებში.

## საბჭოთა კავშირის დახმარებით

ამასთან დაკავშირებით მე არ შემიძლია არ გავიხსენო რომ ჩვენი კომუნისტური ორგანიზაციების მეორე ყრილობაზე მაშინდელ და ამჟამინდელ ოპოზიციის ერთერთმა ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ამხ. ქავთარაძემ, ყველა ჩვენს პროექტებს მეურნეობის გაერთიანებისა და რუსეთის საბჭოთა მრეწველობასთან დაკავშირების შესახებ, უწოდა „ჯინგოიზმი“. მას მიაჩნდა, რომ ყველაფერი ეს მიმართულია მცირე ერთვნებათა ეკონომიურად დამონებისაკენ, ექსპლოატაციის იმ მეთოდების შემოღებისაკენ, რომლებსაც მიმართავს ინგლისის კაპიტალიზმი კოლონიებში. მე ვფიქრობ, რომ ეს თვალსაზრისი მთელმა ჩვენმა ისტორიამ 7 წლის მსვლელობამ გააბათილა 100 პროცენტით. ყველაფერი, რაც ჩვენ გავაკეთეთ ამ პერიოდში, გავაკეთეთ არა ჩვენს საკუთარ ხარჯზე.

ჩვენ მაშინ გამოვდიოდით და ახლაც გამოვდივართ იმ წინასწარ პირობიდან, რომ ამიერკავკასიას არა აქვს საკუთარი კაპიტალები. ჩვენი მრეწველობა ისე ღარიბია, ისე უმნიშვნელოა, რომ ჩვენი ქვეყნის შინაური დაგროვებით ჩვენ ვერ განვახორციელებდით თუნდაც მცირეოდნად იმ ამოცანებს, რომლებიც იდგა ჩვენს წინაშე. ჩვენს ქვეყანაში სწარმოებს ინდუსტრიალიზაცია, აქ ბევრი რამე შენდება და ყველაფერი ეს შენდება რუსეთის მუშების ხარჯზე; არა ჩვენი მრეწველობის ხარჯზე, არამედ საკავშირო ხაზინის ხარჯზე, საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების ხაზინის ხარჯზე. ამ დებულებას არ ესაჭიროება არავითარი მტკიცება. და მომავალშიაც მთელი ჩვენი ვარაუდები აგებულია იმაზე, რომ ინდუსტრიალიზაციის გასატარებლად ჩვენ მოგვეხმარება საბჭოთა კავშირი. ასე სდგას ეს საკითხი ჩვენს წინაშე.

## ხარჯები მრეწველობის განსავითარებლად

ეხლა ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ზოგიერთი ციფრები, რომელნიც ახასიათე[illegible]ნ ჩვენს ორიენტაციას მრეწველობის განვითარებაზე. ჩვენ ეხლა არ შეგვიძლია სწორი ციფრების მოცემა იმიტომ, რომ ჩვენი მეურნეობის და ჩვენი აღმშენებლობის რიცხვობრივი გამოხატულება, როგორც მე უკვე ვსთქვი,სავსებით დამოკიდებულია იმ ციფრებისაგან, რომლებიც დაწესებული იქნება კავშირისათვის, დამოკიდებულია იმისაგან, თუ რომელ ადგილი და რა ლიმიტები მოგვეცა ჩვენ. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია წარმოგიდგინოთ მხოლოდ დაახლოებით საორიენტაციო ციფრები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ გავერკვით, განვითარების გზით მივდივართ ჩვენ თუ გაყინული ვართ ერთ ადგილზე.

თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი საპერსპექტივო გეგმის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება სახალხო მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში კაპიტალურ თანხების დაბანდებას 5 წლის განმავლობაში, ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს. ამ ცოტა ხნის წინად გამოქვეყნებულ ციფრის მიხედვით საბჭოთა კავშირის მრეწველობაში 5 წლის განმავლობაში დაბანდებულ უნდა იქნეს 20 მილიარდ მანეთზე მეტი, ხოლო წინანდელი გეგმის მიხედვით განზრახული იყო 17.620 მილიონი მანეთი. პირველი ციფრების მიხედვით, ამიერ-კავკასიას ეძლეოდა 1.668 მილიონი მანეთი, ე. ი. საერთო თანხის 9.5 პროც. ეს „აზნავთთან“ ერთად. ნავთის, ბამბის, სპილენძის და კოოპერატიულად გაერთიანებულ მრეწველობის გარეშე ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ კავშირის საერთო თანხის 5,3 პროც. 1927—28 წელს ჩვენ გვაქვს 5,3 პროც., ხოლო ხუთი წლის ბოლოში გვექნება 5,5 პროც. სწორედ ისეთივე ტემპით, როგორითაც იზრდება საბჭოთა კავშირის რესურსები, საბჭოთა კავშირის მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალურ თანხები, სწორედ ასეთივე ტემპით ვიზრდებით ჩვენც. ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ ვინარჩუნებთ კაპიტალურ ხარჯების საერთო თანხის 5,5 პროცენტს ვიმეორებ „აზნავთის“, ბამბის, სპილენძის და კოოპერატიულად გაერთიანებულ მრეწველობის გარეშე. ჩემის აზრით ეს ჩვენთვის სავსებით ნორმალური პროცენტია, ის სავსებით შეეფერება ამიერ-კავკასიის ხვედრითი წონას როგორც მოსახლეობის რაოდენობით, ისე ტერიტორიით და მეურნეობით. ჩემის აზრით აქ ცოტათ თუ ბევრად სწორი შეფარდებაა ჩვენს მეურნეობასა და საკავშირო მეურნეობას შორის.

მე არ მოვიყვან ციფრებს მრეწველობის ცალკე დარგების, ელექტროფიკაციის, სასოფლო მეურნეობის და სხვ. შესახებ. მე მინდა მოვიყვანო საერთო შეჯამებული ციფრები, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ როგორ შეიცვლება მთელი კავშირის გეგმა. სასოფლო მეურნეობაში მელიორაციასთან ერთად ჩვენ ხუთი წლის განმავლობაში ვფიქრობთ 176 მილ. მანეთის დაბანდებას. ამას თან ერთვის წარმოებათა საშუალებანი, ე. ი. შინაგანი დაგროვება (13 მილიონი) და მოსახლეობის საშუალებანი (49 მილიონი). სულ 5 წლის განმავლობაში ჩვენ სასოფლო მეურნეობაში დავაბანდებთ 238 მილ. მანეთს.

ელექტროფიკაციაზე 5 წლის განმავლობაში მთელს ამიერ-კავკასიაში ვფიქრობთ 112 მილ. 867 ათას მანეთის დახარჯვას.

ტრანსპორტის დარგში განზრახულია—ახალ რკინისგზების აღმშენებლობაზე 79 მილ. 700 ათასი მანეთის დახარჯვა 5 წლის განმავლობაში. ამიერ-კავკასიის რკ. გზებს ხვდება 35 მილიონი მანეთი. მე შემეძლო აღმენიშნა, თუ როგორ იზრდება ეს ციფრები წლიდან-წლამდე. მაგრამ ეს დიდ დროს წაგვართმევს. ურელსო ტრანსპორტზე ხუთი წლის განმავლობაში დაიხარჯება 80 მილ. მან., ნავთსადგურების აღმშენებლობაზე 27 მილ. მანეთი, კომუნალურ აღმშენებლობაზე—81 მილ. მანეთი, საბინაო აღმშენებლობაზე 185 მილ. მან., საკურორტო აღმშენებლობაზე 19 მილ. მანეთი, სანიტარულ-სამკურნალო აღმშენებლობაზე—29 მილ. მანეთი. აი დაახლოებითი საორიენტაციო ციფრები 5 წლიანი გეგმის ასაგებად.

სპეციალურად მრეწველობაზე საბინაო აღმშენებლობასთან ერთად განზრახულია 106 მილ. 104 ათასი მანეთის დახარჯვა. გარდა ამისა, ადგილობრივ საშუალებათაგან განზრახულია 19 მილ. მან. დახარჯვა. ასეთია შეფარდება ჩვენს დაგროვებასა და ხარჯების შორის.

ჩემის აზრით, ეს ციფრები მხოლოდ საორიენტაციო, დაახლოებითია, ამიტომ მათ სისწორეზე ლაპარაკი არ შეიძლება. აი სწორედ ამიტომ ყრილობაზე განსახილველად ჩვენ წარმოვადგინეთ მხოლოდ დირექტივები ხუთწლიანი გეგმის შესადგენად.

მე აქ არ ვეხები ჩვენი მეურნეობის სხვა საკითხებს, იმიტომ, რომ ამას დიდი დრო მოუნდება და არც არის ეს საჭირო.

## კონკრეტიული წინადადებანი

მე ვფიქრობ, რომ ყრილობამ უნდა მიიღოს მთელი რიგი კონკრეტიულ წინადადებებისა ხუთწლიანი გეგმის შედგენის საკითხში. ზოგიერთ ამ წინადადებებს მე თქვენ გაგაცნობთ.

1. ელექტროფიკაცია წარმოადგენს რეკონსტრუქციის ძირითად ღერძს, ამიტომ ამიერ-კავკასიამ, რომელსაც ხელსაყრელი პირობები აქვს ჰიდრო-ენერგიის უდიდესი მარაგის სახით, უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს სამეურნეო განვითარების ამ საძირკველს. საგეგმო ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ ჰიდროელექტრო-სადგურების ქსელის შემუშავების დროს (დაწყებული რაიონული სადგურებიდან და გათავებული სასოფლო - სამეურნეო სადგურებით) მხედველობაში მიიღონ სადგურის აგების ეკონომიურობა და მუშაობის რენტაბელობა.

2. ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაცია უნდა მიდიოდეს შემდეგი მიმართულებით. საჭიროა განვავითაროთ მრეწველობა ნედლეულობის ამოსაღებათ და დასამუშავებლად ქვეყნის ძირითად ფონდებიდან—წიაღიდან, სასოფლო მეურნეობიდან და ტყიდან, საჭიროა შემდეგ შევქმნათ ის მრეწველობა, რომელსაც ესაჭიროება იაფი და უხვი ელექტრო-ენერგია და ზოლის მრეწველობა, სარგებლიანობის და ზედნადებითი ხარჯების შემცირების, განსაკუთრებით სატრანსპორტო ხარჯების შემცირების თვალსაზრისით დაახლოვებული უნდა იქნეს ნედლეულობის წყაროებთან. პირველ ჯგუფს ეკუთვნიან სამთამადნო და სამთამადნო-ქიმიური მრეწველობა, აბრეშუმის ამოხვევის და აბრეშუმის სართავი მრეწველობა და სატყეო მრეწველობა, მეორე ჯგუფს ეკუთვნის უპირველესად ყოვლისა საფეიქრო მრეწველობა, მესამე ჯგუფს—კი ციანამიდის და გოგირდმჟავას წარმოება.

3. გარდა ამ დარგებისა, რომლებიც ახასიათებენ ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წვრილ შინამრეწველობას და ადგილობრივ მრეწველობას. დღემდე ეს მრეწველობა რჩება სამეურნეო მრეწველობის გეგმიანობის და მოწესრიგების გარეშე, მაშინ როცა შინამრეწველობა და ადგილობრივი მრეწველობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისათვის. ამიტომ როგორც სამეურნეო ცხოვრების მომწესრიგებელ უმაღლეს ორგანოებს, ისე უშუალოდ ადგილობრივ მეურნეობათა ოპერატიულ ორგანიზაციებს ევალებათ მიიღონ ყოველივე ზომები ადგილობრივ შინამრეწველობის და წვრილ მრეწველობის შესატანად გეგმის ფარგლებში.

4. შემდეგ საჭიროა მიღებულ იქნეს ყოველივე ზომები იმისთვის, რომ შეწყდეს უგეგმო აღმშენებლობა. ამ მიზნით დაევალოს ოპერატიულ ორგანიზაციებს დაიწყონ შენება, შეიძინონ მასალები და დაუკვეთონ მოწყობილობა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ტეხნიკური პროექტი გაივლის ყველა დაწესებულებებს, რომლებიც აყალიბებენ მას.

5. ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სამრეწველო აღმშენებლობას უნდა მივუდგეთ როგორც იმ რაიონის მთლიან აღმშენებლობას, რომელიც შეტანილია საბჭოთა კავშირის შრომის რაიონულ დაყოფის სისტემაში. ამ დებულებიდან გამომდინარეობს ის, რომ პარტია ყველა მომწესრიგებელ და ოპერატიულ ორგანიზაციებს ავალებს ებრძოლონ ერთის მხრივ პარტიზანშჩინას, მთელი გეგმიდან ცალკე წარმოებათა ამოგლეჯვის და მათი სხვების საზიანოდ განვითარების ცდას, ხოლო მეორეს მხრივ უნივერსალიზმს, რაც გამოიხატება იმაში, რომ პატარა რაიონებში უნდათ იქონიონ ყველა დარგები და ყველა წარმოებები, თუგინდ პატარა. შინამრეწველურ, ძვირ და არარენტაბელურ ფორმებში.

შემდეგ აღნიშნავს რა ა.-კ. ს. ფ. ს. რ. გეგმაში აღებულ ხაზს ძვირფას და ტეხნიკურ კულტურების ხვედრითი წონის გადიდებაზე ჩვენს სასოფლო მეურნეობაში, და ამ კულტურების საქონლიანობის გადიდებაზე. ამასთან ერთად ხაზს უსვამს საინდუსტრიალიზაციო მუშაობის წარმოების აუცილებლობას სასოფლო მეურნეობის დანარჩენ დარგებში. ამ მიზნით საჭიროა გლეხური მეურნეობის გადაყვანა მანქანურ წარმოებაზე მინერალურ და ქიმიურ სასუქის ხმარების შემოღება, მეურნეობაში გაუმჯობესებულ. სელექციონურ თესლეულის გამოყენება, აგროდახმარების ყველა ზომებით ხელის შეწყობა გლეხური მეურნეობის გადაყვანისათვის ინტენსიურ მიწის დამუშავებაზე.

7. მესაქონლეობის დარგში საჭიროა ხელის შეწყობა საქონლის ჯიშის გაუმჯობესების უკვე დაწყებულ პროცესისათვის. უნდა გაიზარდოს ზოოტექნიკურ დაწესებულებათა რიცხვი, მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დაისვას ამიერ-კავკასიის ცხვრის ჯიშის გაუმჯობესების საკითხი როგორც მატყლის, ისე ხორცის მხრივ. უნდა გაძლიერდეს მესაქონლე სახალხო მეურნეობათა კოოპერატიული დარაზმვა. ყველა ღონისძიება მიმართულ უნდა იქნას იქითკენ, რომ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების წინაშე უკვე დიდი ხნით წამოჭრილი საკითხი სამთლადო მეურნეობის მოწესრიგებისა და მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მოსახლეობის გადაყვანა დამჯდარ მდგომარეობაზე, საბოლოოდ იქნას გადაჭრილი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკვები ფონდის გადიდებას ჩვენს სათეს კულტურებში საკვებ ბალახეულობის და ძირნაყოფების ჩართვით.

8. ამიერ-კავკასიის ქვემოთ ნაწილში აგრარული მოსახლეობის სიჭარბის გამო, საჭიროა მიწათმოწყობის რაც შეიძლება ჩქარა ჩატარება და საერთოდ სასოფლო მეურნეობის ტერიტორიის მოწესრიგება. საჭიროა აგრეთვე, რამდენადაც შესაძლებელია, ჩქარა გადაიჭრას საკითხი ჭარბი მოსახლეობის დასახლების შესახებ.

9. სასოფლო მეურნეობის დარგში მე-5 ყრილობის მიერ დასახული ყველა ზემოაღნიშნული ამოცანები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ პირობებში, თუ ამიერ-კავკასიაში ჩატარებული იქნება მელიორატიული სამუშაოები, ამიტომ, რადგან მელიორაცია ითვლება აუცილებელ პირობად ყველა გეგმიან წამოწყების განხორციელებისათვის როგორც სასოფლო მეურნეობის, ისე მსუბუქი ინდუსტრიის დარგში, ამიერკავკასიის ორგანიზაციებმა ამ საკითხს უნდა მიაქციონ ისევე დიდი ყურადღება როგორც ელექტროფიკაციას.

10. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ, ლენინის სიტყვით ამ, „განსაკუთრებით მნიშვნელოვან“ დარგში ყველაზე უფრო მეტად მოსალოდნელია და შესაძლებელი გეგმითი ფრონტის გარღვევა. ასეთი გარღვევა განსაკუთრებით საშიშია აქ, ვინაიდან ისედაც განსაზღვრულია წყალის რესურსები და ეს რესურსები ამარაგება მხარის ყველაზე მნიშვნელოვან მოთხოვნილებებს, დაწყებული ელექტროფიკაციიდან და გათავებული სასოფლო მეურნეობის ყველა დარგებით. ამ რესურსების გაუფრთხილებელ, უგეგმო ხარჯვას შეუძლია ჩაშალოს მთელი დასახული სამეურნეო მუშაობა. ამიტომ მელიორაციული მშენებლობის მხრივ საჭიროა მკაცრი და უსიტყვო გეგმიანი დისციპლინა, რისთვისაც უზენაესმა ორგანოებმა უნდა გამოიმუშაონ უმკაცრესი ზომები დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. ამავე დროს აღვნიშნავთ რა მელიორაციის საქმეში უფრო შორეულ (ვიდრე ხუთწლიანი) პერსპექტივების გათვალისწინების საჭიროებას, საგეგმო ორგანოებს უნდა დაევალოს სამელიორაციო გენერალური გეგმის რაც შეიძლება მოკლე ხანში შემუშავება.

11. საგზაო-სატრანსპორტო საქმეში, გეგმის მთლიანად მიღებასთან ერთად, განსაკუთრებულ საჭიროდ ჩაითვალოს უახლოეს ხუთწლედში ორი სარკინისგზო მაგისტრალის—ჯულფა—ბაქოს და შავი ზღვის რკინის გზების გაყვანა. ამასთან ერთად საჭიროა ეხლავე შეგროვილ და დამუშავებულ იქნას მასალები საუღელტეხილო გზის შესახებ. რაც შეეხება შარა და სასოფლო გზებს, ჩვენს მეურნეობაში ავტო-ტრანსპორტის შემოღება-განვითარებასთან შეფარდებით, უნდა სწარმოებდეს ამ გზების მშენებლობა. ამასთან ერთად ეხლავე უნდა იქნას გამოყენებული საშარაგზო მშენებლობის ახალი მეთოდები. ნავთსადგურების მშენებლობა ისე უნდა იქნას დაყენებული, რომ ნავთსადგურებმა შესძლონ არა მარტო ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ტვირთბრუნვის შესრულება, არამედ მათ უნდა შესწევდეთ მეტი ტვირთბრუნვის უნარი.

12. ვინაიდან მშენებლობის სპეციალურ დარგებში ამიერ-კავკასია ყოველთვის ბევრად ჩამორჩებოდა ჩვენი კავშირის ცენტრალურ ნაწილებს, ამიტომ საჭიროა ეხლავე მივიღოთ გადამჭრელი ზომები კომუნალური, სასკოლო, მედიკო - სანიტარული და საკურორტო მშენებლობის გაძლიერებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკურორტო მშენებლობას. ამიერ-კავკასია იმდენად მდიდარია კურორტებით, რომ ამ მუშაობით შესრულდება არა სოციალურ-კულტურული დავალება, არამედ ის მეტად ხელსაყრელი იქნება ჩვენი მეურნეობისათვის.

13. მუშათა საბინაო მშენებლობის დარგი, რომელშიაც წარსული წლების განმავლობაში გავაკეთეთ დიდი მიღწევები, ეკუთვნის ჩვენი მეურნეობის ერთ ყველაზე უმაღლეს ამოცანების რიცხვს. მუშათა საბინაო მშენებლობა მოითხოვს დიდ თანხებს და ღონისძიებათა გეგმაშეწონილ, თანდათან გატარებას. საბინაო საკითხის გადაწყვეტა არის აუცილებელი პირობა მუშის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვისათვის. საბინაო პირობების შეცვლა არის ყოფა-ცხოვრების შეცვლის ძირითადი წინაპირობა, ამიტომ მუშათა საბინაო მშენებლობის საკითხმა უნდა დაიჭიროს ერთი პირველი ადგილთაგანი, ხოლო ყველა ორგანიზაციებმა მთელი თავისი ძალღონე უნდა მიმართონ ამ საკითხის გადაწყვეტას.

14. ვინაიდან ხუთწლიან გეგმაში არ არის აღნიშნული კულტურულ - სოციალური ღონისძიებები, ამიტომ საჭიროა სათანადო დაწესებულებებს დაევალოთ გეგმების შედგენა სახალხო განათლების, მედიკო-სანიტარულ, [illegible] საქმეში. [illegible] კვალიფიციური მუშაკების [illegible] მომზადების საკითხი, საგეგმო დაწესებულებებს განსაკუთრებით ევალებათ დაუყოვნებლივ შეუდგნენ—პროფტეხნიკური განათლების დასახვა სარაციონალიზაციო ფორმებისა და მეთოდების შემუშავებას. კერძოთ, ეხლავე უნდა შემუშავებული იქნას ჩვენი უმაღლეს სასწავლებლის ქსელი და ის უკანასკნელი შეეფარდოს ჩვენი მეურნეობის მოთხოვნილებებს.

ეს მუშაობა ისე უნდა იქნეს ჩატარებული, რომ ჩვენი მეურნეობის ყოველ ძირითად დარგს: ელექტროფიკაციას, სასოფლო მეურნეობის მელიორაციას, სამთო საქმეს, მშენებლობას შეეფარდებოდეს განსაზღვრული, კარგად და სწორად დაყენებული ფაკულტეტი.

15. გეგმის განხორციელებისათვის საჭირო პირობათა და მნიშვნელოვან საკითხთა რიცხვს ეკუთვნის სამეურნეო - ადმინისტრატიულ რაიონების ჩატარება. ეს მუშაობა უნდა სრულდეს პერსპექტიული გეგმის განხორციელების პირველ წლებშივე. სათანადო დაწესებულებებმა უნდა გამოყონ ძალები და საშუალებები, რომ დარაიონების საქმე დაუბრკოლებლად დასრულდეს.

ჩვენი ძველი სამაზრო სისტემა შეთანხმებული იყო აზნაურებისა და ბიუროკრატების ეკონომიურ საჭიროებებთან და სრულიად არ შეეფერება ჩვენი ქვეყნის საჭიროებებს. ეს სისტემა ძალიან აფერხებს ჩვენი მეურნეობის განვითარებას და ამიტომ სასწრაფოდ უნდა შევუდგეთ ამიერ-კავკასიის ეკონომიურ დარაიონებას რესპუბლიკების მიხედვით.

დასასრულ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ჩვენი ხუთწლიანი გეგმა არის ამიერ-კავკასიის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა.

ყველა შეფერხებები, რომლებიც ამ გზაზე გადაგვეღობება, პარტიამ დაუინდობლად უნდა აღმოფხვრას, რათა უზრუნველყოს ამიერკავკასიის ნორმალური განვითარების შესაძლებლობა

თუ ჩვენ ამოსავალ წერტილად მივიღებთ ჩემ მიერ წარმოდგენილ თეზისებს და იმ პრაქტიკულ წინადადებებს, რომლებიც მე ეხლა შემოვიტანე, მაშინ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენი საგეგმო ორგანოები დამშვიდებული სინდისით შესძლებენ პრაქტიკული გეგმის შემუშავებას და უახლოეს ხანშივე საკავშირო გეგმის ფარგლებში სწორ ციფრობრივ გეგმის წარდგენას ჩვენი მეურნეობის განვითარების შესახებ.

ნებ: მიბოძეთ ამით დავასრულო ჩემი მოხსენება. (მქუხარე ტაში).

## კამათი ამხ. შ. ელიავას მოხსენების გარშემო

### ამხ. გამიდ სულთანოვი
(ნახიჩევანი)

ამხ. შალვა ელიავას მოხსენებაში არაფერია ნათქვამი ჯულფა - ბაქოს გზის შესახებ. ამ გზას აქვს უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა. გარდა იმისა, რომ ჯულფა-ბაქოს გზა უფრო მჭიდროთ აერთიანებს ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებს, ის კიდევ უფრო გააფართოვებს ჩვენს კავშირს სპარსეთთან.

რატომღაც ჯულფა - ბაქოს გზა შუა ადგილას იქნა შეჩერებული. არ ვიცი რა ეკონომიური მოსაზრებით შეაჩერეს ეს გზა, ფაქტი კი ასეთია, რომ არავითარ ეკონომიური მოსაზრება და არც, რა თქმა უნდა, პოლიტიკური არ შეიძლება სარჩულად დაედვას ჯულფა - ბაქოს გზის გაყვანის შეჩერებას.

ასევე უნდა ითქვას შავი ზღვის რკინის გზის შესახებ. ამ გზასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა ყრილობამ თავის დადგენილებაში უნდა აღნიშნოს , და უნდა დაავალოს საოლქო კომიტეტს ამ გზების დასრულება არა უგვიანეს 1930 წლისა.

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებისათვის უდიდესი საკითხია წყალის საკითხი. ამაზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის ყველა დარგი: მესაქონლეობა, მევენახეობა და მეაბრეშუმეობა. ამაზევე არის დამოკიდებული მომთაბარეობის აღმოფხვრაც. საჭიროა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მომთაბარე გლეხკაცობა დავასახლოთ ისეთ ვრცელ მინდორ - ველებზე, რომელიც ჩვენ დღეს საკმაოზე მეტად გვაქვს, მაგრამ ვერ ვიყენებთ უწყლობის გამო.

წყალის საკითხზე არის აგრეთვე აღმოცენებული უთანხმოება აზერბეიჯანისა და სომხეთის გლეხკაცობის შორის. აზერბეიჯანის გლეხკაცობა, რომელიც მოკლებულია კარგ საძოვრებს და მორწყულ მინდორ - ველებს ზაფხულობით თავისი საქონლით გადადის სომხეთის გლეხკაცობის საძოვრებზე, და ამით ავიწროვებს სომხეთის გლეხკაცობას.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ გზა - ტკეცილების შესახებ. მაგრამ გზა - ტკეცილებთან ერთად არ შეიძლება უყურადღებოთ დავსტოვოთ სასოფლო გზები. დღეს იმდენად ცუდი მდგომარეობაა ბევრ ჩვენს სოფლებში, რომ უგზოობის გამო მრავალი საქონელი გადააქვთ ვირებზე და ცხენებზე. საჭიროა ამ საკითხსაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

### ამხ. პოღოსიანი
(სომხეთი)

მოცემულია ამხ. ელიავას მოხსენებაში ამიერ კავკ. სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი გზა. მე შევჩერდები იმ პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებიც საკმაოდ მწვავედ სდგანან ჩვენს წინაშე. პირველი საკითხია ნედლეულის პრობლემა — კერძოდ, ბამბა, მე უნდა ვსთქვა, რომ ეს საკითხი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რთულდება. მე მინდა ვსთქვა ბამბაზე არსებულ ფასების შესახებ. ეს საკითხი არ არის მოწესრიგებული სათანადოთ და ამის გამო ჩვენ მოწმე ვართ ისეთი არასასურველი ფაქტისა, რომ სომხეთში კლებულობს ბამბის ნათესები.

მეორე საკითხი რომელზედაც მე მინდა შევჩერდე, ესაა საკითხი ადგილობრივი მრეწველობის შესახებ. ამხ. ელიავას ამაზე არაფერი უთქვამს. უნდა ვსთქვა, რომ მრეწველობის ეს დარგი ჩვენში მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. მთელს საბჭოთა კავშირში ადგილობრივ და შინამრეწველობის წარმოება უდრის 30 პროც-ს, ჩვენში კი ეს პროცენტი სრულიად უმნიშვნელოა. ამავე დროს თქვენ იცით, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი ჩვენში დეფიციტიანია და საჭიროა ამ დეფიციტის როგორმე დაფარვა. ამისათვის ჩვენ უნდა განვავითაროთ ადგილობრივი მრეწველობა.

ამხ. ელიავამ სრულიად სამართლიანად აღნიშნა რომ ამ.-კავკასია მთლიანი ეკონომიური რაიონია, ეს უთუოდ სწორია. მეორე მხრივ ამხ. ელიავამ სთქვა, რომ ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ უნივერსალობაზე და გადავიდეთ სპეციალობაზე. ამ მიზნით საჭიროა გაუქმებულ იქნას მთელი რიგი საგეგმო ორგანიზაციები. მე არ ვიცი, რატომ უნდა იყვენ ამ წინადადების წინააღმდეგი, როგორც აქ ეს გამოირკვა ზოგიერთ ორატორების სიტყვიდან. თქვენ იცით რამდენად ბევრი საგეგმო ორგანოები გვაქვს ჩვენ. თქვენ იცით აგრეთვე, რომ ერთ და იმავე სამუშაოს ჩვენ ვატარებდით 20 ინსტანციაში, ამ საკითხში უნდა იყოს ნათლად გარკვეული ის მდგომარეობა, რომ საჭიროა გადავიდეთ ჩვენი დაწესებულებათა გამარტივებაზე. ,

ჩვენ გვაქვს წყალთა მეურნეობის გამაერთიანებელი ორგანო ამიერ - კავკასიის ფარგლებით. ჩვენ გვაქვს ასეთივე ორგანო კრედიტის, კოოპერაციის დარგში და სხვ. რატომ არ უნდა გვქონდეს მრეწველობის გამაერთიანებელი ორგანო ამიერ - კავკასიის ფარგლებში? ორი წლიწადია სდგას საკითხი ამ.-კავკ. სახალხო მეურნეობის საბჭოს შესახებ. დროა ამ საკითხს ბოლო მოუღოთ.

### ამხ. კანუევი
(ბაქო)

მე მინდა შევეხო წყალის საკითხს. ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა მთელი ამ.-კავკასიისათვის, განსაკუთრებით კი მუღანის ველებისათვის. ამ ველებს საკავშირო მნიშვნელობა აქვს. მე ვფიქრობ, რომ პარტიულმა უმაღლესმა ორგანოებმა უნდა გადასწყვიტონ მუღანის საკითხი. თუ ჩვენ ამ საკითხს გადავსწყვეტთ, შევძლებთ მუღანზე გადავასახლოთ უმიწაწყლო გლეხობა 800.000 დესეტინა მიწის სივრცეზე.

ამხანაგები ხალიანის მაზრიდან დამემოწმებიან, რომ მდ. არაქსი ჩვენ გვეყოფა მხოლოდ 170.000 დეს. მოსარწყავად. მაშასადამე, არაქსის გარდა ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მტკვარი.

არსებობს აგრეთვე ცენტრალურ ჰიდრო ელსადგურის პროექტი. თუ ეს საკითხი მოგვარდა, ჩვენ უზრუნველყოფილი ვიქნებით ნედლეული მასალით საფეიქრო ფაბრიკებისათვის.

ჩვენი პარტიის სერიოზული ამოცანას წარმოადგენს გლეხობის გადასახლება მუღანის ველებზე. მაგრამ არ შეიძლება, რომ ეს გადასახლება ჩატარებულ იქნას ისეთივე წესით, როგორც ეს ეხლა ზოგჯერ ხდება. არ კმარა გლეხის მხოლოდ გადასახლება, საჭიროა მისი უზრუნველყოფა წყალით და ბინით. მაგალითად, ხალიანის მაზრაში გადმოასახლეს გლეხები კაზახის მაზრიდან, რომელთაც შეუხვდათ ჩალამ - კალამის ქოხებში ცხოვრება და ისინი დაიხამა კოღოებმა. ცხადია, რომ ამ გლეხობის 50 პროც. უკან დაბრუნდა.

### ამხ. კვირიკაძე
(საგეგმო კომისია)

ამხ. ელიავას მოხსენების თეზისებში არ არის ისე ნათლად დასმული საკითხი ინდუსტრიალიზაციისა და სამანქანო მშენებლობის შესახებ ამ.-კავკასიაში, როგორც ეს იყო მიღებული კომუნისტურ ორგანიზაციების ამ.-კავკ. მეოთხე ყრილობაზე, მეტი ყურადღება აქვს დათმობილი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას, ვიდრე მსხვილ სამანქანო მრეწველობას. ა.-კ. კომუნისტურ ორგანიზაციების მეოთხე ყრილობაზე ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო მიღებული იყო რეზოლიუცია, რომლის მეოთხე პუნქტში ნათქვამია:

„აღნიშნავს რა, რომ ამ.-კავკასიაში არის ინდუსტრიალიზაციის ძირითადი ელემენტები (ბამბა, მატყლი, სპილენძი, მარგანეცი, ქვის ნახშირი, თეთრი ნახშირი) ყრილობა მთლიანად იწონებს პარტიის მიერ აღებულ კურს მსხვილი მრეწველობის განვითარებისაკენ, ურომლისოთ არ შეიძლება გადასვლა არსებულ სამეურნეო ჩამორჩენილ ფორმებიდან სოციალისტურ ფორმებზე“.

თავის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ორჯონიკიძე ამბობდა: „ღარიბ, ლატაკი გლეხური ამიერ - კავკასია ელექტროფიკაციის საფუძველზე უნდა გადაიქცეს სამთო - საფეიქრო - [illegible] რაიონად“.

რამდენ დროს იძლეოდა ამხ. ორჯონიკიძე ამ გეგმის განსახორციელებლად? აი რას ამბობს ის ამის შესახებ. „შეიძლება ეს ვისმეს ფანტაზიად მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რვა წლის განმავლობაში აღნიშნულ ამოცანიდან შესრულებული იქნება არა ნაკლებ 90 პროცენტისა“.

ეს იყო ორი წლის უკან. (ამხ. ელიავა ადგილიდან: „კიდევ რჩება ექვსი წელი“). ამხანაგო ელიავა, ხუთწლიან გეგმაში რჩება კიდევ ერთი წელი, ამიტომ იქ უნდა შეტანილ იქნას საკითხი სამთო - ქიმიურ მრეწველობის და სხვა მრეწველობის განვითარების შესახებ. თეზისები უნდა შედგენილ იქნას ისე, რომ მეოთხე ყრილობის ეს დავალება და ამიერ - კავკ. პოლიტიკისა და ეკონომიკის ერთ-ერთი დიდ ხელმძღვანელის ამხ. ორჯონიკიძის წინადადებანი პოულობდენ იქ ნათელ გამოხატულებას.

შემდეგ, თეზისების მე-11 და მე-12 პუნქტში ნათქვამია: იმისათვის, რომ აღმოფხვრილ იქნას ყოფა - ცხოვრების რეაქცია, იმისათვის, რომ აშენებულ იქნას სოციალიზმი და კომუნიზმიც კი საკმაოა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას. აქამდე ჩვენ გვასწავლიდენ, რომ სოციალიზმის და კომუნიზმის აშენება და ყოფა - ცხოვრების რეაქციის დაძლევა შეიძლება არა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გზით, არამედ მსხვილი სამანქანო მრეწველობის განვითარებით. პარტიის ძირითადი ხაზი ამ საკითხში ისეთია, რომ მსხვილი ინდუსტრიის ნიადაგზე შეიძლება აშენებულ იქნას სოციალიზმი, თეზისებში კი ნათქვამია სხვა რამ.

დასასრულ მე მინდა შევეხო საკითხს, რომელიც წამოაყენა ამხ. სულთანოვმა. ეს არის საკითხი ჩვენი საგეგმო ორგანოების შესახებ. მე მგონია, რომ ჩვენ რესპუბლიკებში გვაქვს საგეგმო ორგანოები, ასეთია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მუშათა და გლეხთა ინსპექცია, საგეგმო კომისია და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოები. თუ ეს ორგანოები აბრკოლებენ მუშაობას, რაღა დაგვრჩენია ამის შემდეგ? ჩემი აზრით ეს ადგილი თეზისებში სწორი არ არის.

### ამხ. კაზარიანი
(განჯა)

მე მინდა შევჩერდე სამთო მრეწველობის განვითარებაზე განჯის მაზრაში. აქ არის სამთო მრეწველობის განვითარების შესაძლებლობა. ჩვენ უკვე გვაქვს ქარხანა ქედაბეგში და დაშქესანში. ჩვენ გვაქვს აგრეთვე შაბისა და ბარიტის ქარხნები. აქამდე, ჩვენ ამ ქარხნებს არ ვაქცევდით სათანადო ყურადღებას. საჭიროა ხუთწლიან გეგმაში შეტანილ იქნას საკითხი ამ ქარხნების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

შემდეგი საკითხი, რომელსაც მე მინდა შევეხო—ესაა საკითხი ტყის მეურნეობის შესახებ. ელიავას თეზისებში ტყის მეურნეობაზე ძალიან ცოტაა ნათქვამი. საქმე იმაშია, რომ ტყეებს ჩვენ ცუდათ უვლით. ტყეებს კი დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საშენი მასალის ამოსაღებად, არამედ წყაროების დასაცავადაც.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის არანორმალობანი, რომელსაც ადგილი აქვს ახალი ფაბრიკა-ქარხნების აშენების დროს. აი ფაქტი: როდესაც განჯაში აშენებდენ საფეიქრო ფაბრიკას, იქ არ გაუყვანიათ რკინის გზა—ის გაყვანილ იქნა მხოლოდ მაშინ, როდესაც ფაბრიკა უკვე აგებული იყო. რომ რკინის გზა თავიდანვე ყოფილიყო, ქარხანა გადარჩებოდა იმ ხარჯებს, რომელიც მან გაიღო მასალების გადაზიდვაზე.

### ამხ. კოზლოვი
(ბაქო)

ჩვენ ვანვითარებთ ნავთის მრეწველობას, ამასთან ერთად ვამჩნევთ ზოგიერთ დეფექტებსაც, რომელნიც დიდად აღელვებენ მუშებს. მაგალითად, ეხლა, სურახანის რაიონში უქმად სდგას 40 ჭაბურღილი, ცხადია, ეს შეფერხება მოხდა იმიტომ, რომ ჩვენი რკინის გზა ვერ ასწრებს პროდუქციის გადატანას. ხუთწლიან სამეურნეო გეგმაში უნდა მიექცეს ყურადღება ბაქო-ბათუმის ნავთსადენის დაჩქარებას და ბათუმში ნავთის ქარხნის აგებას. როცა ეს იქნება გატარებული, ჩვენი მრეწველობა უფრო ჩქარა წინ.

### ამხ. ან. ფირცხალავა
(რკინის გზა)

მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზს წარმოადგენს გზების უვარგისობა. მეორე დაბრკოლება არის ის, რომ ჩვენ არა გვაქვს მანქანების საკმაო რიცხვი. დაბრკოლებას ჰქმნის აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჩვენში ცუდ პირობებშია შინამრეწველობა.

სამეურნეო გეგმა მხოლოდ მაშინ იქნება რეალური, და მაშინ გამოიღებს ის ნაყოფს, თუ ჩვენ საკმაო რაოდენობით გვეყოლება კარგი ოსტატები, მექანიკოსები და გულმოდგინეთ მომუშავე ინჟინერები.

რა ესაჭიროება ყველაზე უფრო სოფელს? პირველ ყოვლისა მიწის მორწყვა, რომ გლეხობას საშუალება ექნეს მიწების დამუშავებისა.

ჩვენს წარმოებებში ხშირად ხდება შეფერხება იმის გამო, რომ არა გვაქვს ნედლეული. და ვებრძოლოთ ასეთ მოვლენას. ჩვენ ვიწყებთ რამოდენიმე ქარხნების აგებას და ამას ვერ ვასრულებთ.

ორიოდე სიტყვა საბინაო აღმშენებლობის შესახებ. აქ დიდი უმომჭირნეობაა. მუშებისათვის აშენებული დიდი სახლები თითქმის უპატრონოა მიტოვებული. ამის მაგალითს წარმოადგენს ლენინის რაიონში აგებული მუშათა საცხოვრებელი სახლი. საჭიროა გადმოვიღოთ მაგალითი ბაქოს მუშებისაგან. იქ აგებულია პატარა სახლები სამ-სამი და ოთხ-ოთხი ბინით. ამიტომ ამ სახლებს მოვლაც უფრო მეტი აქვთ.

### ამხ. ვეზიროვი
—(განჯა)

მე დავიწყებ ჩემ სიტყვას გლეხთა მეურნეობიდან. თუ ჩვენ განვიხილავთ საკითხს ტრაქტორიზაციის შესახებ, დავინახავთ, რომ გლეხობა, რომელსაც წინად ეშინოდა ტრაქტორის, ეხლა თვითონ მოითხოვს მას, ვინაიდან მუშა-საქონელი შეიძლება დაიღუპოს შიმშილისაგან, ხოლო ტრაქტორს ვერავითარი ჭირი ვერ ავნებს

თეზისებში ლაპარაკია მუღანის ველის მორწყვის შესახებ და იქ გლეხობის გადასახლებაზე; ეს ყოველივე ძალიან კარგია, მაგრამ მე უნდა ვსთქვა, რომ არ შეიძლება გლეხის გადასახლება მთიან ადგილიდან დაბლობ ადგილებზე. ჩვენ ასეთი ცდა მოვახდინეთ განჯის მაზრაში, სადაც მთიან ადგილებიდან ჩამოვასახლეთ უმიწაწყლო გლეხები, მაგრამ მთაში გაზრდილი გლეხობა ვერ შეეთვისა დაბლობის ადგილის ჰავა. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ გადასახლებასთან ერთად უნდა მიღებულ იქნას ზომები ჭაობების ამოშრობად.

შევეხები კიდევ ერთ საკითხს. განჯაში ჩვენ გვაქვს მთელი ამიერ-კავკასიის სიამაყე ჩითის საქსოვი ქარხანა, არის აგრეთვე ზეთსახდელი დიდი ქარხანა, ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ ამ ქარხნებში მომუშავეთათვის სრულიად არ არის ბინა. მე ვფიქრობ, რომ განჯის მაზრაში ბინის საკითხს უნდა დაეთმოს მეტი ყურადღება.

ამხ. ვეზიროვის მოხსენების შემდეგ ყრილობამ ხმის დიდი უმრავლესობით ადგენს შესწყდეს კამათი ამხ. ელიავას მოხსენების გარშემო.

საბოლოო სიტყვა იძლევა ამხ. შალვა ელიავას, რომელსაც ყრილობა აპლოდისმენტებით ეგებება.

## ამხ. შ. ელიავას საბოლოო სიტყვა

აქ გამოსული ამხანაგების უმრავლესობამ წამოაყენა მთელი რიგი პრაქტიკული, კონკრეტული წინადადებანი ხუთწლიანი გეგმის შესადგენად. მაგრამ დღეს ჩვენ ვიხილავთ დირექტივებს გეგმის შედგენისათვის და არა თვით გეგმას. თვით გეგმაში ჩვენ განვიხილავთ ყველა იმ საკითხებს, რომელთა შესახებაც აქ ვლაპარაკობდით, და შეიძლება საჭირო შეიქნეს თეზისებისა ან რეზოლიუციის დამატება იმ წინადადებებით, რომელნიც ჩვენ მხედველობიდან გაუშვით. მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

### საგეგმო ორგანოების მუშაობა

მე შევჩერდები მხოლოდ იმ ამხანაგების გამოსვლებზე, რომელნიც ლაპარაკობდენ მთელი რიგი პუნქტების წინააღმდეგ. დავიწყებ ამხ. გამიდ სულთანოვიდან. იგი ამბობდა, რომ ჩემს თეზისებში არის წინადადება რესპუბლიკების სახელმწ. საგეგმო კომისიების გაუქმების შესახებ ძალიან სამწუხაროა, რომ ჩემი აზრი ასე გაიგეს. ჩემს თეზისებში სავსებით ნათლად არის ნათქვამი, რომ საგეგმო ორგანოების დიდი რაოდენობის გამო ბრკოლდება მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა. მე ამის შესახებ აქ არ ვილაპარაკებ, მაგრამ კომისიის სხდომაზე შემიძლია მოვიყვანო მასალები, რომელნიც ახასიათებენ გეგმების გატარებას აუარებელ ინსტანციებში, და თქვენ დაინახავთ, თუ რამდენად უშლის ხელს მუშაობას ეს მომენტი. მე ვიძლევი წინადადებას დაისვას ამოცანა, რათა გამარტივდეს საკითხების განხილვის ეს მომენტი. ეს არ ნიშნავს, რომ რესპუბლიკების სახელმწ. საგეგმო კომისიები უნდა გაუქმდეს რათაც არ უნდა დაგვიჯდეს. მე ვლაპარაკობ იმაზე, რომ ამ აპარატებმა სათანადო ვადებში გადასწყვიტონ ყველა ის საკითხები რომლებსაც აყენებს ცენტრი, რათა ჩვენ შევძლოთ ამ საკითხების თავის დროზე წარდგენა საკავშირო ცენტრში—საერთო გეგმაში შესატანად. სწორედ ამაზეა ლაპარაკი. მე ვფიქრობ, რომ ლაპარაკი ამის წინააღმდეგ საჭირო არ არის.

### საქონლის ბრუნვის შესახებ

ეხლა მე შევეცდები ორი სიტყვით შევჩერდე ამხ. პიტერსკის წინადადებაზე. იგი ამბობდა, რომ თეზისებში არაფერია ნათქვამი საქონლის ბრუნვის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ საქონლის ბრუნვა, რომელიც, მისი განცხადებით, გამოიხატება 800 მილიონ მან., არ არის მხოლოდ შინაური ბრუნვა. მან სავსებით სწორად ვერ გაიგო სიტყვა საქონლის შინაური ბრუნვა. მე არ ვლაპარაკობ ამიერ-კავკასიის საქონლის საგარეო ბრუნვაზე საზღვარ-გარეთთან. ეს საკითხი არ შედის ჩვენს გეგმაში, მაგრამ ამიერკავკასიის მთელი საქონლის ბრუნვა სავსებით და მთლიანად დაკავშირებულია კავშირის საქონლის ბრუნვასთან. ის, რასაც ჩვენ [illegible] აქ, ეს არის საკავშირო მრეწველობის ნაწარმოები, და არა ჩვენი. რასაკვირველია, უნდა ვილაპარაკოთ ფასების დაკლებაზე ჩვენი ამიერ-კავკასიის მრეწველობის პროდუქტებზე, ფასების დაკლებაზე ფართო მოხმარების საგნებზე,—როგორც სთქვა ამხ. პიტერსკიმ,—მაგრამ რა ადგილი უჭირავს მათ ჩვენს მრეწველობაში? ამ პროდუქტებს ჩვენს მეურნეობაში არ აქვს არავითარი დამოუკიდებელი მნიშვნელობა.

ჩვენ ვიცით, რომ ფეხსაცმელი, რომელსაც თბილისში ვამზადებთ თბილისის ფეხსაცმელის ფაბრიკაში, მოსკოვის და ლენინგრადის ფაბრიკებში დამზადებულ ფეხსაცმელზე უფრო ძვირი ღირს, ჩამოტანის ხარჯების დართვითაც კი. საჭიროა ფასების შეთანაწყობა. ეს არის წარმოების ორგანიზაციის, თვითღირებულების დაკლების და სხვ. საკითხი, რომელთა განხილვა დირექტივებში შეუძლებელია. გეგმაში მათ ადგილი არა აქვს. მაგრამ ყველა ჩვენთვის და კერძოდ ჩემთვის სავსებით ნათელია, რომ ამიერკავკასიის საქონლის ბრუნვის საკითხი დაკავშირებული არის მთელი კავშირის საქონლის ბრუნვასთან, და მისი დამოუკიდებლად განხილვა დირექტივაში არ შეიძლება.

ფასებიც განისაზღვრება არა ჩვენ მიერ, არამედ საკავშირო მასშტაბით. რასაკვირველია, ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ ჩვენს წარმოებებზე, რომელთა მიერ დამზადებული საქონელი უფრო ძვირია ვიდრე საკავშირო. ეს სავსებით ნათელია. მაგრამ ჩვენ ამ საკითხს არ ვანიჭებთ დამოუკიდებელ მნიშვნელობას და გამოვდივართ იქიდან, რომ იგი საერთოდ გადაწყვეტილია საკავშირო ცენტრში.

რაც შეეხება კოოპერაციას და ყველა დანარჩენს, რაზედაც ამხ. პიტერსკი ლაპარაკობდა, ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს თვით გეგმაში. მე განვაცხადე, რომ დირექტივები ამიერ-კავკასიისათვის წარმოდგენილი გვაქვს რაიონების მიხედვით. გამოვდივართ არა იქიდან, რომ ყველა საერთო ხასიათის დირექტივები, რომლებსაც ამტკიცებს ცეკა და წარადგენს ყრილობას, ჩვენთვის სავალდებულოა, იქ გავითვალისწინეთ ყველა დეტალები, ყველა საკითხები—სასოფლო-სამეურნეო, საწარმოო, საკრედიტო კოოპერაციის საკითხი და სხ. და არ გვინდოდა ამის განმეორება აქ.

გეგმაში დეტალურად იქნება გათვალისწინებული ყველა საკითხები, განსაკუთრებით კოოპერაციის საკითხი.

### თეორიული ბურუსი

სხვა ამხანაგებს, რომელნიც გამოვიდენ აქ არსებითი საწინააღმდეგო მოსაზრებანი არ წამოუყენებიათ თეზისების შესახებ, გარდა ამხ. კვირიკაძისა, რომელიც ჩემდა განსაცვიფრებლად შეუდგა წმინდა თეორეტიული საკითხების განხილვას და თეორეტიულ ბურუსში გაეხვია პრაქტიკული საკითხები.

საერთოდ მე არ ვიცი, როგორ ამოცანებს ისახავდა ამხ. კვირიკაძე, როცა იგი შეუდგა ამ თეორეტიული დავის გაჩაღებას. არავითარი პრაქტიკული წინადადება მას, რასაკვირველია, არ წამოუყენებია. ტყუილად დაემყარა იგი ამხ. ორჯონიკიძეს. ამხ. ორჯონიკიძეს არ შეუძლია იმსჯელოს ისე, როგორც მსჯელობს ამხ. კვირიკაძე.

ამხ. ორჯონიკიძემ ამიერ-კავკასიის კომორგანიზაციების მე-4 ყრილობაზე დასვა ჩვენი ინდუსტრიალიზაციის, ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციის საერთო ამოცანა. რას ნიშნავს ინდუსტრიალიზაცია? „ინდუსტრიალიზაცია საფუძველი არის სოციალიზმის შენებისათვის. მაგრამ განა აქედან გამომდინარეობს ის, რომ ამიერ-კავკასიაში ხუთწლიან გეგმაში ძირითად საკითხად უნდა იქნას შეტანილი მანქანათ შენების პრობლემა, როგორც წარმოების სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის საფუძველი?

ჩვენ დამოუკიდებელ ამოცანად არ ვაყენებთ მანქანათ შენების განვითარებას. მსხვილი სამანქანო მრეწველობის განვითარება მხოლოდ მარტო ხუთწლიან გეგმის საქმე არ არის. ამ საქმის განხორციელება მოითხოვს დეტალურ მომზადებას და ხანგრძლივ მუშაობას.

მე ვსთქვი, რომ ჩვენ სამანქანო მრეწველობას არ უპირდაპირებთ სასოფლო მეურნეობას. ჩვენ ამიერ-კავკასიას განვიხილავთ, როგორც უმაღლესი ძვირფასი კულტურების ნედლეულის რაიონს, სადაც უნდა განვავითაროთ ნედლეულის მრეწველობა. შემდეგ კი უნდა შევუდგეთ მძიმე მრეწველობის საკითხების მოგვარებას, რამდენადაც ამისათვის არსებობს ყველა ობიექტიური წინასწარი პირობები. პირველ ხუთწლედში შეიძლება დავისახოთ ამოცანად მსხვილი სამანქანო მრეწველობის საკითხების შესწავლა და მოვამზადოთ პროექტები შემდგომი ხუთი წლისათვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ უზრუნველყოფილი არ ვართ კვალიფიციური მუშა-ხელით.

შემდეგ ამხ. კვირიკაძემ მე „დამჭირა“ საშინელ დანაშაულში. თურმე ჩვენ გეზს ვიღებთ არა მრეწველობაზე, არამედ სასოფლო მეურნეობაზე. მას ჩემი თეზისებიდან მოჰყავს შემდეგი ადგილი:

„თუ ჩვენ უახლოეს მიზნად ვისახავთ საწარმოო ძალთა განვითარებას, მაშინ საერთო ამოცანა სდგება, როგორც კომუნიზმის აშენების ამოცანა, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრული გარდაქმნისა და მისი კოლექტივიზაციის ამოცანა. ამ გზაზე, უპირველეს ყოვლისა მოგვიხდება ყოფა-ცხოვრებითი ხასიათის რეაქციის დაძლევა. ბრძოლა ამ ყოფა-ცხოვრებასთან აუცილებელია, იგი ჩვენ შიგნით უნდა დავშალოთ. ამისათვის პირველ რიგში გვიხდება კომუნისტური წყობილების ფერმენტების შეტანა ჩვენი მეურნეობის ყველაზე უფრო უძრავ ნაწილში, პატრიარქალურ და წვრილ გლეხურ მეურნეობაში“.

ნუ თუ ვინმე ფიქრობს, რომ პატრიარქალური და რეაქციონური აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ სამანქანო მრეწველობით? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მსხვილ სამანქანო წარმოებათა აგების გზით შევაგროვებთ პროლეტარიატს და როცა ყველა გლეხები გახდებიან მუშები, მხოლოდ მაშინ დაიმსხვრევა ძველი პატრიარქალური ცხოვრება და აშენდება სოციალისტური საზოგადოება. ეს უაზრობაა ჩვენი გლეხური ქვეყნისათვის. ასე საკითხის დასმა შეუძლებელია, ვინაიდან ჩვენ სოციალიზმი უნდა დავამყაროთ გლეხურ ქვეყანაში, იგი უნდა განვახორციელოთ კოოპერაციაში გლეხთა შეკავშირების გზით, ელექტროფიკაციის, მელიორაციის და ძვირფასი კულტურების განვითარების საფუძველზე. ეს უდიდესი ამოცანაა. თუ ჩვენ იმას დაუწყებთ ლოდინს, როდის გადაიქცევიან პროლეტარებად ყველანი, ბელგიის მაგალითის მიხედვით, ეს ძალიან გვიან იქნება (სიცილი). ჩვენ ასეთ ამოცანას არც ვისახავთ და ამგვარი მოთხოვნილებანი არ უნდა წარედგინოს ყრილობას (ტაში).

ჩვენ ვამბობთ, რომ სასოფლო მეურნეობას ჩვენს გეგმაში უჭირავს ისეთივე ადგილი, როგორც ჩვენი მრეწველობის განვითარებას, იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. ჩვენს მიწაზე ამ მომენტში ჩვენ არ გვაქვს ელემენტები, ან, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, არ გვაქვს საშუალებანი დიდი სამანქანო ინდუსტრიის მოსაწყობად. მაშ რა არის ჩვენს ქვეყანაში? არის ნედლეული, ყურძენი, თამბაქო, აბრეშუმი და სხ. განა ამას თავი უნდა დავანებოთ? მსოფლიო მეტალურგიული კომბინატის აგების საკითხის დამუშავებასთან ერთად, რის შესახებაც სწერდა ამხ. ბახტაძე, ჩვენ ჯეროვან ნიადაგზე უნდა დავაყენოთ სასოფლო მეურნეობის საქმე. კიდევ ორი სიტყვა. მე მაქვს მთელი რიგი საკითხები, რათა დაგარწმუნოთ, რომ არ ღირს მათზე ლაპარაკი, მოვიყვან 2-3 მაგალითს. მე მეკითხებიან: შეტანილია თუ არა გეგმაში ტრამვაის გაყვანა განჯაში და ხონი-მათხოჯის, ან გორი-ცხინვალის გზის გაყვანა? [illegible] თეზისებში ვითვალისწინებთ, რომ [illegible] შეუდგეთ ადგილობრივი მრეწველობის დაგეგმვას, რომელშიაც შედის ტრამვაები და სხ. ([illegible]: რომელ სოფლისაკენ შეუხვევს ტრამვაი?) ჰო, რომელ სოფელში შეუხვევს ტრამვაი, ამაზე შეჩერება არ ღირს. ავირჩიოთ კომისია თეზისების განსახილველად. შეტანილი წინადადებები, შესწორებები და სხ. დასამუშავებლად. მე ამით ვათავებ. (ტაში).

ეროვნული

# საკავშირო კომპარტიის (ბ) მეხუთმეტე ყრილობის წინ

## ტროცკისტული ოპოზიციის კონტრ-თეზისები სახ. მეურ. ხუთ წლიან გეგმის შესახებ*)

### IV. „გამოსავალი დებულება"

...ამბობს, ცეკას თეზისების შემდეგი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მასში სრულიად არ **ახლანდელი** სამეურნეო მდგომარეობა. თუ შეფასებულ არ იქნა მეურნეობის ხელმძღვანელობის შედეგები უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში და გათვალისწინებულ არ იქნ ხელმძღვანელობის შეცდომები, შეუძლებელი იქნება ეკონომიურად დასაბუთებული სამეო დაგეგმვა.

...წლის ივლისის პლენუმის რეზოლუციაში ნათქვამია:

„...დინარე წლის საერთო სამეურნეო ..., რამდენადაც მათ შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ წინასწარი ცნობებით, ...ელი გამოდგა. სამეურნეო მოქმედების ...რთიება მიმდინარე წელში საერთოდ ...იანად იყო უკრიზისო, რაიც მოწმობს ...ვეყნის გეგმიანი ხელმძღვანელობის ...ელოვან გაუმჯობესებას".

...ტკიცება უარჰყო ცხოვრების ფაქტებმა. ...კნელი წლის განმავლობაში მთელი ...ური პრესა ერთხმად ამტკიცებდა, ...ნლის ნაკლებობა ჩვენს ქვეყანაში, თუ ...ად არ აღმოფხვრილა, მნიშვნელოვნად ...რის შემსუბუქებული. საქონლის ნაკლე...ღმოფხვრას ეს თეორია ცეკას ესაჭიროება იმისათვის, რომ უარეყო ოპოზიციის ...ი იმის შესახებ, რომ მრეწველობა უკან ... მოსახლეობის მოთხოვნილებას და სახა... მეურნეობის ზრდას.

ნამდვილად კი ადგილი არ ქონია საქონლის ...კლებობის შესუსტებას, ხოლო მოჩვენებითი ...მშვიდე ბაზარზე 1926-27 სამეურნეო წლის ...ელ ნახევარში მიღწეულ იქნა **მოთხოვ...ების ხელოვნური შემცირებით**. ამის ... საქონლის ნაკლებობამ მწვავედ იჩინა თავი 1926-27 წლის მეორე ნახევარში.

...ქონლის ნაკლებობის თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენს კუდები ქალაქებში და ...წველო საქონლის არასაკმაო რაოდენობით ...დება სოფლისათვის. ბიუროკრატიული ოპ...ების განცხადებამ, რომ ვაჭრობის სახ. ...ატმა დაიპყრო საბაზრო სტიქია, სრული ...ცხო განიცადა.

...26 წელში სახელმწიფო და კოოპერა... დამამზადებლებმა დაამზადეს 584.4 მილ. ფუთი. გარდა ამისა, კერძო და წვრილ... პერატიული დამზადება შეადგენდა 300 ფუთს. იმავე დამამზადებლებმა 1926-27 ...ბაზრიდან **ნაკლები** პური გაიტანეს, ...წინა წელში.

...ედავად იმისა, რომ 1927-28 წელი არის ...მ მოსავლიანი წელი, მდგომარეობა პურის ბაზარზე უკვე სექტემბრის ბოლოდან იწ... მნიშვნელოვნად გაუარესებას. დამზადება ...ს და ამ ხანისათვის (სექტემბერი) 10 პრო...ით ნაკლებია, ვიდრე შარშან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კერძო და წვრილ ...ადებელთა მიერ დამზადებული პურის ...ენობა შემცირდა შარშანდელთან შედარებით, მაშინ დამზადების პროცენტი კიდევ უფ...ირდება. დასამზადებელი პურის პრო...ების საერთო მასის დაცემა მოწმობს, ერთის მხრით, ღრმა არევ-დარევას ქალაქისა და ...ის ურთიერთობაში, და მეორეს მხრით, ... სიძნელეთა შექმნას, ექსპორტის გეგმის ... მაშასადამე აგრეთვე იმპორტის გეგმის ..., ე. ი. ამით ინდუსტრიის ტემპის ჩაშლა.

...ის ასეთი ვითარების თვალსაჩინო შედეგი ... პურის გატანა 1926-27 წლის მე-4 კვარტალში შეადგენდა წინა წლის იმავე კვარტალში გატანილი პურის რაოდენობის მხოლოდ 28 პროცენტს). ამას უნდა დაუმატოთ არაჩვეულებრივი განსხვავება დასამზადებელ და სამომხმარებლო ფასებს შორის.

„1927 წელში მომხმარებელი ფუთ ჭვავის ფქვილში აძლევდა 1 მან. 14 კაპ. მეტს იმ ...ზე, რომლითაც დამამზადებელი ყიდულობდა ფუთ ჭვავს გლეხისაგან. განსხვავება ...ზე აღწევს 2 მან. 57 კაპ. ეს განსხვავება ...ჯერ მეტად აღემატება ომამდე არსებ... დონეს" („პრავდა" 1927 წ. ივლისი).

...ით თუ არა ეხლანდელ ხელმძღვანელებს ...ანცხადებათა აზრი? არა, არ ესმით. ამბობენ, რომ 1927 წელში „ბევრის ჭამა" დავიწყეთ (...იკოვის მოხსენება პროხოროვკაში), რომ ...ის საფრთხე არღვევს მეურნეობას (თუ ეს ..., რაღა იქნება ომის დროს?—საბედნიეროდ ... ახე არ არის), რომ ცუდია აპარატი. (ეს, რასაკვირველია, მართალია). ასეთი ახსნა არ აღემატება ობივატელი-მეურნის ლაპარაკს. სამი ფაქტია გადამწყვეტი პურის ბაზარზე არსებულ სიძნელეთა ასახსნელად: საქონლის ნაკლებობა (მრეწველობის ჩამორჩენა), კულაკთა მარაგების დაგროვება (სოფლის ფენებად დაყოფა) და წინდაუხედავი პოლიტიკა ფულის ბრუნვის დარგში (ქაღალდის ფულის ზედმეტი რაოდენობით გამოშვება). ვისაც ეს არ ესმის, იგი ჩვენს ქვეყანას აუცილებლად მიიყვანს სამეურნეო კრიზისამდე.

ფულის მიმოქცევის მდგომარეობის შესახებ ოფიციალურად გამოქვეყნებული და ამიტომ ფართოდ ცნობილი ციფრები (ქვემოდ ჩვენ ვსარგებლობთ მხოლოდ ამგვარი ცნობებით) ამტკიცებს შემდეგს:

სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების მიხედვით 1926-27 წლის განმავლობაში განზრახული იყო 150 მილიონ მან. გამოშვება. ნამდვილად კი ამ პერიოდის განმავლობაში გამოშვებულ იქნა 328 მილიონი მან., ამასთანავე მეოთხე კვარტალში გეგმით განსაზღვრული 75 მილიონი მან. მაგიერად გამოშვებულ იქნა 200 მილიონი მანეთი.

მდგომარეობის გაუარესება ეჩნევა ჩვენი კომერციული კრედიტის განვითარებასაც. საკრედიტო სისტემის რესურსები (ემისია და მიმდინარე ანგარიშები) 1925-26 წელში შემცირდა თითქმის სამჯერ წარსულ წელთან შედარებით, ხოლო 1926-27 წელში მოხდა შემდგომი გაუარესება. სახელმწ. საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების მიხედვით, ანაბარების ზრდა 1926-27 წელში უნდა ყოფილიყო 250 მილიონი მან. რაოდენობით; ნამდვილად კი ეს ზრდა ძალიან ჩამორჩა ამ ციფრს, რამაც გამოიწვია კრიზისი კრედიტის დარგში, საკრედიტო გეგმების ჩაშლა და ქაოსი მეურნეობის ცალკე დარგებისათვის კრედიტის მიწოდების საქმეში.

უკანასკნელი წლების ბიუჯეტები გამოდგა არარეალური და არსებითად დეფიციტიანი. ბიუჯეტით გათვალისწინებულ შემოსავალს 1925-26 წელში დააკლდა 200 მილიონი მან. 1926-27 წლის ბიუჯეტის წინასწარი ჯამები გვიჩვენებენ, რომ შემოსავალი რკინის გზის ტრანსპორტიდან ძალიან მცირე იყო, რამაც გამოიწვია 100 მილიონი მან. სესხის აღება ბანკებისაგან, რათა ამით დაეფარათ საბიუჯეტო დეფიციტი ტრანსპორტის დარგში. ეს უკანასკნელი გარემოება იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მესამე კვარტალში ზედმეტი რაოდენობით იქნა გამოცემული ჩერვონცები. 1926-27 წლის ბიუჯეტის დეფიციტიანობამ გამოიწვია არაპირდაპირი გადასახადების, რკინის გზის ტარიფების და ზოგიერთი სხვა გადასახადების გადიდება, რამაც ს. მ. უ. ს. გამოანგარიშებით თვითღირებულება გაადიდა 2,5 პროცენტით.

პარტიის დირექტივა იმის შესახებ, რომ შემოსავლის გადიდებით და ხარჯების შემცირებით აუცილებლად შექმნილიყო საბიუჯეტო რეზერვები 118 მილიონი მან. რაოდენობით 1925-26 წელში და 100 მილიონი მან. რაოდენობით 1926-27 წელში,—სრულიად არ იქნა შესრულებული.

მიუხედავად კარგი მოსავლისა, ოპოზიცია მაინც ითვალისწინებდა სიძნელეთა გართულების შესაძლებლობას.

„**პრაქტიკულად** რომ ვსთქვათ, **კარგი მოსავალი**,—თუ სამრეწველო საქონელი არ გვექნება—შეიძლება ნიშნავდეს მას, რომ პურეულის მარცვალს გამოიყენებენ **არაყის გამოსახდელად და გაიზრდება კუდები ქალაქებში. პოლიტიკურად** ეს შეიძლება ნიშნავდეს **გლეხობის ბრძოლას საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ, ე. ი. სოციალისტური მრეწველობის წინააღმდეგ**". (ცეკას პლენუმის 1926 წ. აპრილის სხდომის სტენოგრამა, ამხ. ტროცკის შესწორებანი ამხ. რიკოვის რეზოლუციის პროექტში—გვ. 164).

ცხოვრებამ სავსებით გაამართლა ოპოზიციის შიში. ამხ. სტალინი შეეცადა დაემახინჯებია ოპოზიციის გაფრთხილებათა აზრი და გვერდი აებვია მისთვის მხოლოდ კბილთა ხრჭენის საშუალებით.

„ამხ. ტროცკი,—ამბობს ამხ. სტალინი,—ალბად გამოდის იქიდან, რომ ინდუსტრიალიზაცია ჩვენში უნდა განხორციელდეს ერთგვარი ახე [illegible] „ცუდი მოსავლის" გზით (საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 კონფერენციის ანგარიში, 459 გვ.).

ეხლანდელი დაბრკოლებანი ბუნებრივი შედეგი არის პარტიის ხელმძღვანელთა დაუკვირებლობისა.

სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა ამ უხეშმა შეცდომებმა გამოიწვია საქონლის და ფულის ბაზრის დეზორგანიზაცია და საგრძნობლად დაასუსტა ჩერვონცების პოზიცია. გაძლიერდა გლეხთა მოთხოვნილება ოქროზე და სოფლის მიერ ჩერვონცების გატანამ ბაზარზე ფართო ხასიათი მიიღო. ვინაიდან გლეხობას არ აქვს საშუალება ჩერვონცები გადააქციოს საქონლად, ამიტომ იგი ამცირებს თავისი ნაწარმოების გაყიდვას, რაიც იწვევს პურის და ნედლეულის დამზადების დაცემას, ფასების ზრდას, ექსპორტის შემცირებას და მთელი მეურნეობის დეზორგანიზაციას.

განა შეიძლება გვერდი აუაროთ ამ ფაქტებს, როცა ჩვენ ვაფასებთ ჩვენს სამეურნეო მდგომარეობას, როცა ვადგენთ ხუთწლიან სამეურნეო გეგმას? ამ ფაქტების დამალვა პარტიის წინაშე მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ნათლად აშკარავებენ ცეკას პოლიტიკას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, იქნებოდა უდიდესი შეცდომა, პირდაპირ დანაშაული პარტიის წინაშე სოციალისტური წარმოება არის წარმოება არა მოგებისათვის, არამედ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს არის ჩვენი წარმატებების ძირითადი ისტორიული კრიტერიუმი. რანაირ სურათს გვიშლის ამ მხრივ სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამოქვეყნებული ხუთ წლიანი გეგმა?

### V. სულობრივი მოხმარება და საქონლის ნაკლებობა

სამომხმარებლო საქონლის **პირადი მოხმარება**, რაც სულ მცირეა ამჟამადაც, უნდა გაიზარდოს ხუთი წლის განმავლობაში სულ მხოლოდ 12 პროცენტით. ბამბეულ ქსოვილების მოხმარება 1931 წელს, შეადგენს რა ომის წინა დროის 97 პროცენტს, 5 ჯერ ნაკლები იქნება ვინემ შეერთებულ შტატებში იყო 1923 წელს; ნახშირის მოხმარება 7 ჯერ ნაკლები იქნება ვინემ 1926 წელს იყო გერმანიაში და 17 ჯერ ნაკლები, ვინემ ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებში იყო 1923 წელს, თუჯის მოხმარება 4-ჯერ ნაკლები იქნება, ვინემ გერმანიაში 1926 წელს, 11 ნახ. ჯერ ნაკლები, ვინემ ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებში 1923 წელს; ელექტრონის ენერგიის წარმოება იქნება სამჯერ ნაკლები, ვინემ გერმანიაში 1926 წელს 7 ჯერ ნაკლები, ვინემ ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1923 წელს; ქაღალდის მოხმარება ხუთი წლის დასასრულს შეადგენს ომის წინანდელი დროის 83 პროცენტს. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამოქვეყნებული ხუთ წლიანი გეგმა, რომელიც უფრო „ოპტიმისტურია" არ სცვლის არსებითად მოყვანილ შეფარდებას; მაგალითად, ბამბეულ ქსოვილების სულობრივი მოხმარება 1931—32 წ. შეადგენს მხოლოდ ომის წინა დროის მხოლოდ 106,8 პროცენტს. ყველაფერი ეს იქნება ოქტომბრიდან 15 წლის შემდეგ! ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე ასეთი უმნიშვნელო, თავიდან ბოლომდე პესიმისტური გეგმის წარმოდგენა ნიშნავს სინამდვილეში სოციალიზმის წინააღმდეგ მუშაობას.

სულობრივი მოხმარების ამ უმნიშვნელო ნორმებს ხელი-ხელ ჩაკიდებით მოჰყვება საქონლის ნაკლებობის ზრდა.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა საქონლის დეფიციტს 1930—31 წლისათვის ითვალისწინებდა დაახლოვებით 400 მილიონ მანეთის რაოდენობით, თუმცა ეს ანგარიში შეცდარი აღმოჩნდა. გამოდის რა სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულებიდან, სახ. მეურ. უმაღლესი საბჭო საქონლის დეფიციტს 1930—31 წლისათვის განსაზღვრავს 1 ნახ. მილიარდი მანეთით, ხოლო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი—1,200 მილიონით.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უახლოესი ვარიანტი, რომელიც ზევიდან კარნახით სპეციალურად შეფარდებულია „ოპტიმისტურ" მოთხოვნილებებთან, არაფერს იშველიებს, რომ როგორმე ხელოვნურად შეაჩეროს საქონლის დეფიციტი, მაგრამ ვერ ახერხებს მის 400 მილიონ მანეთზე ქვევით დაყვანას, დისპროპორცია იზრდება ამ რიგად და წინდაწინვე სპობს ფასების დაკლების ყოველგვარ იმედებს.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის ვარაუდით, დისპროპორცია უნდა აღმოიფხვრას მუშების ხელფასის მომატებით 2 ნახ. ჯერ ეხლანდელთან შედარებით, დაახლოვებით 400 მილიონი მანეთით წლიურად. ვინაიდან შეძლებულ მოსახლეობას აქვს ზედმეტი სყიდვითი ძალა, სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხელეები, მათ შორის კომუნისტებიც, ცდილობენ გამოასწორონ ეს მდგომარეობა მუშების რეალური სამუშაო ხელფასის შემცირებით. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ საშუალებას ბაზრის წონასწორობის მისაღწევად იცავენ მუშური სახელმწიფოს პასუხისმგებელი ორგანოები!

ჩვენ კი უკვე ვიცით, რომ საქონლის ნამდვილი დეფიციტი შეადგენს არა 400 მილიონს არამედ გაცილებით უფრო დიდ თანხას. 800 მილიონიდან 1 ნახ. მილიარდამდე. ცხადია, რომ გეგმებს, რომელთაც ასეთ შედეგებამდე მივყევართ, უნდა ეწოდოს არა სოციალისტური მშენებლობის გეგმები, არამედ ეკონომიური და პოლიტიკური კატასტროფის გეგმები.

სამრეწველო საქონლის კოლოსალურ დეფიციტს აუცილებლად თან სდევს: პურის მკვდარი მარაგის ზრდა სოფლის ზედა ფენების ხელში, გლეხობის დიფერენციაციის ზრდა, სასურსათო და საექსპორტო დაბრკოლებები, და როგორც ყოველივე ამის შედეგი,—გაძლიერებული შეტევა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ.

არის თუ არა გამოსავალი ამ მოსალოდნელ დაბრკოლებებიდან? არის მითითებანი თუ არა ცეკას თეზისები ამ გამოსავალზე? სრულებითაც არა. რას ლაპარაკობენ ცეკას თეზისები ამ ყველაზე მნიშვნელოვან და მწვავე საკითხზე დისპროპორციის შესახებ? არაფერს, გარდა უშინაარსო ზოგადი ადგილებისა. ხოლო ამ ზოგად ადგილების ნიღაბ ქვეშ სინამდვილეში ხდება გაბერვა არაპირდაპირი გადასახადების და კერძოდ არაყის გადასახადის, ე. ი. საქონლის ნაკლებობის დასაძლევად ისეთი მეთოდების გამოყენება, რაც ყველაზე უფრო საზიანოა სახალხო მეურნეობისათვის.

#### არაპირდაპირი გადასახადები

იძლევიან ჩვენი ბიუჯეტის შემოსავალთა ძირითად მასას (ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის გამოკლებით). მათი წილი სისტემატიურად იზრდება საერთო-საგადასახადო შემოსავალშიაც 55 პროცენტიდან 1924—25 წ. 64 პროცენტამდე 1925—26 წ. 67 პროცენტამდე 1926—27 წელს (პროცენტი გამოანგარიშებულია აბსოლიუტური ციფრების მიხედვით, რომელიც მოყვანილია 1927 წ. 1 ოქტომბერს „ეკონომიჩესკაია ჟიზნში" ფინსახკომის მოადგილე მ. ფრუმკინის მიერ მოთავსებულ წერილში; არაპირდაპირი გადასახადების ჯამში შედის ბაჟებიც).

არაპირდაპირი გადასახადების მეტ ნაწილს იხდის ქალაქი, პირველ ყოვლისა—მუშათა კლასი. ამას მოწმობენ შემდეგი ციფრები საქციზო გადასახადების განაწილების შესახებ: მიწათმოქმედმა მოსახლეობამ გადაიხადა 1924—25 წ.—1 მ. 46 კაპ., 1925—26 წ.—2 მან. 64 კაპ. სულზე. არამიწათმოქმედმა მოსახლეობამ 1924—25 წ.—12 მან. 93 კაპ. 1925—26 წ.—18 მან. 98 კაპ., სულზე, საქციზო გადასახადების პროცენტული შეფარდება შემოსავალთან იზრდება 1925—26 წ. 1924—25 წელთან შედარებით მუშაზე—0,8 პროცენტით (5,0-დან 5.8-დე), მოსამსახურეზე—1,3-ით (5.4 დან 6,7 დე), ხოლო სადაზრო სამრეწველო წარმოებათა მეპატრონეებზე—0.1-ით (6.6 დან 6,7 დე) (ფინსახკომის მასალებიდან „მოსახლეობის ცალკე სოციალურ ჯგუფების დაბეგვრის სიმძიმის გამოანგარიშების გამოცდილება 1924 25 და 1925—26 წლებში").

ამრიგად, ნაციონალური შემოსავლის განაწილება კლასებს შორის ამ მოხლში სავსებით მიმართულია მუშათა კლასის წინააღმდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აპარატის შესანახ ხარჯების მეტი ნაწილი კისერზე აწევს მუშათა კლასს, რომელიც ქვეყნის შრომის [illegible] მქონე მოსახლეობის მხოლოდ დაახლოვებით ერთ მეოთხედს შეადგენს. დროა დაისვას არაპირდაპირი გადასახადების თანდათანობით, სისტემატიურად პირდაპირი გადასახადებით შეცვლის საკითხი და ამ მომწიფებულ საკითხის შესახებ ცეკას თეზისები სდუმან.

**არაყი.** არაპირდაპირ გადასახადებს შორის სულ უფრო მეტ როლს თამაშობს არაყის გადასახადი. ცეკას თეზისებში ოფიციალურად გამოცხადებულია ბრძოლა „ლოთობის წინააღმდეგ". როგორ იმოქმედა ამ ახალმა დირექტივამ მახლობელ ხუთი წლისათვის არაყის სახდელ მრეწველობის ხუთ წლიან გეგმაზე?

სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმის თანახმად, დამზადება და მოხმარება მოსახლეობის ყოველ სულზე უნდა გაიზარდოს: ქსოვილების—41 პროც., კალოშების—88 პროც., შაქრის—96 პროც., თუჯის—118 პროც., საპნის—121 პროც., **არაყის—227 პროც.** ამრიგად, პირველი მოთხოვნილების საგნების დამზადება იზრდება გაცილებით უფრო ნელა, ვინემ არაყის, რომელიც თითქმის სამჯერ იზრდება. და ეს მას შემდეგ, რაც არაყის მოხმარება მოსახლეობის ყოველ სულზე იზრდებოდა შემდეგნაირად: 1924—25 წელს—0.6 ბოთ. 1925—26 წ.—2,9 ბოთლი, და 1926—27 წ. — 4,3 ბოთლი. (იხ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა. გვ. 78).

არაყის სახდელი მრეწველობა, თანახმად ხუთწლიანი გეგმისა, თურმე მრეწველობის „მამოძრავებელი" დარგი ყოფილა. ამრიგად, თეზისებში გამოცხადებული ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ ჯერ-ჯერობით განზრახულია განხორციელებულ იქნეს არაყის იაფი მოხმარების სამჯერ გადიდებით ეხლანდელთან შედარებით.

### VI. კაპიტალური ხარჯები

საქონლის ნაკლებობის არაჩვეულებრივად გამწვავების პერსპექტივა, რაც ყველა ხუთწლიან გეგმაშია დასახული,—თუ ეს პერსპექტივა არ დაამსხვრია საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე კლასიურმა პოლიტიკამ,—მოასწავებდა საბჭოთა სამეურნეო სისტემის მეტად სერიოზულ მერყევას. ჩვენ ვფიქრობთ, ამ პერსპექტივის წინაშე ცეკასაც უნდა გამოეძებნა გამოსავალი და ეს გამოსავალი უნდა ყოფილიყო მტკიცე და ენერგიული პოლიტიკა მრეწველობაში კაპიტალურ ხარჯების სისტემატიურად გასადიდებლად.

ნამდვილად კი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმით მრეწველობის კაპიტალური ხარჯები წლიდან-წლამდე არ მატულობენ (1.142 მილიონი 1927—28 წ., 1.205 მილიონი 1930—31 წ.), ხოლო პროცენტულად თუ შევადარებთ სახალხო მეურნეობაში დაბანდებულ საერთო თანხას, კლებულობენ 86,4-დან 27,8 პროცენტამდე (გვ. 88). სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებებიდან მრეწველობაში დაბანდებული წმინდა თანხები, ხუთწლიანი გეგმის პროგრამით, იმავე წლებში მცირდებიან 220 მილიონიდან 90-დე! (გვ. 147). სახელმწიფო საგეგმო კომისიის ახალი ციფრები ითვალისწინებენ კაპიტალურ ხარჯების უფრო საგრძნობ ზრდას (1.250 მილ.—1927—28 წ., 1588 მილ.—1930—31 წ.). რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ პარტიამ არ იცის რა რეალურ საფუძვლებს ემყარება ეს მომატებული გამოანგარიშება, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფრონტითაც გარედან თანხების დაბანდება მრეწველობაში სრულებით არა საკმაო რაოდენობით იზრდება (147 მილიონიდან 1927—28 წელში, 201 მილიონამდე 1930—31 წლებში).

ეს ციფრები სინამდვილეში კიდევ ნაკლები აღმოჩნდება, როგორც ეს იყო აქამდე (შედარეთ, მაგალითად, „საანგარიშო ბალანსი მრეწველობასა და ბიუჯეტს შორის 1925—26 და 1926—27 წლებში", რომელიც გამოქვეყნდა „საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. გაერთიანებულ საწარმოო-საფინანსო გეგმაში", (გვ. 224—229 და 381).

უკეთეს სურათს არც სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ გამოქვეყნებული გეგმა იძლევა, რომლითაც თანხების გარედან დაბანდება მრეწველობაში უნდა დაეცეს 285,3 მილ. მანეთიდან 1927—28 წ. 104.5 მილ. მანეთამდე 1931—32 წლებში. (გვ. 125). მრეწველობის საკუთარ თანხების, ე. ი. მოგებისა და ამორტიზაციო ანარიცხების წილი, გათვალისწინებულ კაპიტალურ ხარჯებში განუწყვეტლივ იზრდება იმავე პერიოდში 75-დან 95,5 პროცენტამდე (გვ. 124). ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო შორს წავალთ, ბიუჯეტი მით უფრო ნაკლებად გამოგვადგება, როგორც იარაღი, რომელიც უნდა დაეხმაროს ინდუსტრიალიზაციას და მოაზიდოს კულაკისა და ნეპმანის საშუალებები მრეწველობაში.

რას ლაპარაკობენ ცეკას თეზისები ხუთწლიანი გეგმის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის შესახებ? როგორ ციფრებს ვხედავთ ამ თეზისებში კაპიტალური ხარჯების შესახებ? როგორი ციფრებია მოყვანილი იმის შესახებ, თუ რა რაოდენობით უნდა მივაწოდოთ მრეწველობას ფინანსები საქონლის ნაკლებობის აღმოსაფხვრელად? არავითარი. ისინი მხოლოდ იძლევიან უფორმო მითითებებს, რომ

„თანხების დაგროვების ზრდა მრეწველობაში, და ამავე დროს სახალხო შემოსავლის გადანაწილება ინდუსტრიის სასარგებლოდ, საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ ძირითადი თანხების დაბანდება მრეწველობაში ისეთი რაოდენობით რაც უზრუნველყოფს წარმოების აუცილებელ ზრდას და მის რაციონალიზაციას".

ამრიგად, არავითარი ქმედითი კონკრეტიული პასუხი სოციალისტური მშენებლობის ძირითად საკითხზე ცეკას არ აქვს. მაგრამ რომ ილაპარაკო „წინამძღოლ ღერძზე—მრეწველობაზე", ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცებაზე, მაშინ როდესაც არ შეგიძლია დაასახელო კონკრეტიული ზომები, საქონლის დაკლების ზრდის თავიდან ასაცილებლად, რომელმაც უნდა ციფრამდე—1.000—1.500 მილიონ მანეთამდე მიაღწიოს, — ნიშნავს იმას, რომ პარტია დააყენო სამეურნეო კატასტროფის გზაზე.

სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს სახელმწ. საგეგმო კომისიის პასუხი ამ კითხვაზე. იმავე ხუთწლიან გეგმაში, რომელშიაც სახელმწ. საგეგმო კომისია ითვალისწინებს საქონლის ნაკლებობის ზემოხსენებულ ზრდას, იგი აცხადებს, რომ ამ ავადმყოფობის განკურნება შეიძლება მოხდეს და უნდა მოხდეს **მხოლოდ მუშათა კლასის ხარჯზე**. სახელმწ. საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა არავითარ იმედებს არ ამყარებს ქალაქის ბურჟუაზიის შემოსავლიდან მიღებულ თანხებზე, ვინაიდან:

„პირველი, ეს ჩვენი, რევოლუციის შემდეგ ძალად მოვლენილი ნეპის ბურჟუაზია ჩვენს ქალაქის მოსახლეობაში მეტად სუსტია და ამიტომ არ შეიძლება გახდეს წყაროდ საბიუჯეტო შემოსავლისათვის. და მეორე, ეს არ არის დამოუკიდებელი წყარო, ვინაიდან, როცა ჩვენ კაპიტალისტურ სექტორს ვბეგრავთ გადასახადებით, სულ ერთია, ჩვენ მისგან შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ ის, რაც შექმნილია გლეხებისა და მუშების შრომით" (გვ. 25).

ამგვარად, სახელმწ. საგეგმო კომისია ფიქრობს, ინდუსტრიალიზაციისათვის თანხების მიღება კაპიტალისტების შემოსავლისაგან არ შეიძლება იმიტომ, რომ პირველი, რომ ისინი ცოტანი არიან და მეორე, რომ ეს შემოსავალი შექმნილია მუშათა და გლეხთა შრომით!

მაგრამ მეორე მხრით „სოფელიც" (იგულისხმე: კულაკი) არ შეუძლია იყოს სოციალისტური დაგროვების წყარო იმის გამო, რომ შრომის ნაყოფიერების დონე დაბალია და მცირეა სულობრივი შემოსავალი. აქედან გამოჰყავთ მშვენიერი დასკვნა, რომ

„ძირითადი წყარო საბიუჯეტო **შემოსავლისა და სოციალისტური დაგროვებისათვის, საერთოდ, შეიძლება იყოს მხოლოდ წარმომქმედების გარეშე შრომა**" (იგულისხმე: მუშათა კლასი).

სახელმწ. საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა ოფიციალურად არ დადასტურებია. მაგრამ „იდეათა ჯამი", რომლებმაც მასში ჰპოვა თავისი გამოხატულება, მეტად დამახასიათებელი არის ეხლანდელი სამეურნეო ხელმძღვანელობისათვის. ეს ხუთწლიანი გეგმა ნათელია. იგი წარმოადგენს იმ პრაქტიკის დასაბუთებას, რომელიც ოცნებობს იმაზე, რომ ჩვენი განვითარების წინააღმდეგობანი მოხსნას მუშათა კლასის შევიწროების ხარჯზე და ყოველგვარი საბაბით დაიცვას კაპიტალისტური ფენების დაგროვება. მაგრამ რას უპირდაპირებს ამ პოლიტიკას ცეკას თეზისები? არაფერს. იძლევიან თუ არა ეს თეზისები ამ ტენდენციის საწინააღმდეგო საშუალებებს? იძლევიან თუ არა ისინი ძირითადი საკითხის—მრეწველობის კაპიტალური ხარჯების საკითხის დამოუკიდებელ გადაწყვეტას?—არა, ამით ისინი ხელს უწყობენ იმას, რომ პრაქტიკაში სულ უფრო და უფრო მეტად იმარჯვებს ანტი-პროლეტარული ტენდენცია ძირითად საკითხში—ჩვენი მეურნეობის სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტების ურთიერთობის საკითხში.

---

# ლენინის ხაზის დასაცავად სამეურნეო პოლიტიკაში

## „გამოსავალი დებულება"

### I.

ხუთწლიან გეგმის „გამოსავალ დებულების" შეფასება არის პარტიის სამეურნეო პოლიტიკის შედეგების შეფასება. სახალხო მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარების დონე, მისი გეგმიანი დაპყრობის ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შემდგომი აღმშენებლობის შესაძლებლობას და მასშტაბს. რას წარმოადგენს ოპოზიციის კონტრ-თეზისების ის თავი, რომელიც ეძღვნება ამ შეფასებას? ჩვენ ჯერ-ჯერობით არაფერს ვამბობთ იმ გარემოების შესახებ, რომ მთელი ის სტატისტიკა, რომელიც მასშია გამოყენებული, მთლიანად წარმოადგენს უღირსად არაკეთილსინდისიერ სიყალბეს, რომ მთელი მისი არგუმენტაცია წარმოადგენს ფაქტების შეგნებულ გადამახინჯებას და მენშევიკურ დემაგოგიის უხეირო მსგავსებას. თვით მეთოდი საკითხის დასმისა, თვით **მიდგომა** მისდამი სავსებით მოწმობს ოპოზიციის იდეურ სილატაკეს მის სრულ უძლურებას აწარმოოს **პრინციპიალური** და ამის გამო პრაქტიკულად ნაყოფიერი დისკუსია.

„გამოსავალ დებულების" შეფასება პარტიისათვის **პირველ რიგში** წარმოადგენს სოციალისტური ელემენტების ხვედრითი წონის შეფასებას სახალხო მეურნეობაში მთლიანად, ჩვენი მებრძოლი სოციალიზმის როლის შეფასებას, ინდუსტრიალიზაციის, კაპიტალურ ხარჯებისა და ახალ მშენებლობის ტემპისა და შედეგების შეფასებას, ეს სოციალურ-კლასობრივ გადაჯგუფებათა ანალიზს, რომლებიც ხდება ამ საფუძველზე. არაფერი ამის მსგავსი არ მოიპოვება ოპოზიციის კონტრ-თეზისებში, დავა პარტიის ეკონომიური პოლიტიკის ძირითად საკითხების გარშემო ოპოზიციას სურს შესცვალოს იაფი სპეკულიაციით სხვადასხვა კონიუნქტურულ რყევებზე, წმინდა ხელოვნურ დაბრკოლებებზე და შეფერხებებზე. თვიურ, უკეთეს შემთხვევაში კვარტალის ნახევრის ნაკრებ ცნობებიდან ამოგლეჯილ საბუთების მერყევ საფუძველზე ოპოზიცია აშენებს თავის „ეკონომიურ პლატფორმას". ამას ის უწოდებს „შორს დამიზნების" პოლიტიკას!

მართალიც და, რაზეა ლაპარაკი კონტრ-თეზისების იმ განყოფილებაში, რომელსაც აქვს ორიგინალი სათაური: „გამოსავალი დებულება"? „კუდების შესახებ ქალაქებში", პურის დამზადების მსვლელობის შესახებ, ამასთანავე განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა დამზადების მსვლელობას **სექტემბერში**; აქ ლაპარაკია ფულის ემისიის გაძლიერების შესახებ გასული წლის მეოთხე კვარტალში.

თუ ამას დავუმატებთ სრულიად თავბრუდამხვევ განცხადებას იმის შესახებ, რომ „თითქმის სამჯერ შემცირდა საკრედიტო სისტემის რესურსები", ამოწურული იქნება მთელი არსენალი ოპოზიციის არგუმენტაციისა „გამოსავალ დებულების" შეფასებაში.

ცოტა ტყვია - წამალი დარჩა ოპოზიციის არსენალში. მაგრამ ეს ტყვია-წამალიც საკმაოდ [illegible]. „კუდებს" დიდ ქალაქებში მართლაც ჰქონდა ადგილი ჯერ კიდევ რამოდენიმე კვირის წინად. მაგრამ ამჟამად მათ უკვე აღარა აქვს ადგილი; და ამრიგად იმან, რაც კონტრ-თეზისებში წამოყენებულია, როგორც ყველაზე უფრო თვალსაჩინო გამოხატულება „ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კაზიონურ ოპტიმიზმის ვაკოტრებისა", უკვე დაჰკარგა არა მარტო თავისი თვალსაჩინოობა, არამედ თავისი აქტუალობაც. ოპოზიცია ახლაც განაგრძობს სპეკულიაციას საქონლის მიწოდების შეფერხებაზე, რაც ამჟამად უკვე სავსებით, ან თითქმის სავსებით ლიკვიდირებულია, და ამით პირდაპირ სასაცილო მდგომარეობაში აყენებს თავს. აპელიაცია „კუდებისადმი", რომლებიც არ არსებობენ — ეს არის არა მარტო უვარგისი მეთოდი, არამედ ძლიერ ცუდი ბედიც.

ლაპარაკი „კუდების" შესახებ კონტრ - თეზისის ავტორებს დასჭირდა იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ, რომ საქონლის ნაკლებობა ჩვენში არა თუ არ მცირდება, არამედ, პირიქით, წლიდან - წლამდე იზრდება. ოპოზიციას ესაჭიროება ამის დამტკიცება, თუმცა სინამდვილეში ჩვენ გვაქვს საწინააღმდეგო პროცესი. **მიუხედავად** იმისა, რომ წარმოების საშუალებათა დამზადება იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე მოხმარების საშუალებათა დამზადება, **მიუხედავად** იმისა, რომ კაპიტალურ ხარჯებისათვის გადადებულია მილიარდები, **მიუხედავად** სამუშაო ხელფასის სისტემატიურ ზრდისა, **მიუხედავად** საქონლის ფასების დაკლებისა, ჩვენ ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ვკეცავთ საქონლის მოთხოვნილებისა და მიწოდების მაკრატელს. გასულ 1926—27 წელში მოსახლეობის სყიდვითი ფონდი გაიზარდა 7,8 პროცენტით, სამრეწველო საქონლის მიწოდება კი გაიზარდა 11,4 პროცენტით. მიმდინარე 1927—28 სამეურნეო წლისთვის სახელმწიფო საგეგმო კომისიის „საკონტროლო ციფრები" ითვალისწინებენ სამრეწველო საქონლის მოთხოვნილების გადიდებას 5,1 პროცენტით, მოთხოვნილების ზრდას კი 7 7 პროცენტით. (საკონტროლო ციფრები, გვ 234).

თავის ლაყბობაში საქონლის ნაკლებობის „გამწვავების" შესახებ ოპოზიცია არც კი ცდილობს უარყოს ან გააბათილოს ეს ციფრები. ხერხი, რომელსაც ის მიმართავს, რომ მიაფუჩეჩოს ნამდვილი მდგომარეობა, უფრო მარტივია და უხეში. საქმე იმაშია, რომ მაქსიმალურ მოთხოვნილების პერიოდი (ახალ მოსავლის რეალიზაციის დასაწყისი) ჩვენში არ ემთხვევა მაქსიმალურ მიწოდების პერიოდს. შესყიდვების განაწილება კვარტალების მიხედვით ჩვენში უკიდურესად უთანასწოროა.

ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობებით, 1926—27 წელში შესყიდვითი ფონდის განაწილება კვარტალების მიხედვით ჩვენში შემდეგი იყო:

| 1 კვ. | მე-2 კვ. | მე-3 კვ. | მე-4 კვ. | წლის განმავლობაში |
|---|---|---|---|---|
| 29,4 | 22,9 | 21,9 | 25,8 | 100 |

დაახლოვებით ასეთივე სურათი გვექნება, ალბათ, მიმდინარე წელშიაც. სამრეწველო საქონლის მოთხოვნილების განსაზღვრული გამწვავება შემოდგომაზე სრულიად აუცილებელია და არაფერს არ შეიცავს კატასტროფიულს. ამასთანავე მოთხოვნილების ეს ჩვეულებრივი საშემოდგომო-სეზონური ზრდა მიმდინარე წელში საგრძნობლად გააძლიერა ომის საშიშროებამაც. მაგრამ საქონლის ნაკლებობის საშემოდგომო გამწვავება, როგორც არ უნდა იყოს ის, თავის თავად სრულებითაც არ არღვევს საერთო წლიურ პერსპექტივას და კიდევ უფრო ნაკლებად სცვლის საერთო წლიურ შედეგს. მოთხოვნილების ამ საშემოდგომო გაძლიერებას (რომელიც კიდევ უფრო გააძლიერა ომის საშიშროებამ) სპეკულიაციის გაწევა, მასზე დაყრდნობა, ღვარძლიანი სიხარული ომის გამო, რომ „სრული მარცხი" განიცადა კაზიონურ ოპტიმისტების მიერ გამოცხადებულმა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის „გამარჯვებამ". ამის გამო სიხარული შეუძლია მხოლოდ შეგნებულ ღვარძლიან ფალსიფიკატორებს.

კონტრ-თეზისების შემდეგი არგუმენტია—პურის დამზადების მსვლელობა. ოპოზიციას კონტრ-თეზისებში არ მოჰყავს ციფრები, არ ასახელებს არავითარ წყაროებს და ისე ამტკიცებს, რომ 1926 - 27 წელში ბაზარზე შეძენილია უფრო ნაკლები რაოდენობის პური, ვიდრე წარსულში, 1925-26 წელში. ეს მტკიცება პირდაპირ სიცრუეს წარმოადგენს. 1926-27 წლის პირველ 11 თვეში პური დამზადებულია 22 პროცენტით უფრო მეტი, ვიდრე წარსული წლის 11 თვეში; ამასთანავე აქედან ხორბლის დამზადების მომატება შეადგენს 37,7 პროცენტს, ჭვავის კი—54,22 პროც.*)

ვინაიდან წლიურ ჯამებში კონტრ-თეზისების ავტორებს ბედი არ სწყალობს, ისინი ცეკას [illegible] „ტენდენციოზობის" შესარცხვენად ებღაუჭებიან თვიურ ნაკრებ ცნობებს. თურმე რა იტყვით, პარტიის სამეურნეო პოლიტიკის ავტორები გამომდინარეობენ იქიდან, რომ „სექტემბრის ბოლოდან მდგომარეობა პურის ბაზარზე მნიშვნელოვნად უარესდება. დამზადებები ეცემა და ამჟამად დაახლოვებით 10 პროცენტით უფრო დაბალ დონეზეა, ვიდრე წარსულ წელში". მაგრამ ოპოზიციის კონტრ-თეზისები ჩვეულებრისამებრ აქაც ამახინჯებენ ციფრებს. კამპანიის დაწყებიდან 21 ოქტომბრამდე დამზადებულ პურის საერთო რაოდენობამ შეადგინა 3.153 ათასი ტონა, გასულ წელში კი ამავე ხნის განმავლობაში დამზადებული იყო 3.355 ათასი ტონა.*) შემცირება, მაშასადამე, უდრის არა 10 პროც., არამედ 6 პროც.. **მეორე**—პურის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შეფასებისათვის მცირე მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ მიუხედავად დამზადების ერთგვარ შემცირებისა, დასამზადებელი ფასები მაინც **მცირდება**. ხორბლის ფასი მცირდება 665 კაპეიკიდან 623 კაპეიკამდე ცენტნერზე, ჭვავის—456 კაპეიკიდან 458 კაპეიკამდე. **მესამე**—ეს 6 პროცენტიანი შემცირება მოხდა მხოლოდ სამი რაიონის: ციმბირის, ყაზახსტანის და ჩრდ. კავკასიის ხარჯზე. უკრაინაში კი დამზადების ჯამი 25 პროცენტით სჭარბობს წარსულ წლისას, ცენტრალურ შავმიწადგილიან ოლქში მომატება შეადგენს 53 პროცენტს, თათრების რესპუბლიკაში 250 პროცენტს, და სხ. და, დასასრულ, **მეოთხე**—ციმბირის, ყაზახსტანის და ჩრდ: კავკასიის ჩამორჩენა, რომელიც რამოდენიმედ იხსნება იქაური მოსავლის სიძვირით, უმთავრესად გამოწვეულია გზების გაფუჭებით, რომელიც მოხდა ამ რაიონებში. უეჭველია, რომ ეს ახლო მომავალში იქნება მოგვარებული. მართალია, რომ ვთქვით ამ შემთხვევაში ოპოზიციის ცეკას წინააღმდეგ არგუმენტად მოჰყავს „გზების გაფუჭება. მაგრამ გზების გაფუჭებას ისევ მოელის ბოლო, როგორც მოელის ბოლო კუდებს. რაღა დარჩება მაშინ ოპოზიციის არგუმენტაციიდან?

საბუთი გასული წლის მე-4 კვარტალში ემისიის გაფართოების შესახებ ისეთივე ღირებულებისაა. როგორც ორი პირველი საბუთი, დავუშვათ, რომ აქ ერთგვარი გადაჭარბება დაშვებული იყო. მაგრამ რა გამოდის აქედან? ის, რომ ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს: და უეჭველად, გამოსწორდება უახლოეს თვეებში; მაგრამ რა აზრით, რა მხრით რა [illegible] გამომდინარეობს აქედან ის დასკვნა, რომ პარტიის ეკონომიური კურსი სწორი არ არის? რა შუაშია აქ „გამოსავალი დებულება" ხუთწლიან გეგმისათვის?

ჩვენ გავარჩიეთ გამოსავალ დებულების ოპოზიციის შეფასების სამი **ძირითადი** „არგუმენტი". არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს დანარჩენ „არგუმენტების" გარჩევა, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ისეთ განსაცვიფრებელ მარგალიტებზე დაწვრილებით შეჩერება. როგორიცაა იმის მტკიცება, რომ „საკრედიტო სისტემის რესურსები (ემისია და მიმდინარე ანგარიშები) 1925 წელში შემცირდა წინა წელთან შედარებით თითქმის სამჯერ, 1926—27 წელში კი მოხდა შემდგომი გაუარესება".

ეს მტკიცება, უწინარეს ყოვლისა, მართალი არ არის არსებითად. 1924 წლის 1 ოქტომბრიდან 1925 წლის 1 ოქტომბრამდე ჩვენი საკრედიტო სისტემის ნაკრები ბალანსი გაიზარდა 2.412 მილიონ მანეთიდან 5.843 მილიონ მანეთამდე, 1925 წლის 1 ოქტომბრიდან 1926 წლის 1 ოქტომბრამდე—6.412 მილიონ მანეთამდე და, დასასრულ, 1927 წლის 1 ივლისისათვის—8.175 მილიონ მანეთამდე.

ამრიგად, ჩვენი საკრედიტო ქსელის შემცირება, და ისიც სამჯერ (!!) წარმოადგენს მხოლოდ ჩვეულებრივ ოპოზიციონურ სიცრუეს. „რაციონალური მარცვალი" ამ სიცრუეში, როგორც ჩანს, მდგომარეობს იმაში, რომ შემცირდა ჩვენი საკრედიტო ქსელის **სამისიო** რესურსები. და აი აქ ოპოზიციონურ თეზისების ავტორები ორივე ფეხებით ებმებიან მახეში, ვინაიდან, ერთის მხრივ გაჰყვირიან იმ საფრთხის შესახებ, რომელიც ვითომ მოელის ჩერვონცს, და ილაშქრებენ უკანასკნელი კვარტალის ზომაზე მეტ ემისიის წინააღმდეგ; მეორე მხრივ ისინი ამავე დროს წარმოუბრალოდ უსაყვედურებენ ცეკას, რომ 1925—26 წლის ემისია ნაკლებია 1924—25 წლის, ფულის რეფორმის შემდეგ პირველი წლის, ემისიაზე. განა შესაძლებელია კაცმა მოიგონოს უფრო ცინიკური და უხეში პოლიტიკური ჟულიკობა?

ოპოზიციის თეზისებში ისევ არის გამოთრეული ტროცკის ძველი თეორია იმის შესახებ, რომ ინდუსტრიალიზაციას მოელის საფრთხე კარგი მოსავლის გამო. თურმე ნუ იტყვით, ცხოვრებამ გაამართლა ეს თეორია. რით გაამართლა? არარსებული კუდებით? საქონლის ნაკლებობის პირიდან ჩამოღებულ ნაკლებობით? პურის დამზადებელ კამპანიის თითიდან გამოწოვილი ჩაშლით?

### II.

ჩრდილოეთ კავკასიაში არ არსებული კუდებისა და თოვლის დნობის გაფუჭებულ გზების საშუალებით ოპოზიციამ „დაამტკიცა", რომ ხუთწლიანი გეგმის „გამოსავალი დებულება" არის კატასტროფიული დებულება და ამის გამო გაიხარა სამეურნეო ხელმძღვანელობის „ქარაფშუტობისა" და უხეშ შეცდომების გარშემო. ოპოზიცია იწყებს „ჩვენი სამეურნეო სიძნელეების ფესვების" ძებნას. ოპოზიციონურ კონტრ-თეზისებში ამაზეც არის სპეციალური თავი, ამ თავში (რიგით მეორეში) ნათქვამია შემდეგი:

„ჩვენი სამეურნეო სიძნელეების საერთო ძირითადი მიზეზები მოკლედ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასე. უკანასკნელ წლებში მრეწველობა ძალიან ნელა ვითარდება და ჩამორჩება სახალხო მეურნეობის საერთო განვითარებას... ამავე დროს წვრილ საქონლის წარმოების ნიადაგზე მიწათმოქმედებაში სწრაფად იზრდება კაპიტალისტური ელემენტები. ამის გამო იზრდება სახელმწიფო მეურნეობის დამოკიდებულება კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტებისაგან"..

თურმე ჩვენში მრეწველობა ჩამორჩება მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას. რატომ, რით აიხსნება ეს.—ამაზე კრინტიც არაა დაძრული კონტრ-თეზისებში. ნაგულისხმევია რომ ამ მდგომარეობის გამომწვევ მიზეზს წარმოადგენენ იგივე კუდები და სექტემბრის დამზადების 6 პროცენტით შემცირება. ოპოზიცია აქ ბრმა, უგონო [illegible] ამტკიცებს ისეთ საგნებს, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგებიან საყოველთაოდ ცნობილ და უდავო ფაქტებს. რა შემთხვევაში შეიძლებოდა ლაპარაკი მრეწველობის განვითარების ჩამორჩენაზე მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისაგან? ეს შეიძლება იმ შემთხვევაში, მრეწველობა რომ უფრო ნელა ფართოვდებოდეს, ვიდრე წარმოების სხვა არასამრეწველო დარგები. როგორც ვიცით, ნამდვილად ადგილი აქვს წინააღმდეგ მოვლენას. არა მარტო აღდგენითი პროცესის წლებში, არამედ ეხლაც მრეწველობა თავისი განვითარების **ტემპით დგას** პირველ ადგილზე. „საერთო ჯამით სახალხო მეურნეობის პროდუქციის ზრდაში სასოფლო მეურნეობას უჭირავს 1924—25 წელში 67.6 პროცენტი. 1925—26 წ.—64,1 პროცენტი. 1926—27 წ.—62 პროცენტი, და 1927—28 წ.—59.8 პროცენტი. ასეთივე შეფარდებით მიდის მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონის ზრდა: 32:4 პროც., 35.9 პროცენტ., 38 პროც., 40.2 პროც. საქონლის მასის ზრდის საერთო ჯამში სასოფლო მეურნეობა იძლევა: 1924—25 წ. 46,8 პროც., 1925—26 წ. —41,6 პროც., 1926—27 წ. 40,4 პროც. და 1927—28 წ.—39,3 პროც. ასეთივე შეფარდებით მიდის სამრეწველო საქონლის ხვედრითი წონის ზრდაც: 53,2 პროც., 58,5 პროც., 59 6 პროც. (60,7 პროც."*).

რასაკვირველია, მრეწველობის **უფრო სწრაფი ზრდა**, ვიდრე სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენ ელემენტებისა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მრეწველობა უკვე სავსებით შეუძლია დაფაროს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებები. ჩვენი მრეწველობა რომ სრულად ფარავდეს ჩვენი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს, მაშინ ჩვენი ქვეყანა აღარ იქნებოდა აგრარული ქვეყანა, მაშინ უაზრო იქნებოდა თვით ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი.

უფრო მეტი: სამრეწველო საქონელზე სამომხმარებლო მოთხოვნილებათა დაფარვა არ მიდის და ვერც წავა იმავე ტემპით, როგორც მრეწველობის განვითარება. არ მიდის და ვერც წავა იმიტომ. რომ მრეწველობის **შიგნით** საწარმოო საშუალებათა წარმოება, ე. ი. ისეთ საქონლის წარმოება, რომლებიც უშუალოდ არ გადიან ფართო სამომხმარებლო ბაზარზე, ჩვენში უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე სამომხმარებლო საშუალებათა წარმოება. მაგრამ ტემპების ასეთი შეფარდების გარეშე წარმოუდგენელია ინდუსტრიალიზაცია.

რას უფრო ემყარება ოპოზიცია? თუ თავს განვანებებთ პირდაპირ გადამახინჯებებს. პირდაპირ ფალსიფიკაციას და პირდაპირ ცილისწამებას, თუ, წინააღმდეგ ყველა ამისა, შევეცდებით „რაციონალური მარცვლის" აღმოჩენას მის არგუმენტაციაში, მაშინ მივიღებთ შემდეგს: ოპოზიცია ცდილობს თამაშს ჩვენი განვითარების ბუნებრივ „არათანაზომიერებაზე". საბოლოო ანგარიშით, საწარმოო საშუალებათა წარმოების განვითარება არის მოხმარების ზრდის აუცილებელი პირობა. მაგრამ მრავალი წლის განმავლობაში ჩვენ არ შეგვეძლება ერთ და იმავე დროს ერთ და იმავე ტემპით განვავითაროთ საწარმოო საშუალებათა წარმოება და სამომხმარებლო საშუალებათა წარმოება, ერთ და იმავე დროს განვავითაროთ კაპიტალური მშენებლობა და ასეთივე ტემპით დავძლიოთ საქონლის ნაკლებობა. ხერხი, რომელსაც აქ ოპოზიცია იყენებს, უარესად მარტივია. 1924—25 წ. წ.; როდესაც ჩვენ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სამრეწველო საქონლით ბაზრის სულ მცირეოდნად მაინც დაკმაყოფილება და საქონლის ბაზისის შექმნა სოფელთან დაახლოების მიზნით,—მაშინ ოპოზიცია, როგორც ვიცით, ყველა გზაჯვარედინებზე გაჰკიოდა, რომ ცეკას პოლიტიკა იწვევს ძირითადი კაპიტალის და ამითვე საერთო სამეურნეო კატასტროფას. დღეს, როდესაც კაპიტალური მშენებლობა მოქცეულია ჩვენი მუშაობის ცენტრში, ოპოზიცია მოულოდნელად სცვლის თავისი ცეცხლის მიმართულებას და პარტიაზე თავდასხმის საბაბათ აყენებს საქონლის ნაკლებობის აღმოფხვრის არა სწრაფ განვითარებას და სამრეწველო საქონლის სამომხმარებლო ბაზრის მომარაგების ნელ ტემპს! გამოდის, რომ ლენინის პარტიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის კარგია ყველა საშუალება, მისაღებია ყველა არგუმენტი.

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ „იზრდება სახელმწიფო მეურნეობის დამოკიდებულება კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტებისაგან"-ო. არგუმენტაციის თანამიმდევრობა აქ ასეთია: სახალხო მეურნეობის ფართედ გაშლის ერთ-ერთ დედა-ბოძს წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა. ჩვენი საგარეო ვაჭრობა გადაჭრით ჩამორჩება ომის წინადროინდელს იმიტომ, რომ ჩამორჩება ექსპორტი. ექსპორტი ჩამორჩება იმიტომ, რომ ჩვენ ცოტა პური გაგვაქვს. ხოლო ცოტა პური გაგვაქვს იმიტომ, რომ პურის მარაგი (800—900 მილიონი ფუთი) მოქცეულია უმთავრესად კულაკის ხელში, ხოლო კულაკი, ბაზარზე გატანის მაგიერ, ნატურალურ ფორმით აგროვებს პურს.

რას გვირჩევს ოპოზიცია? ამ მარაგიდან 150 მილ. ფ. პურის აღებას. ის, რომ ცეკამ ეს დღემდე არ შეასრულა, ოპოზიცია ხედავს შეუწყნარებელ ცოდვას.

მაგრამ, რამდენად სერიოზულია ოპოზიციის ეს წინადადება, სხვათა შორის, ჩანს შემდეგიდან: ოპოზიციონური კონტრ-თეზისები პურის ამ მარაგს განსაზღვრავენ 800—900 მილიონი ფუთით. როგორც „სადისკუსიო ფურცლის" წარსულ ნომერში მოყვანილ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მასალებიდან ჩანს, აქაც ოპოზიციამ ჩვეულებრივ იცრუა. ნამდვილად ეს მარაგი არ სჭარბობს 700 მილიონ ფუთს. თუ ამ „პატარა შესწორებას" გაუკეთებთ (ე. ი. 900 მილ. ფ. მაგიერ ავიღებთ 700 მილიონ ფ.), მაშინ გამოდის, რომ ჩამოსართმევი აღარაფერია. „პატარა შესწორება" შეადგენს 200 მილიონ ფუთს, ე. ი. სავსებით ფარავს იძულებით სესხს, რომელსაც ოპოზიცია გვირჩევს.

შემდეგ. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ნატურალურ მარაგის შექმნა გამოხატავს უმთავრესად კულაკურ და შეძლებულ ფენების დაგროვებას. საჭიროა გავეცნოთ ამ მარაგის გეოგრაფიას, რათა დავრწმუნდეთ, თუ რამდენად სერიოზულია ეს მტკიცება. მიმდინარე წლის შემოდგომისათვის პურის ნატურალური მარაგი სულზე უდრიდა: ვოლგის შუა რაიონი 12 ფ.; ვოლგის ქვემო რაიონი 13,3; ჩრდილო - კავკასია 14; ყირიმი 13,9; უკრაინა 7,5; ციმბირი 6,9; ცენტრალური შავმიწადგილიანი ოლქი 4,5.

ოპოზიცია რომ მართალი იყოს, ნატურალური მარაგი რომ იყოს კულაკური დაგროვების ფორმა და გამოხატულება, მაშინ ბუნებრივად უნდა მოველოდეთ, რომ ამ მარაგის ჯამი უფრო მეტი იქნებოდა იქ, სადაც მაღალია კულაკის ხვედრითი წონა, სადაც უფრო ძლიერია ფენებად დაყოფის ტემპი. ნამდვილად კი რას ვხედავთ? სულობრივი მარაგის ოდენობის ბოლოდან მეორე ადგილი უჭირავს ისეთ რაიონს — ციმბირს, რომელსაც ფენებად დაყოფის მხრივ უჭირავს ერთი პირველი (თუ პირველი არა) ადგილთაგანი. უკანასკნელ ადგილზე ცენტრალური შავმიწადგილიანი რაიონი, რომელსაც ფენებად დაყოფის ტემპის მხრივ უჭირავს ერთი პირველი ადგილთაგანი. პირიქით, სულობრივი ნატურალური მარაგის მაქსიმალური ოდენობას იძლევიან ვოლგის შუა და ქვემო რაიონი.

ნატურალურ მარაგის გეოგრაფია „უდიდესი სიცხადით" მოწმობს იმას, რომ ნატურალური მარაგი უმეტეს წილად არის დაზღვეული მარაგი, რომელიც გროვდება გვალვიან რაიონებში, და რომლების შექმნაც ჩვენი სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის პირობებში არა თუ აუცილებელია, არამედ საჭიროცაა.

— : —

ამნაირად რით დასრულდა „ფესვების ძებნა" რომელსაც ახდენდა ოპოზიციონურ კონტრ-თეზისების ავტორები?

წინასწარი ყალბი მტკიცებით, რომ თითქოს მრეწველობა ჩამორჩება სახალხო მეურნეობას მთლიანად.

წვრილბურჟუაზიული მენშევიკური დემაგოგიით იმის შესახებ, რომ თითქოს სამომხმარებლო ბაზრის მომარაგების ტემპი ჩამორჩება ინდუსტრიალიზაციის ტემპს.

„კონკრეტიული წინადადებით" იმის შესახებ რომ ჩამორთმეულ იქნას 150 მილიონი ფუთი, რომელიც ქრება ნატურალურ პურის მარაგის ნამდვილი შემოწმების დროს.

ე. გოლდენბერგი.

---

*) „Эк. Жизнь", 28 ოქტომბერი 1927 წ.

*) სახელმწ. საგეგმო კომისიის საკონტრ. ციფრები, გვ: 241.

*) 1927—28 წ. საკონტროლო ციფრები გვ. 16.

---

# ა.-კ. კომუნისტურ ორგანიზაციების მეხუთე ყრილობის რეზოლუცია

## ა.-კ. კომიტეტის მუშაობის შესახებ

1. მოისმინა რა საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში, ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-5 ყრილობა სავსებით იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს და საორგანიზაციო მუშაობას.

2. ყრილობა ღრმა კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს ამიერ-კავკასიის ერების ძმური ცხოვრებისა და ერთად ბრძოლის იმ ფორმის ცხოველმყოფელობას, სიმტკიცესა და ამ ერების პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ინტერესებთან შეფარდებას, რომელიც ჩამოყალიბდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახით 1922 წ. ჩვენი პარტიის დირექტივების მიხედვით და ამხ. ლენინის მეთაურობით.

ყრილობა აღნიშნავს ტროცკისტული ოპოზიციის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ მთლიანობაზე [illegible] თავდასხმის ცდას ყოველგვარი ჯურის უკლონისტების დაკმაყოფილების მიზნით, რომლებიც წვრილი ბურჟუაზიის იმ რეაქციონული ფენების პოლიტიკურ განწყობილებებსა და ზრახვებს გამოხატავდნენ და გამოხატავენ, რომლებიც ხსნას პროლეტარული სოციალისტური რევოლუციიდან სეპარატიზმსა და სომეხ, ქართველ და აზერბაიჯანელ რეაქციონერების შუღლის გაღვივებაში ეძებენ.

3. ყრილობა აღასტურებს განვლილი ეტაპის მანძილზე წარმატებით ბრძოლას ანტი-საბჭოთა პარტიებთან (მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატელები), აღნიშნავს მათ იდეურ და ორგანიზაციულ დამარცხებას ა.-კ. ს. ფ. რ-ში და ემიგრაციის რიგების დაშლას.

ომის საფრთხესა და იმპერიალისტების ცდებთან დაკავშირებით გააცხოველონ და აქტიურ გახადონ ყველა თეთრგვარდიელები და ანტი საბჭოთა ელემენტები,—ყრილობა ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების წინაშე აყენებს პროლეტარიატის დიქტატურის მტრებთან ბრძოლას და ამ ბრძოლის გარშემო ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ყველა მშრომელების საზოგადოებრივი აზრის დარაზმვის ამოცანას.

4. იწონებს რა სავსებით და მთლიანად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პოლიტიკურ და საორგანიზაციო ხაზს,—ყრილობა აღნიშნავს ტროცკისტული ოპოზიციის გაკოტრებას როგორც საკავშირო კომპარტიაში საერთოდ, ისე ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებშიც. ლენინურ პარტიასა და მის ცეკასთან ბრძოლაში, ტროცკისტული ოპოზიცია და მისი სატელიტები საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის კომპარტიებში ეძებდნენ მეორე პარტიის შექმნის გზას დაუახლოვდნენ „მესამე" ძალას და მით ობიექტიურად ხელს უწყობენ პროლეტარული დიქტატურის ყველა კლასობრივ მტრებს. ყრილობა იწონებს პარტიის მიერ აღებულ გადამჭრელ კურსს დეზორგანიზატორებისა და გამიჯვნელებთან ბრძოლაში (ზინოვიევისა და ტროცკის გამორიცხვა პარტიიდან) და წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ იქნეს დაშლილი ყველა [illegible] და ჯგუფები, თანახმად რ. კ. პ. მე-10 ყრილობის დადგენილებისა, და ეს გადაწყვეტილება უყოყმანოდ გატარდეს ცხოვრებაში.

5. ყრილობა აღნიშნავს ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების სწორ ხაზს ნაციონალური პოლიტიკის საკითხებში. აღნიშნავს რა მიღწევებს ნაციონალური საკითხის შესახებ რ. კ. პ. მე-12 ყრილობის დირექტივების ცხოვრებაში გატარების დარგში (ბრძოლა დიდმპყრობელურ გადახრასთან, ნაციონალისტურ გადახრასთან, ყველა ეროვნებათა კულტურის განვითარება, სახელმწიფო აპარატში ადგილობრივ მოსახლეობის ჩაბმა, პოლიტიკა ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ და სხ.), ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებმა მომავალშიაც მიაქციონ უმთავრესი ყურადღება ნაციონალური პოლიტიკის საკითხებს. დიდმპყრობელურ გადახრის ნაშთებთან ბრძოლა ისე როგორც ნაციონალისტურ გადახრასთან ბრძოლა შემდეგშიაც მტკიცედ და თანმიმდევრობით უნდა სწარმოებდეს.

ყრილობა კვლავ აღნიშნავს ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკების ნაცუმცირესობათა კულტურულ და ეკონომიური ინტერესების უზრუნველყოფის აუცილებლობას.

6. აღნიშნავს რა დიდ მიღწევებს ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალური განვითარების საქმეში ნავთის მრეწველობის რაციონალიზაცია ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ელექტროფიკაციის გეგმის განხორციელება, ახალი სამრეწველო კერების შექმნა),—ყრილობა სწორად აღიარებს თავიდანვე აღებულ ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ინდუსტრიალიზაციის ხაზს, რომელიც მიმართულია ადგილობრივი ნედლეულის სამრეწველო გადამუშავებისაკენ.

7. ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობის დინამიური პროცესების შესწავლისა და აღრიცხვის საქმის სწორად დაყენების მიზნით, ყრილობას აუცილებლად მიაჩნია სერიოზული ყურადღების მიქცევა სახელმწიფო სტატისტიკის გაუმჯობესებაზე სტატისტიკის მუშაკების კვალიფიკაციის აწევის გზით როგორც ცენტრში, ისე ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკებში.

8. ყრილობა იწონებს პარტიული ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში სოფლის საწარმოო ძალების განვითარებისათვის მიღწეულ ღონისძიებებს. სასოფლო-სამეურნეო კულტურის უმაღლეს ფორმებზე გადასვლის ამოცანა მიწის დამუშავების ჯერ კიდევ არსებულ პრიმიტიულ წესების მექანიკური საშუალებებით (ტრაქტორიზაცია და სხვ.) შეცვლის საფუძველზე,—აქტუალურ ამოცანად რჩება, რომლის გარშემოც უნდა დაირაზმოს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საზოგადოებრივი აზრი.

ყრილობა უარყოფს ოპოზიციის თვალსაზრისს სოფლის დიფერენციაციის საკითხის შესახებ (საშუალო შეძლების გლეხობის გვერდის ავლება, კულაკობისა და ღარიბი გლეხობის სწრაფი ზრდა და სხ.).

ყრილობა აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის პირობებში, ლენინური პოლიტიკის გატარების წყალობით გლეხურ საკითხში ღარიბ გლეხობის მეურნეობათა ეკონომიური სიძლიერის ზრდასთან დაკავშირებით, იზრდება სოფლის საშუალო ფენება.

გლეხობაზე პროლეტარულ გავლენის გაძლიერებასა, ღარიბ და საშუალო გლეხების ბლოკის გამტკიცებასა და ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო მეურნეობაში სოციალისტური სექტორის გაძლიერებასთან დაკავშირებით,—ყრილობას აუცილებლად მიაჩნია ეკონომიური შეტევის გაძლიერება სოფლის კერძო—კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მეტი ყურადღების დათმობა სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხებისათვის (სასოფლო-სამეურნეო კომუნები, კოლმეურნეობანი, არტელები, ამხანაგობანი და სხ.), ამასთანავე ამიერ-კავკასიის სოფლის ყველა პრობლემების ყურადღებით შესწავლა (დიფერენციაცია და სხ.).

ყრილობა აღიარებს სოფლის ღარიბი გლეხობის დარაზმვისა და მისთვის მატერიალური დახმარებისათვის მუშაობის გაუმჯობესებას და წინადადებას იძლევა შემდეგშიაც მაქსიმალური ყურადღება მიექცეს მუშაობის ამ დარგს.

ყრილობა პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს მოჯამაგირეებს შორის მუშაობის გაძლიერებაზე (მიწა ტყის კავშირები) და აგრეთვე მომთაბარეობის [illegible] და წყლის საკითხებზე.

9. სწორმა პოლიტიკამ სოფლის საკითხებში მნიშვნელოვნად გააძლიერა პარტიული გავლენა ღარიბი და საშუალო გლეხობის მასებზე.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საბჭოების უკანასკნელი გადარჩევა მაჩვენებელი იყო პროლეტარული გავლენის ზრდისა გლეხურ მასებზე, მუშების და ღარიბი გლეხობის მტკიცე კავშირის საშუალო შეძლების გლეხებთან და კულაკობისა და ანტისაბჭოთა ელემენტების იზოლიაციისა სოფლად. აღნიშნავს რა სოფლის ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხური მასების აქტივობის ზრდას,—ყრილობას აუცილებლად მიაჩნია პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალური მუშაობის გაძლიერება სოფლის აქტივთან მუშაობისათვის მაქსიმალური ყურადღების დათმობით.

10. აღნიშნავს რა საანგარიშო პერიოდში პროლეტარული მასების აქტივობის მნიშვნელოვან ზრდას, მიღწევებს მასიურ მუშაობაში, მუშების დაწინაურებისა და პროლეტარულ მასების სოციალისტურ აღმშენებლობაში ჩაბმის ზრდას,—ყრილობა წინადადებას იძლევა აღმოფხვრილ იქნეს შემდეგში მასიურ მუშაობაში არსებული ნაკლი და მეტი ყურადღება მიექცეს საწარმოო კომისიებისა და თათბირების მუშაობას, პროლეტარული მასების საზოგადოებრივი აზრის დარაზმვას წარმოების რაციონალიზაციის გარშემო, ქალაქის საბჭოების მოღვაწეობის გამოცოცხლებას და მუშების ფართო მასების ჩაბმას ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლაში.

ყრილობას აუცილებლად მიაჩნია მუშების და კერძოდ უპარტიოებისა და მუშა-ქალების დაწინაურების ტემპის გაძლიერება.

11. ყრილობა აღნიშნავს საანგარიშო პერიოდში როგორც სამომხმარებლო, ისე სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ზრდას, მასში პროლეტარული და გლეხური მასების გაძლიერებულ ჩაბმას, გაუმჯობესებას მომხმარებლის დაკმაყოფილების საქმეში, მიღწევებს ფასების შემცირებაში საქონლის გამტარებელ ქსელის რაციონალიზაციაში, რომელიც ჯერ კიდევ მაინც არ არის საკმაო, კოოპერაციაში ხელმძღვანელ კადრების გაძლიერებას და სხვ.

ყრილობა აღნიშნავს შინამრეწველურ და საკრედიტო კოოპერაციის სისუსტეს, ყველა სახის კოოპერაციის საზოგადოებრივ, მასიურ და კულტურულ მუშაობის სისუსტეს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში.

გამოდის რა იქიდან, რომ კოოპერაცია წარმოადგენს იმ ორგანიზაციის მასიურ ფორმას, რომლის საშუალებით შესაძლებელი ხდება გლეხურ მეურნეობათა ფართოდ ჩაბმა სოციალისტური აღმშენებლობის კალაპოტში. ყრილობა წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს შემდეგშიაც მაქსიმალური ყურადღება დაუთმონ კოოპერაციას და დაისახონ ამოცანად, რომ კოოპერაციაში სრულად იქნეს ჩაბმული ღარიბი მოსახლეობა და საშუალო შეძლების მოსახლეობის ფართო ფენები და კოოპერაციის განვითარებას მიეცეს ისეთი მიმართულება, რომ სულ უფრო და უფრო ჩამოყალიბდეს კოოპერატიულ ფორმებში სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესები.

12 ყრილობა აღნიშნავს, რა პარტორგანიზაციების, ფართო პარტიული მასების აქტივობის ზრდას, მასიური პარტიული მუშაობის ტემპის გამოცოცხლებას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შინაპარტიული დემოკრატიისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის საფუძველზე, წინადადებას იძლევა, რომ მომავალ მუშაობაში დიდი ყურადღება მიექცეს პარტმუშაობის დაბალ საფეხურებს (კომისიები, ცეხ-უჯრედები, ჯგუფობრივი ორგანიზაციები და სხ.). აღმოფხვრილ იქნას ნაკლულოვანებანი, სისტემატიურად შემოწმდეს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების დირექტივები, გადამჭრელი ბრძოლა გამოცხადდეს ცალკე ბიუროკრატიულ დამახინჯებებს პარტიულ მუშაობაში, ხოლ უფრო და უფრო განვითარებულ იქნა შინაპარტიული დემოკრატია.

13 ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს ახალი მრავალი ათასეული მოწინავე მუშების რაზმების შესვლას საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში, ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავთან დაკავშირებით. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ მუშათა კლასის ფართო მასები სრულ ნდობას უცხადებენ კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცეკას ხელმძღვანელობას.

ყრილობა იძლევა წინადადებას, რომ განგრძობილ იქნას კურსი პროლეტარული შემადგენლობის გასაძლიერებლად ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებში, პირველ რიგში იმ მუშების ხარჯზე რომლებიც მუშაობენ წარმოებაში, პირველ რიგში მსხვილ წარმოებებში.

ყრილობა აუცილებლად სცნობს აგრეთვე ორგანიზაციების ზრდის გაძლიერებას სოფლად მოჯამაგირეთა ხარჯზე, და არაპროლეტარული მოსამსახურე ელემენტების პარტიაში მიღების შეზღუდვას.

14. პარტიის კულტურული მშენებლობისა და სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის ხელმძღვანელობის დარგში ყრილობა აუცილებლად სცნობს:

1) სასწრაფოდ იქნას დამუშავებული სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციის საკითხი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, სახალხო მეურნეობის რეალურ საკითხებთან დაკავშირებით.

2) გაუმჯობესებულ იქნას მასწავლებელთა და მოსწავლეთა სოციალ-პოლიტიკური შემადგენლობა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში.

3) გაძლიერდეს მუშაობა ინტელიგენციის შორის კომფრაქციის, სათანადო პროფკავშირებისა და ასოციაციების საშუალებით.

4) გადამჭრელი ბრძოლა იქნას წარმოებული პარტიულებსა და კომკავშირელებს შორის წერა-კითხვის და პოლიტიკური უცოდინარობის აღმოსაფხვრელად.

5) გაძლიერდეს მუშაობა პარტიული აქტივის, განსაკუთრებით სოფლისა და [illegible] პარტიული აქტივის, პოლიტგანათლებისა და საქმიანი მომზადების დარგში.

6) გაძლიერებულ იქნას პარტიული ხელმძღვანელობა მასებზე მხატვრული ზემოქმედების ორგანოების მიმართ (კინო, თეატრი, რადიო და სხ.).

7) გაძლიერდეს ანტირელიგიური პროპაგანდა.

8) გაცხოველდეს ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობა და გაძლიერდეს პარტხელმძღვანელობა მათზე.

9) გაძლიერდეს მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის პროფესიონალური, საბჭოთა კოოპერატიული და სხ. ხაზით.

10) გაძლიერდეს მუშაობა მოჯამაგირეთა და სასოფლო - სამეურნეო და ხე-ტყის მუშათა შორის პოლიტგანათლების შეტანისათვის.

11) ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების სწრაფი რიცხვობრივი ზრდა, პარტიის შეტევის გაფართოება იდეოლოგიურ ფრონტზე, აგიტაციისა და პროპაგანდის გართულებული ამოცანები აუცილებელს ხდიან ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების აგიტპროპმუშაობის გაძლიერებას, მისი ხვედრითი წონის აწევას პარტმუშაობის მთელ სისტემაში და პარტკომების აგიტპროპგანყოფილებათა თვისობრივ გაუმჯობესებას.

15. ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის კომკავშირთა ორგანიზაცია მტკიცედ სდგას ლენინის პოზიციაზე, და წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს დახმარება გაუწიონ კომკავშირს ახალგაზრდობის ფართო მასების ლენინურად აღზრდის საქმეში.

ყრილობა, აღნიშნავს რა ამიერ-კავკასიის კომკავშირთა ორგანიზაციების რიცხვობრივ და თვისობრივ ზრდას, კომკავშირის ხელმძღვანელობის გაძლიერებას მუშურ-გლეხურ ფართო მასებზე, კომკავშირის გავლენის ზრდას სოფლად (საბჭოების უკანასკნელი გადარჩევა), ახალგაზრდობის ჩაბმას სოციალისტური მშენებლობისათვის წარმოებულ ყოველდღიურ მუშაობაში, — აუცილებლად სცნობს მომავალში გაძლიერდეს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა ახალგაზრდათა ორგანიზაციებზე პრაქტიკული დახმარება გაეწიოს ახალგაზრდათა მუშაობას ცალკე კონკრეტულ პრობლემების გარკვევის დროს (სწავლება, მახაზე გადაყვანა, „ჯავშანი", მუშაობა აქტივთან და სხ.). გაძლიერდეს ბრძოლა არაჯანსაღ და ავადმყოფურ მოვლენებთან, პარტიულმა ორგანიზაციებმა ყურადღება მიაქციონ კომკავშირის რიგების იდეოლოგიურ სიმტკიცეს, მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობაზე არაპროლეტარული გავლენასთან ბრძოლას.

ყრილობა მიაქცევს აგრეთვე ყურადღებას იმაზე, რომ აუცილებელია გაძლიერდეს პარტიული შემადგენლობა კომკავშირში და რომ საჭიროა პარტხელმძღვანელობა ამიერ კავკასიის კომკავშირის ორგანიზაციების ზრდისა და მოწესრიგების საკითხზე. ყრილობა, აღნიშნავს რა პიონერთა მოძრაობაზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, წინადადებას იძლევა მომავალში მაქსიმალური ყურადღება მიექცეს მუშაობის ამ დარგს.

16. ყრილობა აღნიშნავს რა, მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა მასების აქტივობის ზრდას, მათ კულტურული დონისა და პოლიტიკური შეგნების აწევას, აუცილებლად სცნობს: ა) მასიურ მუშაობის შემდგომ გაღრმავებას, ბ) მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა დაწინაურების გაძლიერებას საბჭოთა, პროფესიონალურ და სხ. ხელმძღვანელ მუშაობაზე; გ) დედისა და ბავშვის და მცველ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას, რომელიც ქალებს უადვილებს წარმოებაში და საზოგადოებრივ სამუშაოზე ყოფნას; დ) პარტიაში ჩაბმას იმ მუშა-ქალთა, მოჯამაგირე-ქალთა და ღარიბ-ქალთა, რომელთაც ძლიერი აქტივობა გამოიჩინეს პრაქტიკულ საზოგადოებრივ მუშაობაში; ე) პარტხელმძღვანელობის გაძლიერებას ქალთა შორის მუშაობაზე. ამასთან ერთად, ყრილობა აუცილებლად სცნობს გადაჭრელი ბრძოლა იქნას წარმოებული ყოფაცხოვრების ნაშთებთან, პარტიულებს შორის, იმ ნაშთებთან, რომლებიც ხელს უშლიან ქალთა ჩაბმას საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მუშაობაში.

17. ყრილობა აღნიშნავს პრესის შეურყეველ, რაოდენობით და თვისობრივ სწრაფ ზრდას, პარტიის ორგანოების ხელმძღვანელობის გაძლიერებას პრესაზე.

ყრილობა მიაქცევს ყურადღებას პოლიგრაფიულ მრეწველობის მძიმე მდგომარეობაზე, რომელიც სერიოზულ დაბრკოლებად ხდება პრესის შემდგომი განვითარებისათვის.

წიგნის გამოცემის დარგში, აუცილებელია განახლდეს 1925 წელში დაწყებული სახალხო ლიტერატურის, წიგნების სისტემატიურად გამოცემა და გაძლიერდეს წიგნის ფართოდ გავრცელება სოფლად.

ყრილობა, აღნიშნავს რა პრესის ხელმძღვანელი პარტორგანოების დაახლოებას სამხატვრო ლიტერატურის საკითხებთან, ამასთანავე სცნობს, რომ პარტხელმძღვანელობა იდეოლოგიური ფრონტის ამ ნაწილში ჯერ კიდევ არ არის საკმაო.

18. ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის და წითელი ფლოტის სამხედრო ძლიერების ზრდას, ამასთანავე აღიარებს, რომ გაძლიერდა პარტორგანოების გავლენა, გაძლიერდა არმიის მთელი შემადგენლობის ერთგულება მუშათა კლასის საქმისადმი და მჭიდრო კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან. ყრილობა განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს ამ.-კავკ. სოც.-ფედ. საბჭ. რესპ. ეროვნულ. ერთეულების განმტკიცებას.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინური მთლიანობისათვის ბრძოლაში არმიისა და ფლოტის პარტიულმა ორგანიზაციებმა დაამტკიცეს თავისი დარაზმულობა და სიმტკიცე.

ყრილობა გადაჭრით უარჰყოფს ნეო-მენშევიკურ ოპოზიციონურ ცილისწამებას წითელი არმიისა და წითელი ფლოტის „კულაკური", „ბონაპარტისტული" გადაგვარების შესახებ. ყრილობა, აღნიშნავს რა მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და ფლოტის საერთო ნივთიერი მდგომარეობის განუწყვეტლივ გაუმჯობესებას, მიუთითებს ყურადღებას იმაზე, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი საბინაო კრიზისი ფლოტის შემადგენლობისათვის და საკმაოდ არ არის დაკმაყოფილებული მათი კულტურული მოთხოვნილებანი.

ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ აუცილებელია ტერიტორიალური ერთეულების განმტკიცება, მუშაობის შემდგომი გაძლიერება მოსახლეობის გასამხედროების დარგში, პარტიისა და კომკავშირის რიგების ბრძოლის უნარიანობის გაძლიერება, მასების ჩაბმა თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოების ორგანიზაციაში და თადარიგის უფროსთა შემადგენლობის უფრო ფართოდ ჩაბმა ამ მუშაობაში.

# ჩერვონეცის ხუთი წლის თავი

ხუთი წლის წინად, 1922 წ. 27 ნოემბერს, სახელმწიფო ბანკი შეუდგა თავისი საბანკო-ბილეთების — ჩერვონეცების გამოშვებას. ეს დღე იყო ჩვენი ქვეყნის მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის დასაწყისი თარიღი და ამჟამად ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს შევაჯამოთ ჩვენს ქვეყანაში ახალი მტკიცე ფულის არსებობის ხუთწლიანი პერიოდი.

ყველას კარგად ახსოვს ის პირობები, რომლებშიაც იმყოფებოდა ამ ხუთი წლის წინად ჩვენი მაშინდელი სახალხო მეურნეობა. ხანგრძლივი მსოფლიო და სამოქალაქო ომებისა და 1921 წ. დიდი მოუსავლობის გამო სახალხო მეურნეობა პირდაპირ განადგურებული იყო. მიწდევრები სანახევროდ დაუთესავი რჩებოდა და სათესი მოედანი 48.800.000 დეს. შემცირდა, რაც 1916 წ. სათესი მოედნის მხოლოდ 56,3 პროც. შეადგენდა. საფაბრიკო - საქარხნო მრეწველობის პროდუქცია, რომელიც 1920—21 წ. არა ჩვეულებრივად დაეცა, ამ ხანებში ომის წინადროინდელი პროდუქციის 13—15 პროც. შეადგენდა. ასეთივე ცუდ მდგომარეობაში იყო ტრანსპორტიც.

1922 წელში, სახელმწიფო ბანკის არსებობის პირველ წელში, რომელმაც თავისი მოქმედება 1921 წ. ნოემბერში დაიწყო, უკვე ბევრ დარგებს დაეტყო გაუმჯობესების ნიშანი. სამრეწველო პროდუქტების წარმოება 1921 წელში, შედარებით 1920 წელთან, 11 პროცენტით გაიზარდა და 1922 წელში მრეწველობის ბევრ დარგებს უკვე მნიშვნელოვანი ზრდა ემჩნეოდა. 1922 წ. ივლისისათვის საბამბო წარმოების დარგში 1920 წელთან შედარებით ნართის გამომუშავება 2,2-ჯერ გაიზარდა, ხოლო ქსოვილების — 4,8-ჯერ. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, გაცხოველდა ვაჭრობაც. მაგრამ იმ დროს, როცა სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგები უკვე აღორძინების გზას დაადგნენ,—ერთი დარგი ისევ განაგრძობდა ნგრევას, და გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე წინად. ეს იყო ფულის ტრიალის დარგი. საბჭოთა მანეთმა, რომელიც ძლივს-ძლივობით მიათრევდა საბჭოთა მეურნეობის ურემს მაშინ, როცა ის თითქმის სრულიად ცარიელი იყო, სრულიად უარი სთქვა სამსახურზე, როცა უკვე გამოცხოველდა საქონლის ბრუნვა და ურემზე ცოტაოდენი ტვირთი აღმოჩნდა.

მოვიგონოთ ძირითადი ფაქტები ფულის ტრიალის დარგში 1922 წ. 1922 წ. 1 იანვრისათვის ტრიალში სულ იყო 1.700 მილ. მან. 1922 წლის ფულის ნიშნების სახით, ე. ი. 17 ტრილიონი ძველ მანეთებში. 1 აპრილისათვის უკვე ფულის ნიშნები 8,1 მილიარდს აღწევდა, 1 ივლისს—42,1 მილიარდ მან., 1 ოქტომბერს—85,1 მილიარდს, ხოლო პირველ დეკემბერს—147,9 მილიარდ მან. ამრიგად 11 თვის განმავლობაში ფულის ნიშნების რაოდენობა 87-ჯერ გაიზარდა. თავისი სიდიდით ფულის ეს არა ჩვეულებრივი გამოშვება ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას ფულის ნიშნებზე და 1922 წლის ცალკე პერიოდებში ფული უფრო სწრაფად ჰკარგავდა ღირებულებას, ვიდრე მისი რაოდენობა იზრდებოდა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ 1922 წლის 1 მაისს მთელი ქაღალდების ფულის მასის ღირებულება რეალურ მანეთებში შრომის სტატისტიკის სრულიად რუსეთის ინდექსის მიხედვით შეადგენდა მხოლოდ 81 მილ. მან., ე. ი. იმ ფულის მასაზე 60—65-ჯერ უფრო ნაკლები იყო, რომელიც ომის წინა ხანებში ტრიალებდა. ამ დროს მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა საკონიუნქტურო ინსტიტუტის სრულიად რუსეთის ინდექსის მიხედვით 26,8 კაპ.; ომის წინა ხანებში კი მოსახლეობის ერთ სულზე ჩვენში 10 მან. მეტი მოდიოდა, თუმცა გვიან, ოქტომბერსა და ნოემბერში, ფულის მასის ღირებულება ცოტათი გაიზარდა, მაგრამ მაინც ფულის ნიშნების არაჩვეულებრივი სიმცირე იყო. საბჭოთა მანეთის კურსის მეტად სწრაფი მერყეობა და მისი სყიდვითი უნარის კატასტროფიული დაცემა, სრულიად შეუძლებლად ხდიდა სწორ კალკულაციას წარმოებასა და საქონლის ბრუნვაში და მთელ მეურნეობას არაჩვეულებრივად მერყევ ხასიათს აძლევდა. შრომის ნაყოფიერება და მასთან ერთად სამუშაო ხელფასიც მეტად მცირე იყო, ხოლო მშრომელთა მიერ სამუშაო ხელფასის სახით მიღებულ ფულის ნიშნების ღირებულების კატასტროფიული დაცემის გამო მათი რეალური შემოსავალი არ იყო ბევრი. ამ პირობებში სავსებით ნათელი იყო, რომ აუცილებელია ფულის სისტემის საფუძვლიანი რეფორმა და რომ ვერავითარი პალიატივები და საბჭოთა მანეთის „დაპაჩინკება“ საქმეს ვერ უშველის. სახელმწიფო ბანკმა, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ამოცანა „გაეტარებია ის ზომები, რომლებიც ფულის სწორი ტრიალის დამყარებისაკენ იქნებოდა მიმართული“ დაიწყო მზადება ფულის ახალი ნიშნების გამოსაშვებად.

მაგრამ ბევრი აღმოჩნდა სკეპტიკოსები და რეფორმის მოწინააღმდეგენი. ამბობდნენ, რომ ახალი ფულის ნიშანი გაიზიარებს საბჭოთა ნიშნის ბედს და ისიც კატასტროფულად დაჰკარგავს ღირებულებას, როგორც საბჭოთა ფულის ნიშანიო. ამბობდნენ, რომ ახალი ფულის ნიშნის გამოშვება საზიანო იქნება, ვინაიდან ის დააჩქარებს საბჭ. ფულის ნიშნის ღირებულების დაცემის პროცესს და წაართმევს სახელმწიფოს იმ შემოსავალს რომელსაც ის ღებულობდა საბჭოთა ფულის ნიშნების ემისიით. მათ არ სურდათ იმის გაგება, რომ მტკიცე ვალიუტის შემოღება მაშინვე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს, ვინაიდან ის შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს მიიღოს შემოსავალი ნორმალური გზით, გადასახადების სახით. საეჭვოთ მიაჩნდათ აგრეთვე მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის მიზანშეწონილობა და საერთოდ არსებობდა აზრი, რომ საბჭოთა მეურნეობას თითქოს რაღაც უპირატესობას აძლევს არა მტკიცე ვალიუტა. მიუხედავად სკეპტიკოსებისა და მოწინააღმდეგეთა ასეთი შეხედულებებისა, სახელმწიფო ბანკმა, მთავრობის განკარგულებით, განახორციელა ფულის ტრიალის რეორგანიზაცია და 1922 წლის მიწურულში გამოუშვა თავისი საბანკო ბილეთი.

შეხედულებათა ბრძოლა ჩერვონეცის საკითხის გარშემო ამით არ ამოწურულა. 1923 წლის მეორე ნახევარში არა ერთხელ გაისმოდა ჩერვონეცის იმ მოწინააღმდეგეთა ხმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ეს რეფორმა შეცდომა იყოო. 1923 წლის დასასრულს იყვნენ საბჭოთა ფულის ნიშნების ისეთი თაყვანისმცემლები, რომლებიც ცრემლს ღვრიდნენ იმის გამო, რომ ჩერვონეცი ტრიალიდან „განდევნის“ საბჭოთა ნიშნებსო. ამ იდეურ ბრძოლასთან ერთად საჭირო იყო იმ სიძნელეების დაძლევა, რომლებიც დაკავშირებული იყო ჩერვონეცის პარალელურად საბჭოთა ნიშნების ტრიალის განხორციელებასთან. ეს პარალელური ტრიალი დამთავრდა 1924 წ. დასაწყისში, როცა საბჭოთა ნიშნები საბოლოოდ გაუქმდა და ისინი ხაზინის ბილეთებმა და ლითონის ფულმა შესცვალა. ჩვენს სამეურნეო დარგში შემდგომი სამი წლის განმავლობაში მომხდარი ამბები ამ მეურნეობისა, მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების სწრაფი ტემპი, ბიუჯეტის გაჯანსაღების დარგში მიღწეული შედეგები და ჩერვონეცის სყიდვითი ძალის სტაბილიზაცია იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ამჟამად იშვიათად თუ ვინმე მოიძებნება ისეთი, რომელიც სერიოზულად უსაყვედურებს მტკიცე ვალიუტის მომხრეებს, რომლებიც დაცემულ საბჭოთა ფულის ნიშნების მტკიცე ჩერვონეცით შეცვლას მოითხოვდნენ. ჩერვონეცმა გაიმარჯვა. ცხოვრებამ სრული სიცხადით დაადასტურა იმ იდეოლოგების გაკოტრება, რომლებიც აშკარად თუ მალულად დაცემული ვალიუტის იდეას იცავდა. ცხოვრებამ საფუძვლიანად დასცინა იმ სკეპტიკოსებს, რომელთა რიცხვს, უნდა ითქვას, ბევრი ცნობილი ფინანსისტი ეკუთვნოდა, და რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში უწინასწარმეტყველებდნენ ჩერვონეცს აუცილებელ დაღუპვას. მიუხედავად სახალხო მეურნეობის არაჩვეულებრივად მძიმე მდგომარეობისა 1921—22 წელში, მიუხედავად საბჭოთა კავშირის მოწყვეტისა უცხოეთის საქონლის ბაზრებიდან და ფულის მსოფლიო ბაზრის მტრული განწყობილებისა საბჭოთა კავშირისადმი, ჩვენ უკანასკნელი წლების მანძილზე განვამტკიცეთ ფულის ნორმალური ტრიალი და ფულის ერთეული, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი წარმატება სამეურნეო მშენებლობის დარგში.

მტკიცე ვალიუტის გულწრფელ მომხრეთათვის, რომლებიც მუდამ ყურადღებით და მოუდუმლად ადევნებდნენ თვალს ფულის ტრიალის მოვლენებს, ჩერვონეცის გამარჯვება არ წარმოადგენს არავითარ მოულოდნელობასა და საიდუმლოებას. ეს გამარჯვება, უმთავრესად, ემყარება იმას, რომ რეფორმა ჩატარებულ იქნა თავის დროზე და მას საფუძვლად დაედო ფულის ტრიალის სწორი პრინციპები, რომლებიც, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ხანია ცნობილია მეცნიერების მიერ.

ასეთია შედეგები. როგორია ჩვენი მახლობელი ამოცანები? ფულის ტრიალისა და კრედიტის დარგში ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ მრავალი ამოცანაა. ჩვენ ამჟამად გვაქვს მტკიცე ფულის ნიშანი, თავიდან ავიცილეთ დაცემული ვალიუტის შედეგები, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ეხლა გულზე ხელის დაკრეფა და ჩვენი მეურნეობის ამ დარგის უყურადღებოდ დატოვება. ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ თუ მტკიცე ვალიუტის შექმნა შედეგი იყო სწორი ღონისძიებებისა და სწორი პოლიტიკისა ჩარხუნში,—მეორე მხრით ყველა შემცდარი გადახრანი სამეურნეო პოლიტიკაში მომავალში ყოველთვის შეარყევენ ფულის ერთეულის სიმტკიცეს. ამიტომ მტკიცე ვალიუტის დაცვა წარმოადგენს უპირველეს ამოცანას ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის დარგში. ეს პრინციპი უნდა ვიქონიოთ მხედველობაში იმ უდიდესი ამოცანის გადაჭრის დროს, რომელიც სდგას ამჟამად საბჭოთა კავშირის წინაშე — ინდუსტრიალიზაციის ამოცანის გადაჭრის დროს. მეურნეობის ინდუსტრიალიზაციამ ჩვენი ეკონომიკის სხვადასხვა მხარეების განმტკიცებასთან ერთად, კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს ფულის ტრიალის სფეროც. მტკიცე ვალიუტის მომხრეები არ შეიძლება არ იყვნენ ამიტომ ინდუსტრიალიზაციის მომხრენიც. მაგრამ ამასთანავე ერთად ინდუსტრიალიზაციის ღონისძიებათა გატარების დროს მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მტკიცე ფული არის ინდუსტრიალიზაციის წინასწარი პირობა. ის სამეურნეო მშენებლობა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ ყოველთვის იმ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, თუ როგორ გავლენას მოახდენს ის ქვეყნის ფულის ტრიალზე და იტანს თუ არა მას ჩვენი ფულის სისტემა. მხოლოდ ამ პრინციპის საფუძველზე შეიძლებათ ჩვენ თამამად წინსვლა ჩვენი სამეურნეო მშენებლობის განვითარების გზაზე.

პროფ. კაცენლენბაუმი.

# დღეს იხსნება ლიბანის სანატორიუმი

პაწაწა ორთქლმავალი მასაით პაწაწა ვაგონებით განსაცვიფრებელის სისწრაფით ძიგვაკანებს გველივით დაკლაკნილ ბორჯომ- -ბაკურიანის შტოზე.

ქშენა - ქაქანით შესდგა მატარებელი ლიბანის სადგურზე. ირგვლივ მოსჩანს ნაძვის და ფიჭვის დაუსრულებელი ტყეები.

მივყვებით სადგურის უკან, დასავლეთით მიმავალ ახლად გაჭრილ გზას, რომელიც იკარგება ტყის სიღრმეში. იგი მოქვიშულია და იტკეპნება სპეციალური მანქანით. ერთ მხარეზე განმწკრივებულან ახალი ბოძები მაშუქებით.

ნახევარ ვერსზე ცოტა მეტი გავიარეთ, ჰაერი შეზავებულია ნაძვისა და ფიჭვის სამო სუნით. არსაით არაფერი მოსჩანს. ერთბაშად გადავდივართ ვრცელ პლატოზე, ჩვენ თვალწინ აღიმართა ვეებერთელა თეთრი სასახლე.

— ეს გახლავთ ლიბანის სანატორიუმი, რომლის შენება 1924 წელში დავიწყეთ, — გვეუბნება სამუშაოების უფროსი ინჟ. გ. გვერდწითელი. ამ წლამდე ეს პლატო უდაბურ ტყეს წარმოადგენდა, იგი არჩეულია ამ სანატორიუმისათვის ადგილის მძებნელმა კომისიამ. ამის შემდეგ დაიწყო აქ სიცოცხლის მაჯის ცემა.

არ შემცდარა თავის არჩევანში. ლიბანის სანატორიუმი ყოველმხრივ შემკულია და აკმაყოფილებს ჯანმრთელობის ყველა მოთხოვნილებებს იგი ზღვის პირიდან 1.368 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

მუქ სიმწვანეში სანატორიუმის კოხტად მოკაზმული თეთრი შენობა პატარძალივით გამოიყურება. იგი აშენებულია არხიტექტორ კალაშნიკოვის პროექტის მიხედვით.

სამი სართული მედიდურად სდგას მიწის ზეკით. თვალი ვერ შორდება მის ლამაზ ფასადს, რომელიც აგებულია მშვენიერი კოლონიებით და ფანჩატურებით.

შენობა მზად არის, მუშაობა მხოლოდ შიგნით, გალამაზებაზე სწარმოებს. შენობის წინ ეზოში ამუშავებენ მიწას ყვავილოვან ბაღის მოსაწყობად, რომელსაც შეამკობს ძლიერი შადრევანი. უკანასკნელისთვის აუზი უკვე ამოყვანილია. სანატორიუმის ეზოს დანარჩენი არე დაფარულია ასფალტით.

ლიბანის სანატორიუმის შენობა

შევდივართ შენობაში; პირველ ყოვლისა გრძნობ უხვ სივრცეს და სინათლეს. ადამიანი არ იხუთება კედლებით. შენობის გარე და შიდა სილამაზის ჰარმონია ისეა დაცული, რომ გარედან შეხედვის დროს მიღებული შთაბეჭდილება შენობის შიგნით არ იცვლება, პირიქით მას უფრო აღრმავებს შიდა ოთახების მრავალფეროვანება, მხატვრულად შესრულებული ჩუქურთმები; კოლონები ვესტიბიულში და სასადილოს ვრცელ დარბაზში.

შენობა რომელიც გაჭიმულია შვილდისებურად რამოდენიმე ათეულ საჟენზე; მიმართულია სამხრეთისაკენ. ისე რომ, როგორც ამომავალი, ისე ჩამავალი მზე მას მუდამ გარს უვლის. ამით აიხსნება სინათლის ის სიუხვე; რომელიც არის სანატორიუმის ყოველ კუთხეში, ყოველ კუნჭულში.

ავადმყოფების ოთახები მეორე სართულშია მოთავსებული. მათი რიცხვი ოთხმოცს უდრის. ერთეული ოთახი; რომელიც საკმაოდ ვრცელია; ორ-ორი კაცისათვისაა დანიშნული: თითოეულ ოთახში გაყვანილია წყალი პირსაბანით. ყოველ ოთახს სამხრეთისაკენ აქვს აივანი. ჩრდილოეთის მხარეს ოთახების წინ გაჭიმულია ვრცელი და წითელი დერეფანი; რომელიც ადგილ-ადგილ უფრო მოხვეულებით ფართოვდება. აქ სდგას მაგიდები სკამებით; სადაც ავადმყოფებს შეუძლიათ დროს გატარება კითხვით და თამაშით.

ავადმყოფების ოთახებს შორის, შენობის ცენტრში, მოთავსებულია მშვენიერი საკონცერტო დარბაზი.

მეორე სართულშივეა მოთავსებული ოთახები რენტგენის; ლაბორატორიუმისა და ექიმების კაბინეტებისათვის. სანატორიუმის დირექტორის ექ. ნ. გეგეჭკორის სიტყვით; რენტგენის აპარატები გამოწერილია საზღვარგარეთიდან და მიღებული იქნება ამ მოკლე ხანში

სამხრეთით მეორე სართულს აქვს სამი საკმაოდ ვრცელი აივნები; რომელნიც დაყრდნობილი არიან სუფთად და ლამაზად აგებულ თეთრ კოლონებზე.

ავდივართ მესამე სართულში. იგივე მთლიანი აივანი. ჩრდილოეთით იგი დაფარულია ფანჩატურით. მისი ერთი ნახევარი გადახურულია; ხოლო მეორე ნახევარი, რომელიც სამხრეთისაკენ არის მიმართული, ღიაა. აქ არის მოწყობილი სოლარიუმი მზის ვანებისათვის. წინ იშლება იშვიათი სანახაობა: დაუსრულებელი წიწვიანი ტყეები და ეხლა უკვე თოვლით დაფარული ცხრა-წყაროს ალპიური ქთები. არც ერთი მხრიდან ოდნავი სიოც კი არა ქრის. მიუხედავად იმისა, რომ ნოემბერია; შემოდგომის მზე საკმაოდ მცხუნვარებს სოლარიუმზე.

შენობის პირველი სართული დამხმარე დაწესებულებებს უკავიათ. აქ არის მოთავსებული: კანტორა; აბანოები; სამზარეულო; ფურნე; საკუჭნაოები; საყინულე და სხვა.

ამის ქვევით კიდევ არის ერთი სართული, მაგრამ იგი ნახევრად სარდაფს წარმოადგენს.

მთელ შენობაში გაყვანილია წყალსადენი; ელექტრონი და მოწყობილია ცენტრალური გათბობა.

წყალი გამოყვანილია 8—9 ვერსის მანძილზე ცხრა - წყაროს წყაროებიდან.

გარდა სანატორიუმის მთავარ კორპუსისა, სანატორიუმის უკანა ეზოში აგებულია ორი ქვის (ერთი მათგანი ორსართულიანია) და ორი ხის შენობა მოსამსახურე პერსონალის დასაბინავებლად. ეზოშივე აგებულია ორი შენობა, რომელთაგან ერთში მოთავსებულია 62 ძალიანი ელსადგური 3 დიზელით და ცენტრალური გათბობის სადგური ხოლო მეორეში — სამრეცხველო

ყველა შენობები დამთავრებულია; ზოგიერთებში სწარმოებს წვრილმანი მიმდინარე სამუშაოები.

სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელ ინჟ. მუმანოვის გადმოცემით, წინად აქ 200-300-მდე კაცი მუშაობდა. ეხლა 30-მდე კაცი თუ იქნება; ისინი ეხლა უმთავრესად ეზოს გამშვენიერებაზე მუშაობენ.

თითქმის ყველაფერი დავათვალიერეთ. საღამოს ჟამმაც მოაღწია. ამ დღეს დანიშნული იყო ელსადგურის გამოცდა.

ერთბაშად ახმაურდა სადგური. აგრიალდენ დიზელები და ერთ წამში იქაურობა გაჩაღდა სინათლით. საზღაპრო სურათს წარმოადგენდენ ღამის წყვდიადში ელექტრონით გაჩირაღდნებული დაბურული ტყე და შენობები. განსაკუთრებით ლამაზი იყო სადგურისაკენ მდებარე ტყე, რომელიც გადასერა ცეცხლოვან ზოლით ბოძზე გაყოლებულმა ელექტრონის სხივებმა.

ეს იყო ორი კვირის წინათ. დღეს უკვე იხსნება ლიბანის სანატორიუმი.

იგი ოქტომბრის მიერ არის შექმნილი და მიძღვნილია რკინის გზის პროლეტარიატისათვის. შრომისაგან მოქანცული პროლეტარები, ჰპოვებენ აქ დასვენებას და გაჯანსაღებას.

ექ. ნ. გეგეჭკორს, რომელიც გაგზავნილი იყო ევროპაში ა.-კ. საგზაო დამზღვევ სალაროს მიერ სანატორიუმების საკითხის შესასწავლად, ამბობს: „მე შევიარე საფრანგეთი და გერმანია, გავეცანი სანატორიულ მშენებლობას შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში, მაგრამ ასეთ გრანდიოზული სანატორიუმი თავისი ფორმით და მოწყობილობით არსად შემხვედრია. იგი აგებულია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით და მედიცინის ყოველ მოთხოვნილებების გათვალისწინებით“.

დღეს იხსნება ლიბანის სანატორიუმი. საბჭოთა საქართველოს მშრომელნი იდღესასწაულებენ კიდევ ერთ მორიგ გამარჯვებას.

ან—ტონი.

# უცხოელი მწერლები და მეცნიერები თბილისში

გუშინ უცხოელი მწერლების და მეცნიერების დელეგაცია მთელი შემადგენლობით გაემგზავრა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის დასათვალიერებლად.

სტუმრებმა დაათვალიერეს სადგურის მთავარი ნაგებობანი, რის შემდეგაც გაემგზავრენ მცხეთაში სიძველეთა ძეგლების გასაცნობად.

თბილისში დაბრუნებისას დელეგატების საპატივცემლოდ გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ განათლების კომისარიატის და მწერალთა კავშირის წარმომადგენლები.

საღამოს დელეგაცია მთელი შემადგენლობით გაემგზავრა ბათომში, საიდანაც შემდეგ გაემგზავრება ნოვოროსიისკში, ხარკოვში და მოსკოვში.

### საუბარი დელეგატებთან

გამგზავრების წინ ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა დელეგატებთან საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ. ყველა ისინი ერთხმად აღნიშნავდენ, რომ საქართველოში ჩამოსვლით მეტად კმაყოფილი არიან.

— ჩვენ თქვენი მეგობრები ვიყავით ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე.—აცხადებენ ისინი, ჩვენ ვიცოდით სიმართლე თქვენს შესახებ, მაგრამ გვინდოდა საკუთარი თვალით გვენახა თქვენი ლამაზი ქვეყანა და გავცნობოდით თქვენს მიღწევებს.

ჩვენ აქ ვნახეთ უდიდესი [illegible]ლობა, რომელსაც არ შეუძლია სიხარულით არ აუვსოს გული ყველა მშრომელთა და პატიოსან მოქალაქეებს. ჩვენ დავრწმუნდით, რომ თქვენ ქმნით ახალ ცხოვრებას, აშენებთ შრომის დიად სამეფოს —სოციალიზმს. აქედან გამომდინარეობს ჩვენი მოვალეობა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რომ კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ხელი არ შეგიშალონ ამ დიდ აღმშენებლობაში.

# შემთხვევები

### კაცი ავტომობილის ქვეშ

გუშინ, საღამოს 5 საათზე, ავტომობილი № 832, კომუნალურ ქუჩაზე დაეჯახა მოქ. ახმედ კული-კასუმოვს.

კასუმოვი მოჰყვა ავტომობილს ქვეშ და მძიმედ დაშავდა. მას დაზიანებული აქვს თავი და [illegible] ფეხები.

კასუმოვმა მორთო ყვირილი და შველას ითხოვდა. შოფერმა იხელთა დრო, გადახტა ავტომობილიდან და გაიქცა.

საგუშაგოზე მდგომმა მეუზოვემ მომხდარი უბედურების შესახებ აცნობა მე-5-ე სამილიციო რაიონს. კომისარიატის თანამშრომლები დასდევდენ შოფერს, მაგრამ უკანასკნელმა შესძლო მიმალვა.

მიღებულია ზომები შოფერის დასპატიმრებლად.

### რეციდივისტის დაპატიმრება

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის აგენტებმა დააპატიმრეს ქურდი-რეციდივისტი ბორის კოვაჩოვი.

გამოირკვა, რომ კოვაჩოვმა 24 ნოემბერს გატეხა სამხედრო კოოპერატივის „მეომარი“-ს მე-7-ე მაღაზია, საიდანაც წაიღო 1000 მანეთი ფულად.

კოვაჩოვს აღმოაჩნდა მოპარული ფულის ნაწილი. იგი გამოტყდა დანაშაულში

◆ ქურდობა. 25 ნოემბერს გაქურდეს ნიკო ფორე მდინარაძის ბინა (ლენინის ქ., 24).

◆ გუშინ გაქურდეს ალექსანდრა სულავას ბინა (ადლერის ქ., № 8); წაიღეს 50 მანეთის ნივთები.

◆ ქურდის შეპყრობა. მილიციამ დააპატიმრა ქურდი პეტრე ივანესძე ლაპატინი.

◆ „ზაკავთუზ“-ში ტატიანა ვოზლიკოვას მოჰპარეს 22 მანეთი.

◆ 700 მან. ნივთების მოპარვა. მ. კიკვაძის ბინიდან (რიყის ქ., № 10), მოიპარეს 700 მანეთის ნივთები.

◆ ცენტრალურ ბაზარში ვ. გოციძეს ჯიბიდან ამოაცალეს 30 მანეთი.

◆ კოოპერატიულ მაღაზიის „მეომარი“-ს სალაროდან ფულის მოპარვისათვის დააპატიმრეს იაკობ აზარიანცი.

◆ დაპატიმრებულია ვაგან ავეტისიძე სარქისოვი, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

◆ სისტემატიური ქურდობისათვის დაპატიმრებულია ვლადიმერ გრიგოლისძე მელქუმიანცი.

◆ 13 წლის ბავშვი 27 რეგისტრაციით. გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ვალოდია დრაგონოვი (13 წლისა), რომელსაც აქვს ქურდობის და ჯიბგირობის 27 რეგისტრაცია.

# ქრონიკა

### ზარი პოლიტის ავათმყოფობა

ინგლისის მეუმცირესეთა მოძრაობის ბელადი გარი პოლიტი, რომელიც ავათ გახდა თბილისში და მოთავსებული იქნა უნივერსიტეტის კლინიკაში, ამჟამად კარგათ არის და საავადმყოფოდან გამოეწერება ორშაბათს.

### საამშენებლო მასალის გაიაფება

ამიერ - კავკასიის საგეგმო კომისიამ სავაჭრო და საამშენებლო - სატრანსპორტო სექციებს დაავალა გამოიმუშაონ ზომები საამშენებლო მასალების გასაიაფებლად.

### ავჭალის შუშეულობის ქარხანა

ავჭალის შუშეულობის ქარხნის შეკეთება წარმატებით მიმდინარეობს. ამჟამად აკეთებენ ღუმელებს და შუშის სადნობ ქვაბებს.

ამ რამოდენიმე კვირის წინად იგი ასამუშავებლათ გადაეცა საწარმოო ნადს. აღნიშნული ნადი, რომელსაც ეწოდება „სილიკატი“ უკვე შეუდგა მუშაობას და 10 დეკემბრიდან ქარხანა ამუშავდება

თანახმად ს. მ. უ. ს. დავალებისა, პირველ ხანებში ქარხანა შეუდგება სადვინე ბოთლების დამზადებას.

### საპონ - ზეთის ქარხანა

ამიერ - კავკასიის მეხამბეობის კომიტეტს ა.-კ საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა თბილისის საპონ-ზეთის ქარხანას მიაწოდოს 200.000 ფუთი ბამბის კაკალი.

### ბორჯომის მინერალური წყლების გამოკვლევა

ბორჯომის მინერალურ წყლების გამოსაკვლევად საკურორტო სამმართველომ მოიწვია ცნობილი სპეციალისტი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფ. ბიკელი.

ჰავის გამოკვლევა დაევალა კლიმატოლოგ კალი ტინს. ორივე პროფესორებმა დაამთავრეს ბორჯომის მინერალური წყლების და ჰავის გამოკვლევა და ამჟამად ამუშავებენ დაგროვილ მასალებს.

### ახალი ხელშეკრულებები

„სოფლის კავშირი“ ამჟამად აწარმოებს მოლაპარაკებას: ა.-კ. სახ. ვაჭრობასთან 5.000 ფ. შვეიცარული ყველის რეალიზაციის შესახებ (ყველი უკვე დამზადებულია). „საპონ-ზეთთან“—4.000 ფუთ აბუსალათინის თესლის ჩაბარების შესახებ.

### ვენეროლოგების ყრილობა

იანვრის პირველ რიცხვებში ბათომში მოწვეულია სრულიად საქართველოს ვენეროლოგთა ყრილობა. ყრილობას დაესწრებიან ვენერიულ დისპანსერთა და ვენ. ამბულატორიების წარმომადგენლები.

ყრილობის დღის წესრიგში დასმულ საკითხთა შორის აღსანიშნავია პროფ. ბრუკსდორფის მოხსენება ვენერიულ სენებთან ბრძოლის საშუალებების და მოხსენება—საქართველოში ვენერიულ სნებების გავრცელებისა და მასთან ბრძოლის შესახებ.

### წყალსადენი სოხუმი

სოხუმში დაიწყო მუშაობა ახალი წყალსადენის გასაყვანად. მუშაობას ხელმძღვანელობს ინჟ. შვედოვი.

### სოც. ჰიგიენის ინსტიტუტი

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა დაამთავრა სოციალურ ჰიგიენის ინსტიტუტის გაფართოება - შეკეთება. ინსტიტუტთან გახსნილია საჩვენებელი მუზეუმი, სოც. ჰიგიენის კაბინეტები, აუდიტორია, წიგნთსაცავი და ლაბორატორია.

### თბილისის აღმასკომში

◆ აღმშენებელთა კავშირს თბილისის აღმასკომმა გადასცა პლეხანოვის პრ. № 65 მდებარე ბაღი.

◆ ამხ. ლ. სუხიშვილის მოსკოვში მივლინების გამო, მისი მოვალეობის ასრულება დაეკისრა ამხ. მესხს.

◆ სატრანსპორტო სტატისტიკის საქმისათვის გადადებულია 1.200 მანეთი.

◆ ზ. ჭიჭინაძის სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლას დახმარების სახით გადაეცა 600 მანეთი.

◆ საბჭოთა მუშაკების კავშირის შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიაში აღმასკომმა თავის წარმომადგენლებად დანიშნა ამხ. მესხი და [illegible]ილავა.

### ჯანსახკომში

◆ სამალარიო სადგურები. ჯანსახკომმა გორში და სანდარაში (ბორჩალოს მაზრა) გახსნა სამალარიო სადგურები.

◆ პროფსნეულების ინსტიტუტისათვის ჯანსახკომი აგებს ახალ სპეციალურ სახლს.

◆ ვენერიული სენები. ჯანსახკომი შეუდგა ვენერიულ სენებით დაავადებულთა აღრიცხვას მთელ რესპუბლიკაში.

◆ ახალი დისპანსერი. ბათომში გაიხსნა ვენერიული დისპანსერი.

◆ წყალტუბოში ჯანსახკომი აგებს 50 ოთახიან საექიმო სახლს.

◆ საქ. კურორტებიდან საზაფხულო სეზონის განმავლობაში შემოვიდა 700.000 მანეთი.

### კრებები და მოხსენებები

◆ ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგი საჯარო სხდომა შესდგება 29 ნოემბერს, სამშაბათს, საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში; წესრიგი: 1) ვარ. თოფურიას მოხსენება „აორისტისა და კონიუნქტივ მეორის დაბოლოებანი სვანურში, ქართულთან შედარებით. 2) არნ. ჩიქობავას „სანგარიშო მოხსენება სარფში საენათმეცნიერო მივლინების შესახებ“.

### ხელოვნების ქრონიკა

◆ გლეხთა ცენტრალურ სახლთან მოეწყო 15 სპეციალური საწოლი პროვინციებიდან ჩამოსულ ავადმყოფ გლეხებისათვის.

— რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია“.

— მუშათა თეატრში დღეს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „თანასწორთა შეთქმულება“.

— პროლეტარული სათეატრო სახელოსნო [illegible] კლუბში ამ დღეებში გამართავს სანიმუშო წარმოდგენას.

— ეგონ პეტრის უკანასკნელი კონცერტი გაიმართება 20 ნოემბერს კონსერვატორიის დარბაზში.

— ცირკში დღეს დილით გაიმართება წარმოდგენა მოზარდთათვის.

— „დემონი“. დღეს ოპერის თეატრში მიდის ოპერა „დემონი“ სან. დოლიძის მონაწილეობით.

# კინო

## „პოეტი და მეფე“

რეჟ. გარდინი. ოპერ. ბელიაევი

სურათის შინაარსი სათაურს ვერ ამართლებს და მართალი იყო ერთი კრიტიკოსი, როდესაც სთქვა: ამ სურათს უნდა ერქვას „მეფე და ზადრეკები“.

პრესაში აღძრულ კამათის დროს ნათლად გამოირკვა, რომ ისტორიული და ქრონოლოგიური დოკუმენტალობა არამც თუ არ არის დაცული,—მოგონილი ამბებიც—კი უხამსად არის დაკავშირებული ფაქტებთან.

ცნობილი პუშკინისტები: ვ. ვერესაევი, ლ. გროსმანი, ნ. აშუკინი, ვ. შკლოვსკი და სხვები ზედმიწევნით აღნიშნავენ ამ სურათში დაშვებულ ისტორიულ და ქრონოლოგიური ხასიათის დეფექტებს. მე მგონია, უფრო საინტერესო იქნება მოვიყვანოთ ამ სპეცების აზრი, უმთავრეს შეცდომების შესახებ: „პასკვილი პუშკინმა მიიღო ლიტვის დღეობის შემდეგ“; „ოდოევსკი არ ყოფილა პუშკინის მეგობარი ლიცეიდან“. „გეკერენს არ მიუღიათ მონაწილეობა პასკვილის გაგზავნაში“; „პუშკინი არ ყოფილა ისეთი [illegible] და აშკარა [illegible], როგორც ეკრანზეა ნაჩვენები“; „პოეზია პუშკინისათვის უკანასკნელ წლებში, ზეშთაგონება კი არა, პროფესიონალური მუშაობა იყო“; „პოეტისა და მეფის შეტაკება იყო სპეციალური ტრაგედია, ეკრანზე-კი დიდი ადგილი აქვს დათმობილი სიყვარულის ინტრიგებს“; „შერჩევით არ არის აღებული ყოფის ტიპაჟი“. ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ სრული [illegible] დოლგორუკოვისადმი, რომელიც ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ფიზიკური აღმსრულებელი იყო პასკვილის.

სცენარის სისუსტე იქამდისაც კი მიდის, რომ პუშკინის ხაზგასმული რევოლიუციონერობა გაუგებრობას ჰქმნის მაყურებელში, რადგან იგი (რევოლიუციონერობა) ძალიან არის დაკავშირებული [illegible] ტრაგედიასთან.

სრულიად გაუმართლებელია სიმბოლიური ნიშნები უბედურების და ყოველგვარი ემბლემა წინადმგრძნობელობისათვის.

სურათში ბევრი რამ არის მეშჩანინის გემოვნების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მიუხედავად ამისა და ყოველგვარ ისტორიულ შეცდომებისა, —მაინც მოქმედობს მაყურებელზე. მდიდრულად მოწყობილი შადრევანები და ხეივნები, უმაღლესი არისტოკრატიის განცხრომა და სასახლის გაიძვერა მოხელეები, წარმოდგენას იძლევიან ნიკოლოზ პირველის თვითმპყრობელობაზე. აქტიორების დაკვირვებული და შეგნებული თამაში საყვედურის გარეშე სდგას. ჩერვიაკოვი (პუშკინი) ზოგ ადგილას იძლევა იმ [illegible] რომელიც თვითეულ ჩვენგანს აქვს შემუშავებული პუშკინის შესახებ. შემოქმედების წუთები-კი ვულგალურ პოზებშია მოცემული. კოლოდკო (პუშკინის მეუღლე) ნაწილობრივად უთუოდ ჰქმნის ნაზი და ლამაზი ქალის სახეს. აგრეთვე დანტესის (ბ. ტამარინი), ნიკოლოზ 1-ის (კარეჩინი) და მოხუცი გეკერენის თამაში კარგია ისე, როგორც სურათის გარეგნული მხარე, მაგრამ სურათს აკლია მთავარი. სიცოცხლე არ სჩანს და ამიტომ ყოველ კადრში თეატრალობა იმარჯვებს.

ბ. გ—ხი.

# სასამართლო

### რატომ ზის შოფერი ავტომობილზე?

პატივცემულ [illegible] ამ კითხვაზე პასუხის გაცემა [illegible] გაუძნელდებათ. მაგრამ ბევრი შოფერი ამას პასუხს ვერ გასცემს. სწორედ ასეთ შოფერთა რიცხვს ეკუთვნის მოქ. ივანე ანტონისძე ბრაკოვსკი.

ავტომობილის საჭეს ბრმაც გადაატრიალებს. ავტომობილის წაყვანა ერთი წუთის საქმეა. შეგვიძლიათ გადაატრიალოთ საჭე და გაუშვათ ცარიელი ავტომობილი. ირბენს სანამ რამეს არ შეასკდება.

შოფერს მარტო ავტომობილის წაყვანა როდი ევალება. შოფერმა უნდა იცოდეს, სად როგორ მოუხვიოს, სად მოიტეხს კისერს და სად კი მოსტეხს კისერს.

შოფერს ევალება აგრეთვე იმის ცოდნაც, რომ ადამიანი ნიახური არ არის, რომ ხელმეორედ ამოვიდეს.

თბილისის ქუჩებში სისწრაფის რეკორდის კი არ უნდა გამოეკიდოს, არამედ ცოტა „შეაჩეროს ტროიკა“, როცა ხედავს, რომ მოსალოდნელია დაჯახება, მოსალოდნელია კაცის [illegible], და მოსალოდნელია მისი კისრის მოტეხაც.

მართლაც ძაღლზე ხელაღებული უნდა იყოს კაცი, ან ხალხი ბუზადაც არ მიაჩნდეს, რომ ისეთი რამე ჩაიდინოს, რაც შოფერმა ბრაკოვსკიმ ჩაიდინა.

შუა დღეა. რუსთაველის პროსპექტი დატვირთულია ხალხით, ეტლით, ტრამვაით, ავტომობილით. არის განუწყვეტელი მიმოსვლა. და სწორედ ამ დროს ბრაკოვსკი კისრის ტეხით მიაქანებს ავტომობილს. ხედავს, რომ მის წინ მოტოციკლეტებიც მიდის.

ივანე ბრაკოვსკი ვერ ითმენს, როცა მის წინ სხვა წავა. უსათუოდ გზა უნდა გადაუჭრას და უკან მოიტოვოს.

დაედევნა მოტოციკლეტს ივანე და ის არის გზა უნდა გადაუჭრას. მოტოციკლეტმა დაიჭირა მარცხენა მხარე. ივანე მისდევს, ისიც იმავე მხარეს იჭერს. მანძილი მათ შორის ისე მცირეა, რომ ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს. მოუსვა ივანემ საჭეს. მოტოციკლეტი პირდაპირ იდევნება ბოძებისაკენ.

ერთი წუთიც და მოტოციკლეტი დაეჯახა თუჯის ბოძს. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ, წარმოიდგინეთ, თუჯის ბოძს ნახევარი მხარე ჩამოამტვრია. მოტოციკლეტი, რასაკვირველია, დაიმტვრა და რა მოუვიდოდათ შიგ მყოფ ხალხს, მიხვდებით. დაშავდა ოთხი სული.

უვნებლად გადარჩა მხოლოდ ბრაკოვსკი.

ბრაკოვსკი დაპატიმრებულია. ამ დღეებში ის წარსდგება სასამართლოს წინაშე, რომელიც ასწავლის მას, თუ რატომ ზის შოფერი ავტომობილზე.

გეო.

### „ნახეს ერთი მოყმე ვინმე“...

შუაღამეზე გადასულია. პლეხანოვის პროსპექტი იძინებს. დრო გამოშვებით თუ სიჩუმეს არღვევს თითო-ოროლა მგზავრი ან კიდევ დაგვიანებულ მაყარივით ჩამორჩენილი ტრამვაის ვაგონი.

მილიციელი სდგას საგუშაგოზე ალვის ხესავით. მის მახლობლად მუშკოვის მაღაზიაა. მაღაზიიდან მოისმის ხმა, მეტად საეჭვო და დამაფიქრებელი.

თითქოს ვინმე რაღაცას ხერხავს. მაგრამ რა დროს ხერხვაა? რა უნდა იყოს დასახერხი მუშკოვში;—ფიქრობს მილიციელი და უტრიალებს მაღაზიას გარედან.

მოდის მგზავრი.

— კაცო, ერთი დააყურე, იქნება მე ყური მატყუებს, გესმის თუ არა რამე ხმაურობა?—გააჩერებს მგზავრს მილიციელი.

მგზავრსაც ასეთივე ხერხვის მსგავსი ხმაურობა ესმის.

უტრიალებენ მაღაზიას. ყველაფერი რიგზეა. კაცი არსად სჩანს. ხმაურობაც მიწყდა.

გადის დრო. ისევ ხერხის ხმა ისმის.

დიდხანს ეძიეს, ვერაფერი ნახეს.

ბოლოს მუშკოვის სარდაფის ყურეში „ნახეს ერთი მოყმე ვინმე ჯდა“... ხერხით ხელში და „ოპერაციას“ უკეთებდა მუშკოვის იატაკს. გამოჰკითხეს ვინაობა. აღმოჩნდა გიორგი ფრანგიშვილი.

„მოყმემ“ სასამართლოში ითხოვა პატიება და სთქვა, რომ არ არის სასჯელის ღირსი, რადგან მუშკოვის გაქურდვა ვერ მოასწრო.

სასამართლომ სამი წლის ციხე მიუსაჯა ფრანგიშვილს, და ამნისტიის ძალით ერთ წლამდე დაიყვანა სასჯელი.

მანე.

დღეს და ყოველდღე კინო-თეატრ „დარბაზში“
იბრაჰიმ და გოდერძი
რეჟისორ შ. ბერიშვილის დადგმა.
6.726

# მეცნიერება და ტეხნიკა

## შეიცვალა თუ არა ჰავა დედამიწაზე?

რატომ შეიცვალა ასე ჰავა უკანასკნელ წლებში განსაცვიფრებლად? ხან საშინელი გვალვებია, ხან-კი ისე გამუდმებით წვიმს, რომ ბოლო არ უჩანს ამ წვიმებს. ზამთრობით-კი იშვიათია ისე ძლიერი ყინვები, როგორც უწინ იყო, პირიქით არაჩვეულებრივად თბილა. ყველაფერი არეულია ბუნებაში, რატომ არის ეს?

— სავსებით გასაგებია თუ რატომ! ჰავა იცვლება! ის რაც იყო უწინ, დღეს არ არის და არც იქნება მომავალში.

აი ნიმუში ობივატელური მსჯელობისა ჰავისა და ამინდის შესახებ.

ასეთ სისულელეს, ასეთ „წყლის ნაყვას“ მუდამ აქვს ადგილი იქ, სადაც ადამიანი მსჯელობს ისეთ საგანზე, რომელიც მას არ ესმის, რომელსაც ის არ იცნობს.

როგორც მეცნიერების თითქმის ყველა სხვა დარგებში, ჰავათმცოდნეობაშიაც საკითხის გადაწყვეტას ხელს უწყობს მხოლოდ გამოცდილების და დაკვირვების შედეგი.

მოდი ვკითხოთ მოხუცებულებს! რას იტყვიან ისინი ეხლანდელ ამინდზე.

— როდესაც ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით. ისევე როგორც ეხლა ზაფხული წვიმიანი იყო. ისეთი წყალი იდგა ყანებში, რომ მოსავალი ვერ ავიღეთ. ზამთრობით - კი შობამდი ყინვა არ გვახსოვს.

ამ რიგად, ჰავის ასეთი ცვლილება, ან „ამბოხება“ ბუნებაში ხდება განსაზღვრული ხნის განმავლობაში — დაახლოებით ყოველი 33 ერთი მესამედი წლის შემდეგ, ე. ი. საუკუნის განმავლობაში სამჯერ. ჩვეულებრივ ჰავას ოციან შესამჩნევ ცვლილებას ადგილი აქვს ოციან შემდეგ ან ოცდაათიან წლების ნახევარში. შემდეგ სამოციან, ან სამოცდაათიან წლების ნახევარში და ბოლოს, ოთხმოცდაათიან, ან ახალი საუკუნის დასაწყისში: მშრალი, გვალვიანი ზაფხული ან პირიქით მეტად წვიმიანი ზაფხულები და თბილი ზამთრები, ან პირიქით უჩვეულო სუსხიანი ზამთრები.

მაშასადამე ხდება ჰავის შესამჩნევი ცვლილება, რომლის დროს ნორმალური მიმდინარეობა არ ირღვევა. ჩვენი დროც ამ მხრივ არაფერს არა წარმოადგენს — ჰავის ასეთ ჩვეულებრივს ცვლილებას ჰქონდა ადგილი წარსულ დროებში და არა ერთხელ ექნება ადგილი მომავალშიაც.

რაც შეეხება ჰავის ცვალებადობას დიდ პერიოდის განმავლობაში, რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში, თანამედროვე მეცნიერება ასეთ დასკვნამდი მივიდა: ისტორიულ ეპოქაში ე. ი. რამდენიმე უკანასკნელი ათასი წლის განმავლობაში დედამიწის ჰავა არ შეცვლილა.

ჰავა შესამჩნევი ცვლილებების დროს, მიუხედავად იმისა, რომ შორდება ჩვეულებრივ ნორმას, საშუალოთ მაინც უცვლელი რჩება მთელ ასეთი პერიოდის განმავლობაში. მშრალი და წვიმიანი, თბილი და ცივი წლები ერთმანეთს „ათანასწორებენ“.

საინტერესოა, რატომ ხდება ჰავის ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილება?

ვინაიდან ჰავა დამოკიდებულია იმ ჰაერის მდგომარეობაზე, რომელიც გარს ახვევია დედამიწას — ჰაერის ტემპერატურაზე, მის წნევაზე, მის მოძრაობაზე (ქარი) და წყლის მდგომარეობაზე ჰაერში. ყველა ის კი დამოკიდებულია მზისაგან. ამიტომ ამინდი ბოლოს და ბოლოს აიხსნება მზის არსებობით.

მართლაც, ვიკითხოთ რა მოხდებოდა, რომ არ ყოფილიყო მზე?

ჰაერის ტემპერატურა იქნებოდა მუდამ ერთი და იგივე, ქარი მოისპობოდა, ვინაიდან არ იქნებოდა ადგილი ჰაერის მოძრაობის გამომწვევ მიზეზებს, წყალი გაიყინებოდა და შეწყდებოდა მისი რაოდენობის რყევა ჰაერში. მხოლოდ მზის სინათლის და სითბოს წყალობით ხდება დედამიწის ატმოსფეროში სხვადასხვა მოვლენები: თბება და ცივდება ჰაერი, იცვლება მისი წნევა, ჩნდება ქარი, წყლის ორთქლით იჟღინთება ჰაერი, — ამინდიც, ჰავაც დამოკიდებულია ყველა ამ მოვლენებზე.

ახლა სავსებით ნათელია, თუ სად უნდა ვეძიოთ ჰავის ცვალებადობის მიზეზები!

უკანასკნელი მოუსავლობა, გვალვები, ცივი ნესტიანი ზაფხულები, თბილი ზამთრები, ხანგრძლივი ყინვები დამოკიდებულია რაღაც ცვლილებებზე, რომლებიც ხდება შორეულ მზეზე, რომელიც აწესრიგებს დედამიწის ჰავას.

რა ცვლილებები ხდება მზეზე?

ამ კითხვაზე სამწუხაროდ არ შეიძლება დღემდე სწორი პასუხის გაცემა. ჩვენ ვიცით დანამდვილებით მხოლოდ შემდეგი: დროგამოშვებით მზეზე ხდება ელექტრონული და მაგნიტურ ძალების ძლიერი რყევა, ხან ჩნდება, ხან-კი ქრება ე. წ. მზის ლაქები და ამის გარდა მზეზე ამჩნევენ სხვა ისეთ მოვლენებსაც, რომლის ბუნება მეცნიერებას ჯერ არა აქვს შესწავლილი.

საინტერესოა, რომ განსაკუთრებით დიდი ცვლილება მზის ლაქების გაჩენაში ხდება თვითეული 33 ერთ მესამედ წლის განმავლობაში სწორედ მაშინ, როდესაც დედამიწაზე ადგილი აქვს ჰავის შესამჩნევ ცვლილებებს.

მომავალში და შეიძლება სულ ახლო მომავალშიაც, მეცნიერება უეჭველად გამოარკვევს თუ რა დამოკიდებულება არსებობს ჰავასა და ყველა იმ მოვლენებს შორის, რომლებსაც ადგილი აქვს მზეზე. მაშინ ჩვენთვის სავსებით ნათელი გახდება ის მიზეზები, რომლებიც იწვევს ჰავის ცვლილებებს. და ვინ იცის იქნება მაშინ ვიპოვოთ კიდეც უებარი საშუალება ჩვენი დროის საშინელი უბედურების წინააღმდეგ —მოუსავლიანობისა და კაცობრიობის უსაშინლესი მტრის — სიმშილის წინააღმდეგ.

ნ. ქ.

# ლეონარდ ნელსონი

14 ნოემბერს გეტინგენში (გერმანია) გარდაიცვალა თანამედროვე გამოჩენილი ფილოსოფოსი ლეონარდ ნელსონი.

ნელსონი იყო ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი ფილოსოფოსთა და მათემატიკოსთა საზოგადოების, რომელიც ომის წინ მოეწყო. ომის დროს მისმა აქტიურმა ანტი-მილიტარიზმმა გამოიწვია კონფლიქტი მასა და მთავრობის ორგანოებსა და აკადემიურ წრეებს შორის (ნელსონმა სიკვდილამდის ვერ მიიღო საშტატო თანამდებობა, მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი მეცნიერული დამსახურება მიუძღოდა). უარყოფითი დამოკიდებულება მენშევიკური „დემოკრატიისადმი“ და ნამდვილი რევოლიუციონერობა იყო მიზეზი იმის, რომ ნელსონმა კავშირი გასწყვიტა გერმანიის სოციალ-დემოკრატიასთან.

რუსეთის განათლების კომისარიატის მიპატიჟებით, ნელსონმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე ინახულა რუსეთი და ძლიერ დაინტერესდა განათლების საქმის დაყენებით საბჭოთა სკოლებში.

ნელსონის სახით საბჭოთა კავშირმა დაჰკარგა ერთ-ერთი უგულწრფელესი მეგობარი უცხოეთში.

# გემი-აეროდრომი

ავსტრიაში წყალში ჩაუშვეს ახალი უზარმაზარი სამხედრო გემი-აეროდრომი, რომელიც თავისი სიდიდით სჭარბობს დღემდე არსებულ ყველა ასეთ გემებს. „სარატოგა“-ს (ასე ეწოდება ახალ გემ-აეროდრომს) წყალწყვა უდრის 33.000 ტონას, სიგრძე—300 მეტრს გემის ბანი (палуба) წარმოადგენს ნამდვილ აეროდრომს, სივრცით ორ დესეტინას. გემის რაზმი შესდგება 1.450 კაციდან, რომლიდანაც 250 ეკუთვნის მფრინავთა შემადგენლობას. „სარატოგა“ იტევს 72 აეროპლანს, რომელთა შორის არის სხვადასხვა ტიპის აეროპლანები, დაწყებული ორ-ადგილიან განმანადგურებლით და გათავებული უზარმაზარ ბომბების გადმოსაყრელი აეროპლანებით, რომლებიც იტევენ ასეულ ფუთ ბომბებს.

გემზე მოწყობილია დიდი ელექტრო-სადგური ორთქლის ტურბინებს მოძრაობაში მოჰყავთ ათეული დინამო-მანქანები, რომელთა საერთო სიმძლავრე უდრის 180.000 ცხ. ძალას. ელექტრონის ენერგიით სარგებლობენ გემის სვლისათვის და სხვა ათასი საჭიროებისათვის. გემის მთელი მოწყობილობა ელექტროფიკაცია[illegible]. 400 ძალიანი ელექტრონის მოტორები ამუშავებენ უზარმაზარ ვენტელიატორებს, რომელთა დანიშნულებას შეადგენს აეროპლანების დაშვების გაადვილება, ელექტრონულ მოტორებს არა უდიდეს სათითურისა, მოძრაობაში მოჰყავთ კაპიტანის ოთახში დადგმულ პატარა და [illegible] ხელსაწყოების მექანიზმები.

გემზე არის ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი დიდი სახელოსნო, სახელოსნოში, რომელიც თავისი სიდიდით არ ჩამოუვარდება დიდ სამანქანო ქარხნის ცეხს, შეიძლება აგებული იქნეს ყოველგვარი ტიპის აეროპლანი.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის პრესა ზეიმობს „სარატოგა“-ს წყალში ჩაშვების გამო და ქებათ-ქებას ასხამს „ამერიკული სამხედრო ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევას“, ამერიკის სამხედრო სპეციალისტების ბანაკში გაისმის სკეპტიკური ხმები ასეთი გემების აგების მიზანშეწონილობის საკითხის შესახებ. სპეციალისტების ნაწილი მიუთითებს, რომ იმ თანხით—20 მილიონ მანეთით, რომელიც დაიხარჯა „სარატოგა“-ს აგებაზე, შეიძლებოდა 5 დიდი კრეისერის აგება. მეორე მხრივ, სკეპტიკოსები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად თავისი სვლის სისწრაფისა (70 ვერსი საათში), „სარატოგა“ ადვილად მისაწვდომია მტრის ზარბაზნებისათვის.

# მკურნალობა მალარიით

ინგლისური გაზეთი სავსეა ცნობებით იმ წარმატებების შესახებ, რომელსაც მიაღწია მედიცინამ ფსიქიურ ავადმყოფებთან ბრძოლაში. განსაკუთრებით კარგ შედეგს ახდენს მალარიით მკურნალობა პროგრესიულ პარალიჩზე, კატატონიის ზოგიერთ ფორმებზე და ფსიქიურ აშლილობაზე, რომელსაც ტოვებს გადატანილი ენცეფალიტი (ძილის ავადმყოფობა).

უმრავლეს შემთხვევებში მალარიით მკურნალობა იძლევა მნიშვნელოვან დადებითი შედეგს და ზოგჯერ სრულ განკურნებას, თუ განმანადგურებელი პროცესები ავადმყოფის ტვინში საზღვარს არ გადასულა.

ინგლისელმა ექიმებმა შეიმუშავეს თავისებური ტეხნიკა მალარიით დასაავადმყოფებლად. მალარიის კოღოებს ათავსებენ შუშის ბანკებში, რომლის თავი დაცულია მატერიით ბანკის თავს რამდენიმე წუთით ადებენ მალარიით ავადმყოფის ტანზე. რამოდენიმე კვირის განმავლობაში ასეთი „კვების“ შემდეგ კოღოები „მომზადებულია“ იმისათვის, რომ გადაიტანონ ავადმყოფობა და მათი საშუალებით მალარიით აავადმყოფებენ სამკურნალოდ მიღებულ ფსიქიურ ავადმყოფებს. ავადმყოფები იტანენ მალარიის 6—10-ჯერ განმეორებას, რასაც თან სდევს ტემპერატურის აწევა. ამის შემდეგ ავადმყოფობას წყვეტენ ქინაქინის საშუალებით. ფსიქიურ ავადმყოფებს აავადმყოფებენ მალარიის მსუბუქ ფორმებს ისე რომ, ავადმყოფობა ჩვეულებრივ მიმდინარეობს ყოველგვარ გართულებათა გარეშე.

ინგლისელი ექიმები აღნიშნავენ, რომ მალარიით დაავადმყოფება, ისე სხვა გადამდები სნეულებანი, რომელთაც თან სდევს ტემპერატურის მნიშვნელოვანი გადიდება, არა მარტო აუმჯობესებენ ავადმყოფის ნერვიულ სისტემის მდგომარეობას, არამედ მშვენიერ გავლენას ახდენ აგრეთვე კუნთებზე და ადამიანის ორგანიზმის სხვა ელემენტებზე.

ამ აღმოჩენამ აფიქრებინა ექიმებს, რომ შესაძლებელია მწვავე ავადმყოფობათა გამოყენება რევმატიზმის სამკურნალოდ. ინგლისელმა ექიმებმა მოახერხეს რევმატიზმის პროცესის შეჩერება რევმატიზმიანის დაავადმყოფების საშუალებით ტიფოიდით (ტიფის ერთ-ერთი ფორმა).

# ქლოროფორმი თუ ბრომი

მოსკოვის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ნ. ნ. ბურდენკომ, რომელიც გაეცნო ქირურგიის უკანასკნელ მიღწევებს საფრანგეთში, ავსტრიაში და გერმანიაში, შემდეგი გადასცა მოსკოვის გაზეთების თანამშრომელთან საუბარში.

ყველაზე საინტერესო გერმანიის ქირურგიაში,—ეს არის ნარკოზის პრობლემა: ქლოროფორმისა და ეფირის ნაცვლად, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ გულზე და ფილტვებზე, შემოღებულია ბრომის პრეპარატი, რომელსაც უწოდებენ „ავერტინს“. ეს საშუალება მინიმალურ დოზებითაც კი იწვევს ისეთ მშვიდ, თანაბარ ღრმა ძილს, რომ 11—15 წ. შემდეგ შესაძლებელი ხდება ავადმყოფისათვის ოპერაციის კეთება ორი საათის განმავლობაში.

ნარკოზის მეორე ახალ საშუალებას—„პერნაკტონს“ უშხაპუნებენ პირდაპირ ვენაში და ისიც იწვევს ღრმა ძილს.

გერმანიის ქირურგიას უკანასკნელ წლებში დიდი ტეხნიკური მიღწევები აქვს: მასში გამოყენებულია სისტემა, რომელიც კონვეირის სისტემას წააგავს: გამოჩენილი ქირურგების უმრავლესობა ასრულებს ოპერაციის მხოლოდ უმთავრეს მომენტებს, დანარჩენ სამუშაოებს ამთავრებს ასისტენტი, რაც შესაძლებლად ხდის მოკლე დროის განმავლობაში მრავალ რთულ ოპერაციების გაკეთებას.

# მცენარეთა კვება

დღემდი მეცნიერებაში გავრცელებული იყო შეხედულება, რომ მცენარე კვებისათვის საჭირო ნახშირმჟავა გაზს იღებს ჰაერიდან. ჩეხ მეცნიერის პროფ. სტოკლაზის გამოკვლევები ძირიან-ფესვიანად უარყოფენ ამ შეხედულებას. პროფ. სტოკლაზმა დაამტკიცა, რომ ნახშირმჟავას ის რაოდენობა, რომელიც ჰაერში მოიპოვება, სრულიად არ არის საკმაო მცენარის კვებისათვის. აღმოჩნდა, რომ საჭირო ნახშირმჟავას უმეტეს რაოდენობას მცენარე იღებს ნიადაგიდან კალიუმის და ნატრიუმის ნახშირმჟავა გაზების სახით. ის გარემოება, რომ ნიადაგში მოგროვდება ეს მარილები, აიხსნება განსაკუთრებული სახის ბაქტერიების შემწეობით. პროფ. სტოკლაზის აღმოჩენა საჭიროდ ხდის მიწის განოყიერების არსებულ მეთოდების რადიკალურად გადასინჯვას.

# მარკონის ახალი გამოგონება



ამერიკაში მოწყობილ რადიო-გამოფენაზე ნაჩვენები იქნა მარკონის მიერ ახლად გამოგონებული რადიო-აპარატი, რომელიც წარმოადგენს ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას საშიშროების ნიშნის მისაცემად გემებზე. აპარატი მოთავსებულია ტელეგრაფისტის ბუდკასთან. ავტომატიურ სიგნალს საფრთხის შესახებ (SOS) იღებს სპეციალური აპარატი, რომელიც რეკს გემის ყველა კაიუტებში მოწყობილ ზარებს. მარკონის სასიგნალო აპარატებით მოწყობილია ინგლისის 300 გემზე.

# გელიკოპტერის ახალი რეკორდი

მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში მფრინავმა ხუან დე-ლა-სიერვამ, რომელმაც გამოიგონა გელიკოპტერი (აეროპლანი რომელსაც მიწაზე გაურბენლად, პირდაპირ ვერტიკალურად შეუძლია აფრინდეს ზევით), თავისი აეროპლანით გაფრინდა 120 ვ. მანძ. ამ გადაფრენით დე-ლა-სიერვამ დაამყარა გელიკოპტერების გაფრენის სიშორის ახალი რეკორდი.

აპარატი აგებულია ა. ვ. რის ფირმის მიერ და ეკუთვნის იმ გელიკოპტერთა რიცხვს, რომლებიც ინგლისის მთავრობა აშენებს სცდელი მიზნებით.

# თოფი-ტყვიასმფრქვეველი

იტალიურმა ფირმამ „ფიატ“-მა დაამზადა თოფი-ტყვიისმფრქვეველი, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ სამხედრო საქმეში. თოფი-ტყვიისმფრქვეველი ისვრის 400 ტყვიას წუთში, იტევს 25 ტყვიას ერთად, კალიბრი—7 მილიმეტრი, იწონის 22 გირვ.

# სათბობის მოპოვება და ენერგიის ხარჯვა

მთელს მსოფლიოში მიწიდან იღებენ 1.300—1.350 მილიონ ტონა ნახშირს. აქედან 780 მილიონ ტონა ნახშირს ხარჯავს ტრანსპორტი და ელექტრო-სადგურები, 193 მილ. ტონა იხარჯება სახლების გათბობაზე, 50 მილიონ ტონა—მრეწველობაში, 160 მილიონი ტონა მუშავდება კოქსად და 40 მილიონი ტონა იხარჯება გაზის მოპოებაზე.

ნავთის წლიური მოპოვება მთელს მსოფლიოში უდრის 150.000.000 ტონას. აქედან 60 მილ. ტონა იხარჯება გათბობაზე და განათებაზე, 30 მილ. ტონა—შინაგანი წვის მამოძრავებელზე, 50 მილ. ტონა—მრეწველობაში, დანარჩენი რაოდენობიდან მუშავდება სხვადასხვა ზეთები.

წყლის ენერგიიდან, რომლის რაოდენობა, სპეციალისტების გამოანგარიშებით 450 მილიონ ცხენის ძალას უდრის, გამოყენებულია მხოლოდ 7 პროც.

ენერგიის მსოფლიო ხარჯვა უდრის 790 მილიარდ კილოუატ-საათს. ამ რაოდენობიდან 53 პროცენტს იძლევა მაგარი სათბობი მასალა, 24 პროც.—თხელი და გაზისებური მასალა და 13 პროც. წყლის ენერგია.

# „დამსახურებული აეროპლანი“

აეროპლანს, რომლითაც ფრანგი კოსტი და ლებრი გადაფრინდენ საფრანგეთიდან აფრიკაში, და იქედან სამხრეთ-ამერიკაში, სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ „დამსახურებული აეროპლანი“. ეს არის ის აეროპლანი—„ბრეგე 19“, რომლითაც კოსტიმ უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში 4 რიგათ გაიარა 18.800 კილომეტრი: პარიზიდან—სპარსეთში (5.395 კილომეტრი), პარიზიდან—ნ. ტაგილსკში (4.640 კილ.) პარიზიდან—ეგვიპტეში (4.050 კილ.). უკანასკნელი რეისი—ლე-ბურჟე—სან-ლუი (სენეგალი)—ნატალი—რიო-დე-ჟანეირო—ბუენოს— აირესი (მანძილი 11.370 კილ.) გავლილ იქნა 72 საათში.

მიუხედავად იმისა, რომ აეროპლანი, რომელსაც კოსტიმ უწოდა უგზო-უკვლოდ დაკარგულ მფრინავების სახელი „ნუნგესერი და კოლი“—ყოველმხრივ საიმედო იყო, მაგრამ მფრინავებმა მაინც მიიღეს მთელი რიგი გამაფრთხილებელი ზომები. ყველა რადიო-სადგურები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული, რომ ფრენის უკანასკნელი საათების ყოველ ხუთ წუთში მფრინავები გამოელაპარაკებიან რადიო-სადგურებს. ბაკები, რომლებშიაც საწვავი მასალა იყო მოთავსებული, ისე მოაწყვეს, რომ წყალზე უნებლიეთ დაშვების დროს შესაძლებელი ყოფილიყო მათი უცებ დაცლა და გამოყენება აეროპლანის წონასწორობის დასაცავად წყალში. აეროპლანზე მომარაგებული იყო აგრეთვე ორი მოსაკეცი რეზინის ნავი, ორი პარაშუტი და მოწყობილობა ზღვის წყლის გადასამუშავებლად, რომელმაც ერთხელ უკვე იხსნა მფრინავი ლე-ბრი (ვინაიდან გამორკვეულია, რომ შეიძლება ათ დღეს გაძლება უსაჭმელოდ, თუ კაცს მოეპოება სასმელი წყალი).

# მკურნალობა ფორთხვით

ბავშვებს, რომლებსაც მკურნალობენ ხერხემლის ტუბერკულოზზე, ან რომლებსაც სუსტი აქვს ხერხემალი, არ აძლევენ ნებას, იარონ, რადგან სიარულის დროს ტანის სიმძიმე იწვევს ხერხემლის გამრუდებას. მაგრამ, ამავე დროს, გამუდმებული წოლა ცუდ გავლენას ახდენს ბავშვის მადაზე, კუჭზე, ნერვიულ სისტემაზე და აბრკოლებს საბოლოო განკურნებას. ერთმა გერმანულმა საავადმყოფომ ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩაატარა ცდა, რომლითაც დაძლეულია ეს დაბრკოლება: სუსტი ხერხემლის მქონე ბავშვებს ნებას აძლევენ იმოძრაონ... ფორთხვით, რაც ათავისუფლებს ხერხემალს ზედმეტ სიმძიმისაგან და ამავე დროს საკმაო თავისუფლებას აძლევს ორგანიზმს. მფორთხავ ბავშვების მუხლები და ხელი მაზოლების გაჩენისაგან დაცულია განსაკუთრებული ბალიშებით. ფორთხვა დადებით გავლენას ახდენს სუსტ-ხერხემლიან ბავშვების ორგანიზმზე

# კეთრის მკურნალობა

წინა წლებში კეთრის განკურნების შემთხვევები იშვიათი იყო. უკანასკნელ ხანებში, მედიცინის მიღწევების წყალობით, კეთრთან მკურნალობის საქმემ ძლიერ წაიწია წინ. ამჟამად, ფილიპინის კუნძულების ლეპროზორიებში (მსოფლიოში უდიდესი საავადმყოფო-კოლონიები კეთროვანთათვის) ხუთი უკანასკნელი წლის განმავლობაში აქვთ 1.000 შემთხვევა კეთრისაგან სრულიად განკურნებისა და რამდენიმე ათასი შემთხვევა, როცა ექიმებმა მოახერხეს კეთროვანი ავადმყოფის მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესება.

ზოგიერთი გამოჩენილი სპეციალისტები გამოთქვამენ იმედს, რომ 10—12 წლის შემდეგ კეთრი სრულიად იქნება მოსპობილი.

# ბუნების შეცდომების გასწორება

ერთმა ამერიკელმა მებაღეობის ფირმამ შეიმუშავა მეტად ორიგინალური წესი ვაშლის ხის ტოტების გასამაგრებლად და მათ გადასარჩენად დამტვრევისაგან ქარის დროს, იქ, სადაც ვაშლის ტანიდან მიდის რამდენიმე ტოტი იღებენ რამდენიმე წვრილ ტოტს და ამყნიან უფრო დიდებზე. დამყნის შემდეგ ვაშლის ტოტები წარმოადგენენ ერთ მთლიან სისტემას, რომლებიც წააგავენ თანამედროვე საამშენებლო ტეხნიკის ჩარჩოიან ნაგებობებს. ამრიგათ „გასწორებული“ ვაშლი უძლებს უძლიერეს ქარს. ფირმამ გამოიანგარიშა, რომ ამგვარი ღონისძიება ყოველწლიურად აძლევს მას რამდენიმე ათას დოლარის ეკონომიას და ზედმეტად ხდის ვაშლის ტოტების გამაგრებას სარებით—ღონისძიებას, რომელიც უმრავლეს შემთხვევებში არავითარ შედეგებს არ იძლევა.

# ნაპრალები შავი ზღვის ფსკერზე

რუსეთის საზღვაო ობსერვატორიის დირექტორმა ჰიდროგრაფმა სპვორცოვმა, რომელიც ხელმძღვანელობდა შავი ზღვის ფსკერის გამომკვლევ ექსპედიციას, სევასტოპოლში დაბრუნებისას პრესის წარმომადგენლებს განუცხადა:

„ექსპედიციამ ზღვის ფსკერზე აღმოაჩინა უზარმაზარი ნაპრალი, რომელიც გაჩნდა მიწისძვრის შემდეგ. ნაპრალი იწყება ევპატორიის მერიდიანიდან და მიჰყვება ყირიმის ნაპირებს ასოცი მილის მანძილზე ხუთას-შვიდას საჟენის სიღრმეზე. ყველაზე ახლოა უფსკრული ალუშტის ნაპირებთან. ნაპრალის განი აღწევს სამ მეოთხედ ვერსამდი“.

# ნერვიულ მოვლენების ხასიათი

დღემდი მეცნიერებაში არსებობდა წარმოდგენა, რომ გაღიზიანების გადაცემა ნერვების გზით —პერიფერიიდან ცენტრალურ ნერვიულ სისტემისათვის, და პირიქით—ხდება ერთგვარ ელექტრონულ პროცესის საშუალებით, მაგ. რადიოს მსგავს ელექტრო-მაგნიტურ ტალღების საშუალებით. ამ შეხედულების წინააღმდეგ ლაპარაკობდა ის გარემოება, რომ გაღიზიანება ნერვებით გადაიცემა განსაზღვრული და საკმაოდ უმნიშვნელო სისწრაფით, რომელიც ბევრათ ჩამორჩება იმ სისწრაფეს, რომლითაც ვითარდებიან ელექტრო-მაგნიტური ტალღები.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზემოთაღნიშნული შეხედულება დაცული იყო მეცნიერებაში იმის წყალობით, რომ უკანასკნელ დრომდე, მიუხედავად მრავალი ცდებისა, ვერ შენიშნეს მომუშავე ნერვის ტემპერატურის გადიდება, რასაც უსათუოდ ექნებოდა ადგილი, რომ ნერვის საშუალებით გაღიზიანების გადაცემა ქიმიური პროცესი იყოს. ამჟამად, წარმოდგენა ნერვიულ მოვლენების ელექტრონულ ბუნების შესახებ შეიძლება უარყოფილად ჩაითვალოს. გამოჩენილმა ინგლისელმა ფიზიოლოგმა გილმა, რომელიც უაღრესად მგრძნობიარე ხელსაწყოებით სარგებლობდა, გამოარკვია, რომ მომუშავე ნერვი გამოყოფს სითბოს. ამრიგად, [illegible] შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნერვიული მოქმედება არის ქიმიური პროცესი, რომელიც [illegible] სისწრაფით ვითარდება ნერვში.

# არდადეგები

განათლების სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა მიმდინარე სასწავლო წლის არდადეგების გეგმა. ახლად დამტკიცებულ გეგმის მიხედვით, შრომის სკოლებში, ტექნიკუმებში, დაბალ პროფტექნიკურ განათლების სკოლებსა და მუშათა ფაკულტეტებში სასწავლო წელი გრძელდება 1928 წლის 20 ივნისამდე; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები, დაბალი ტიპის სასოფლო სამეურნეო სკოლები და მიწადმოწყობის სკოლები მეცადინეობას აწარმოებენ მომავალი წლის 1 აგვისტომდე, ხოლო საფაბრიკო - საქარხნო სკოლებში მეცადინეობა წყდება 15 ივლისს. ამავე გეგმით, ყველა ზემოდ-დასახელებულ სკოლებისათვის დაწესებულია საზამთრო და საგაზაფხულო არდადეგები შემდეგი სახით: საზამთრო 25 დეკემბრიდან 7 იანვრამდე და საგაზაფხულო 1 აპრილიდან 10 აპრილამდე.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის არდადეგები დაწესებულია 1 იანვრიდან 15 იანვრამდე, გაზაფხულზე 25 აპრილიდან 5 მაისამდე, შემოდგომაზე 30 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე.

მაზრების განათლების განყოფილებებს უფლება ეძლევა ადგილობრივი პირობების მიხედვით შეცვალონ სწავლის დაწყება - დამთავრების და არდადეგების დრო, იმ პირობით, რომ სასწავლო წლის განმავლობაში აუცილებლად იქნეს დაცული 200 სასწავლო დღე.

### უმაღლეს სასწავლებლებში

საზამთრო არდადეგები უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყება 15 იანვარს და გაგრძელდება 8-ლ თებერვლამდე.

# რკინისგზებზე

## მორიგეს დაუდევრობა

25 ნოემბერს, ბამბკაიდან შაგალში ორი ორთქლმავლით მიდიოდა მატ. № 133—194. სადგურებს შუა მატარებელი გაჩერდა, რადგან ერთ ერთ ვაგონს გაუტყდა საწევი კავი. პირველი ორთქლმავალი მოხსნეს და გაგზავნეს შაგალში დახმარების გამოსათხოვად.

სადგურში ორთქლმავლის მისვლის დროს სადგურის მორიგემ ჯოგონიანმა არ მოუსმინა მემანქანეს და ტელეგრაფით სადგ. ბამბაკს შეატყობინა გამოეგზავნა იქ მდგომი ორთქლმავალი.

ამ განკარგულების თანახმად გამოგზავნილი ორთქლმავალი დაეჯახა უკანიდან ხაზზე მდგომ მატარებლის შემადგენლობას. ამის შედეგად მოჰყვა ორი დახურული ვაგონის დამსხვრევა. დაჯახების დროს დაიჭრენ კონდუქტორ-დამრიგებელი და ერთი უბილეთო მგზავრი.

ლენინაკანიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომლის საშუალებით მოძრაობა აღდგენილ იქნა ხუთ საათში.

### ლიანდაგიდან გადავარდნა

24 ნოემბერს, გურჯაან-კარდანახის შუა მიმავალ მატ. № 730—333-ს შემადგენლობიდან ლიანდაგს ასცდა შვიდი დატვირთული ღია ვაგონი და ორთქლმავალი. ხაზი დაზიანდა 60 მეტრის მანძილზე. მოძრაობა აღდგენილ იქნა მისულ დამხმარე მატარებლის საშუალებით.

### მგზავრებისადმი ზრდილობიანი მოპყრობისათვის

გზათა კომისარიატის კოლეგიის წევრი და რკ. გზების ცენტრალურ სამმართველოს უფროსი ამხ. რუდი წინადადებას აძლევს ყველა რკ. გზების გამგეობებს მგზავრებისადმი, ზრდილობიანი მოპყრობის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ აგენტების შერჩევას, რომლებიც ემსახურებიან პირდაპირ მატარებლებს.

# ფიზკულტურა

## ა.-კ. პირველობის გათამაშება

გუშინ ლენინის სახელობის სტადიონზე დაიწყო შეჯიბრება მძლეოსნობაში. ამის გამო შეჯიბრი ფეხბურთში სომხეთსა და აზერბეიჯანს შორის არ შემდგარა.

დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე, გაიმართება შეჯიბრი საქართველოს და აზერბეიჯანის ნაკრებ გუნდებს შორის.

მძლეოსნობის შეჯიბრის დღევანდელ პროგრამაში შედის: ამანათრბენი 800-400-200-100, ამანათრბენი ქალებისათვის, ხტომა სიგრძეზე ადგილიდან (კაცები), დისკოს ტყორცნა (ქალები), ყუმბარის ტყორცნა (კაცები), ხტომა სიგრძეზე გარბენით (კაცები), ხტომა სიმაღლეზე ადგილიდან (ქალები), ფინალი 800 მეტრზე (ქალები), ფინალი 5.000 მეტრზე (კაცები), ისარის ტყორცნა და საბარიერო რბენა. შეჯიბრება მძლეოსნობაში დაიწყება დილის 11 საათზე.

### ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში

**გასამხედროება**

საქ. ცაკთან არსებულ ფიზკულტურის უმ. საბჭომ გადასწყვიტა გაადიდოს სასროლი წრეების რიცხვი წარმოება-დაწესებულებებთან, მოსამსახურეთა გასამხედროების მიზნით. საბჭომ გადასწყვიტა სასროლ წრეებს დაურიგოს უფასოთ თოფები სათანადო პასუხისმგებლობის ქვეშ.

**სპორტის ინტერნაციონალი**

ფიზ. უმ. საბჭომ წითელი სპორტის ინტერნაციონალის პლენუმზე თავის წარმომადგენლად მიავლინა ამხ. ელიავა.

**სასროლი საქმის ყრილობა**

საქ. ფიზ. უმ. საბჭოს ცნობით ახლო ხანში უკრაინაში შესდგება სასროლი საქმის საკავშირო ყრილობა, რომელზედაც საბჭო იგზავნის თავის წარმომადგენლებს.

**გასამხედროების სექცია**

გასამხედროების საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად ფიზკულტურის უმ. საბჭომ დაარსა გასამხედროების ცალკე სექცია.

# ჭადრაკი

## მუშათა ცენტრ. კლუბში

მუშათა ცენტრ. კლუბში არსებულ ჭადრაკის წრეს პირველი ადგილი ეჭირა შარშან. წრეში ხშირად იმართებოდა ლექციები, ტარდებოდა ერთდროული სეანსები, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ თბილისის ყველა ცნობილი მოჭადრაკენი. წრეში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა ჭადრაკის თამაშის თეორიულად და პრაქტიკულად შესწავლისათვის. წრე იმდენად გაიზარდა (მოთამაშეთა რიცხვი აღემატებოდა 60 კაცს), რომ საჭირო შეიქნა მისი ნაწილობრივად რეორგანიზაცია და წრის მუშაობა ახალი ძალებით შევსება.

შარშან, თბილისის კლუბების მოჭადრაკეთა წრეების შეჯიბრზე მუშათა ცენტრ. კლუბის ჭადრაკის წრემ აიღო პირველობა.

მიმდინარე ზამთრის სეზონში კი წრის მუშაობა ძალიან შენელებულია. წრეს თანდათან ჩამოშორდენ საუკეთესო მოთამაშენი; ამჟამად წრე ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

საქ. პროფსაბჭოსთან არსებულ კულტ-განყოფილებამ ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას მისი ინიციატივით მომავალ კვირისათვის განზრახულია თბილისის მოჭადრაკენის—გოგლიძის, საროკინის და სხვათა მოწვევა, რათა მუშათა ცენტრ. კლუბის ჭადრაკის წრე ისევ დადგეს სათანადო სიმაღლეზე. ხსენებული მოჭადრაკენი აღნიშნულ წრეში ჩაატარებენ რამოდენიმე სეანს და წაიკითხავენ აგრეთვე მოხსენებას კაპაბლანკა-ალიოხინის მატჩის შესახებ.

# საქ. მეურნეობის ბალანსი

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს განზრახული აქვს საქართველოს სახალხო მეურნეობის 1925-26 და 26-27 წლების ბალანსის შედგენა. პირველი ბალანსი შესდგება 1925-26 წელზე. ეს ბალანსი უნდა დამთავრდეს 1928 წლის ივნისში. ამ მუშაობასთან პარალელურად იწარმოებს 1926-27 წლის ბალანსის მასალების დამუშავება 26-27 წლის ბალანსი დამთავრებული უნდა იქნეს 1928 წლის ოქტომბერში.

გარდა სტატ. სამმართველოს მასალებისა, ბალანსის შესადგენათ გამოყენებული იქნება სხვა უწყებების მასალებიც.

# რადიო-გადაცემა

## კვირა, 27 ნოემბერი

დღეს, 27 ნოემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

პიონერთა გამოსვლა—ლექსები და სიმღერა.
კომკავშირის გაზეთი—რუსულ ენაზე.
პოლიტიკური მიმოხილვა—ქართულ ენაზე.
ყელჭირვება და ხუნაგი და მათთან ბრძოლა—სომხურ ენაზე.
ადგილობრივ მცენარეულობათა და ცხოველთა ჯიშების გავრცელება საქართველოში—ქართულ ენაზე.
მუსიკის ახსნა-განმარტება.
კონცერტი ან და ტრანსლიაცია.
ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 18

(საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. ნოემბ. 11)

### 1928 წლის უქმე და დასვენების განსაკუთრებული დღეების შესახებ

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მე 111, 112 და 113 მუხლებისა, საქართველოს ს.ს.რ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. 1928 წ. გამოცხადდეს შემდეგი უქმე და დასვენების განსაკუთრებული დღეები:

**ა) უქმე დღეები:**

1. 1-ლ იანვარი—ახალი წელი,
2. 22 იანვარი—1905 წ. 9 იანვრის, და ლენინის ხსოვნის დღე.
3. 25 თებერვალი—საქ. გასაბჭოების დღე.
4. 12 მარტი—თვითმპყრობელობის დამხობის დღე.
5. 18 მარტი—პარიზის კომუნის დღე.
6. 1 მაისი—ინტერნაციონალის დღე.
7. 20 სექტემბერი—26 კომუნარების დღე.
8. 7 ნოემბერი ოქტომბრის რევოლუციის დღე.

**ბ) დასვენების განსაკუთრებული დღეები:**

9. 19 იანვარი.
10. 16 აპრილი.
11. 2 ივლისი
12. 23 ივლისი.
13. 20 აგვისტო.
14. 8 ნოემბერი.

2. პირველ მუხლის „ა" პუნქტში ჩამოთვლილ დღეების წინა დღეებში სამუშაო დღე 6 საათს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო „ბ" პუნქტში ჩამოთვლილ წინა დღეს სამუშაო დღე არ უნდა შემცირდეს.

3. უქმე და დასვენების განსაკუთრებულ დღეებში მუშაობა (ამ დადგენილების 1-ლ მუხ.) უნდა სწარმოებდეს შემდეგ წარმოებებში: წყალსადენი, ტელეფონი, ელექტრო-სადგურები, საავადმყოფოები, აფთიაქები, ტელეგრაფი, აგრეთვე ყველა მათში, რომელთა შეჩერება არ შეიძლება მუშაობის წარმოების ხასიათის გამო.

4. თვიურად შრომის ხელფასის გაცემის დროს მუშა-მოსამსახურეებს არ გამოექვითებათ თვიური გასამრჯელოდან ყოველკვირეულ დასვენების დღეების (შრომ. კან. კოდ. 109 მუხ. უქმე და დასვენების განსაკუთრებულ დღეების (ამ დადგენილ. 1-ლი მუხ) ხელფასი; აგრეთვე არ გამოექვითებათ ყოველკვირეულ დასვენების და უქმეების წინა დღეების ორი შეღავათიანი საათისათვის.

5. ხელფასის დღიურად გაცემისას ყოველკვირეულ დასვენების დღეების (შრომის კან. კოდ. 113 მ.) და უქმეების (ამ დადგ. 1 მუხ. პუნ. „ა") წინა დღეებში შემოკლებულ სამუშაო დღისათვის მომუშავეთ ეძლევათ სრული დღიური ხელფასი და არაფერი დაექვითებათ შეღავათიან ორი საათისათვის.

6. დასვენების ყოველკვირეულ დღეების (შრ. კან. კოდ. 113 მუხ) და უქმეების (ამ დადგენ 1 მუხ. პუნ. „ა") წინა დღის შეღავათიან საათებისათვის ხელფასის გაცემის და ანგარიშის გასწორების წესი ნარდათ მომუშავე ან საათობრივ ხელფასის მიმღებ მუშებისათვის შეტანილი უნდა იქნეს კოლექტიურ და შრომის ხელშეკრულებებში.

იმ შემთხვევაში, როცა ეს დამატება შესულია ნარდ შეფასებაში ან სატარიფო განაკვეთში, ამის შესახებ მოხსენებული უნდა იქნეს კოლექტიურ ან შრომის ხელშეკრულებაში.

7. ყოველკვირეულ დასვენების, უქმე და დასვენების განსაკუთრებულ დღეებში შესრულებულ სამუშაოს (შრომ. კან. კოდ. 109 მუხ. და ამ დადგენილ. 1 მუხ.) ჯილდოს რაოდენობა არ შეიძლება იყოს ნორმალურ გასამრჯელოს ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები. ყოველკვირეულ დასვენების და უქმე დღეების (შრომ. კან. კოდ. 109 და ამა დადგენ. 1 მუხ. პ. „ა") წინა დღის შეღავათიან საათებში მუშაობისათვის ჯილდო გაცემული უნდა იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე ნორმალურ ჯილდოს ერთი ნახევრის რაოდენობით.

8. ჯილდო გაიცემა ნორმალურ რაოდენობით, როცა ყოველკვირეული დასვენების ან უქმე დღის ნაცვლად მუშებს ეძლევათ 42 საათის დასვენება იმავე კვირის სხვა დღეს ან კიდევ დასვენების განსაკუთრებულ დღის ნაცვლად მათ ეძლევათ სხვა გასასვლელი დღე.

შეღავათიან საათებში მუშაობისათვის დამატებითი ჯილდოს ნაცვლად დასვენების საათების მიცემა კვირის სხვა დღეს, ყოველკვირეული (შრ. კან. კოდ. 109 მუხ) და უქმე დღის (ამ დადგ. მუხ. პ. „ა") განუწყვეტელი 42 საათ. დასვენების განუწყვეტლობის დარღვევით—არ დაიშვება.

9. 8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს გასულ დროისათვის გადაანგარიშების მოსახდენად.

საქ. შრომის სახალხო კომისარის მოადგილე: **ი. ჟულიძე.**

შრ. დაცვის განყოფ. გამგე—**ელბაქიანი.**
შეთანხმებულია ს.პ.კ.ს. სატ. საქ. გან. გამგე **ხვედელიძე.**

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქ. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 28 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება ქალთა ორგანიზატორების თათბირი ქალთა კომისიებთან ერთად.

— საქარ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ამხ. ალექსანდრე სიხარულიძეს და ვასილ გოგიტაძეს გამოცხადდენ 28 ნოემბერს ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ., 24, მესამე სართული, ოთახი № 13—ისონ ფირცხალავასთან).

— საქ. კ. პ. თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ-დასახელებულ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) თბილ. კომ. საალრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან:

შალვა კუკურაძე, კალისტრატე კონ. ჯიქია, ლეონიდე ლუკასძე ტყაბლაძე, ნიკოლოზ ალექსანდრესძე კორიელოვი, ნიკოლოზ ვასილისძე ფალცულაია, ნიკოლოზ ევსტაფისძე ხუციშვილი, კალისტრატე კვირიკესძე გველესიანი და ალეკპერ ჯაფარისძე იზმაილოვი.

— საქარ. ცენტრ. საკონტრ. კომისია სთხოვს ამხ. ილია გოგიაშვილს გამოცხადდეს 28 ნოემბერს დილის 9 საათზე. საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ., 24, მესამე სართული, ოთახი № 12)

— საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ორშაბათს, 28 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე საქ. ახ. ლ. კ. კ. საორგანიზაციო განყოფილების შენობაში მოწვეულია საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ როგორც კომისიის წევრები, ისე ის ამხანაგები, რომელთა განცხადებები დასამტკიცებლად გადაცემულია თბილისის კომიტეტზე.

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ-დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ორშაბათს 28 ნოემბერს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. თარხნიშვილთან:

შარიფ ახმედისძე მანაფოვი, ანდრო არკადისძე ბოგდანოვი, ალექსანდრე ვლადიმერისძე არლიაკოვი, კლემენტი ცომაია (დაბადების სოლარო), შალვა იაკობაშვილი, დარიო დავითისძე დაგბაშვი, კლემენტი იოსება, ივანე ჩებოტარევი, მირონ პეტრესძე ბაუმფილდი, ტ. გ. ცუცქირიძე, კოძოევი, გიორგი ლუკასძე ჩინკელი, პეტრე ანტონოვი, ისაკი ბლიუგლასი, სეიფულ გიორგაძე, ანდრო გრიგოლისძე ბლაგოტინი, ანდრო ნიკოლოზისძე ვასილევი, გრიგოლ ვასილისძე ზუბიაშვილი, აბრამ სოლომონისძე ვიშკოვეცკი, ლუკიანე ივანესძე დენისოვი, ნიკოლოზ გიორგისძე კახიაშვილი, ალექსი გაბრიელისძე ბასახიძე, პეტრე მიხეილისძე პეტროვი, რუბენ წერისისძე არუთინიანცი, ვასილი ივანესძე დერიბასი, იოსებ მიხეილისძე ნაუმჩიევი და კუზმა ბაგიროვ ძე ყუხიროვი.

იმ შემთხვევაში თუ ზემოხსენებული ამხანაგები თბილისში არ იმყოფებიან ვთხოვთ შეატყობინონ სათანადო პარტორგანიზაციებს ზეპირად ან სამსახურის მისამართი.

— ორშაბათს, 28 ნოემბერს, დილის 10 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკ. კომუჯრედის სხდომა.

საღამოს 6 საათზე კი შესდგება ზემოხსენებულ უჯრედის დახურული კრება.

წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ რაიკომის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩხაიძესთან: ივანე ადამია, ლევან კოდანოვი, გრიგოლ ცინცაძე, იაკობ გოლუა, ალექსანდრე ბასილაია, გიორგი კალანდაძე, არჩილ ბოჩაძე, პორფირე ჟორდანიანი, სოსო სიხაშვილი, სიმონ კაგემბლი, ტრიფონ ცაგარეიშვილი, პავლე სერდიუკოვი, სურენ ედიანი, სარა სტიუცკაია, არამ აბოიანი, ნიკოლოზ გოაშვილი, ანდრო ლომია, კონსტანტინე ჯებისაშვილი, ივანე ბურდიაშვილი, დომენტი მელაძე, მიხეილ იაკობაშვილი, მიხეილ ძევრულიძე, ევსტაფი დზაგოევი, ვალიკო სიხარულიძე, გრიგოლ კუკავაძე, ზაქარ. აიდაშვილი, მიხეილ ჩიკვიძე, ივანე ჭკვიანიძე, სიმონ ნ. ცინცაძე, ივანე ხუბულური, კორნელი ჩაჩავაძე, დიმიტრი ხვედელიაშვილი, ფ. კირკესალოვი, ერმ. კალანდაძე, გერასიმე ალბუთაშვილი, ნიკოლოზ კაბერაშვილი, ვასილ სკვორცოვი, ალექსანდრე გოგოლაძე, ალექსანდრე გოკიაშვილი, ნიკოლოზ ენუქიძე, ალექსანდრე კაზაროვი, მიხეილ ჩომახიძე, ისიდორე ბუტარინი.

# შრომის ბირჟაში

## მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ, ორშაბათს, შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევართ: კვალიფიციური მუშათა 1-ლი სექცია: ახა ფირალოვას და ვასილ ხელიევს. მედიკურ მუშათა სექცია: მარიამ ხარინოვას; შავ მუშათა მესამე სექცია: თევდორე რემიზევს, ხარიტინა ზამკოვას, პრასკოვია ივანიშჩევას, დარია კუდრიაშევას ელენე ავხოვას, ახა ვოროთილოვას, ნატალია ბერეჟანოვას და მარიამ ხარინოვას.

ა | კ. რკ. გზ. დამცველთა რაზმის და მე-2-ე რაიონის სამმართველო ადგილკომთან ერთად აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 25 ნოემბერს, საღ. 7 საათზე გარდაიცვალა დამსახურებული კაპელ მეისტერი

**მიხეილ დიმიტრის-ძე კაპანაძე**

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია საღ. 6 საათზე ყოველ დღე მე-2-ე რაიონის დაცვის რაზ. კლუბში, საბაჟოს ქ. № 6. დასაფლავება მოხდება სამშაბათს შუადღის 3 საათზე. (დ)

---

გულდათუთქულნი დედა სონა ალექსის ასული გიორგობიანის, მეუღლე მიტროფანე (მიტო) ენუქიძე, ძმები გრიშა, გიორგი (გოგა) და ნადია გიორგობიანები, ბიძაშვილი სარა ბაკურაძისა შვილით [illegible] იუწყებენ ნაცნობთ, მეგობრებს და ნათესავებს, რომ ა | წ. 25 ნოემბერს შუაღამის 2 საათზე ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

**ოლია ივანე გიორგობიანის ასული ენუქიძისა**

გამოსვენება მოხდება ა | წ. 27 ნოემბერს, კვირას დღის 1-ლ საათზე, საკუთარ ბინიდან (მაგისტრალური ქ. № 56, მე-11 სამილიც. უბანი). დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 605

---

გულდათუთქულნი: ბიძა ათანა, ბიცოლა ფეფიქო ხეჟაროვები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომ ა | წ. 25 ნოემბერს შუაღამის 2 საათზე ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

**ოლია ივანე გიორგობიანის ასული ენუქიძისა**

გამოსვენება ა | წ. 27 ნოემბერს, კვირას, დღით 1-ლ საათზე საკუთარ ბინიდან მაგისტრალური ქ. № 56 მე-11 სამილიციო უბანი, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 605

---

გულდამწვარნი: ბიძა ილიკო, ბიცოლა კატია სირაძეები შვილებით დათიკო (დათალო) და თინათინ ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომ ა წ. 25 ნოემბერს შუაღამის 2 საათზე ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

**ოლია ივანე გიორგობიანის ასული ენუქიძისა**

გამოსვენება მოხდება ა | წ. 27 ნოემბერს კვირას, დღის 1-ლ საათზე საკუთარ ბინიდან, მაგისტრალური ქ. № 56 მე-11 სამილიც. უბანი, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 605

---

გულმოკლულნი დეიდები: კატუშა ქმრით გიორგი სვანიძით, გალინა სირაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომ ა | წ. 25 ნოემბერს შუაღამის 2 საათზე ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

**ოლია ივანე გიორგობიანის ასული ენუქიძისა**

გამოსვენება ა | წ. 27 ნოემბერს, კვირას, დღის 1-ლ საათზე, საკუთარ ბინიდან, მაგისტრალური ქუჩა № 56 მე-11 სამილიციო უბანი. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 605

---

კომუნისტი
ხელისმოწერა მიიღება
თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34
პროვინციაში

1. ხაშურში—კონტრაგენტ ვალოდია კარსანიძესთან.
2. ჭიათურაში—კონტრაგენტ გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისში—კონტრაგენტ მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. სამტრედია—კონტრაგენტ ვლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
5. სენაკი—კონტრაგენტ ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. აბაშა—კონტრაგენტ მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. ფოთი—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში.
8. ბათუმი—ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მთელი აჭარისტანისთვის
9. ზესტაფონი, ჩხარი, ხვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძესთან.
10. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
11. ოზურგეთი—კონტრაგენტ პოლ. ინწკირველთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
12. თელავი—კონტრაგენტ რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
13. გორი—მაისურაძესთან.
14. სურამი—მუავანაძესთან.
15. სიღნაღი—კონტრაგენტ ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
16. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
17. სოხუმში—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში
18. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—კონტრაგენტ შიშნიაშვილი ესტატე
19. ბორჯომ-ბაღი—მაკაცარია
20. ნავთლუღი—კიოსკი.
21. ხონი—გალდავაძესთან.

და სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით

0—1 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

აპოლო
სოლეი
არტისტო
დარბაზი
0—18 ნ. 1388

სახკინმრეწვის თეატრები

პირველად თბილისში
დუგლას ფერბენკსი ამერიკულ სურათში
„ალან ფერგიუსონის სიზმარი"

„სოვკინოს" გრანდიოზული ფილმი
„პოეტი და მეფე"
რეჟ. ვ. გარდინის დადგმა.

საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული ფილმი
„იბრაგიმ და გოდერძი"

ანონსი: მალე საუკეთესო სურათი „კაცი და ლივრეა"

ცირკი
„კოლოს"
ტელ. 16—67

კვირას 27 ნოემბერს, საინტერესო სანახაობანი, მონაწილეობს დასი, ყველა ატრაქციონები და დამსხ. მსახ. ძმ. ტანტები.
გამოსვლა ბელგიელთა დასის 5 აუზონიო 5 რომის ასპარეზი!!
ცირკის კლოუნების კონკურსი 3 განყ. 14 ნომერი!!
კვირას 27-ს დღისით სანახაობა, საღამოს სრული პროგრამის მიხედვით დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე.

ნ. 272 1—1 დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებ. კ. გროდზინსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე.

სახელმწიფო
ოპერა

დღეს, კვირას 27 ნოემბ., სანდრო დოლიძის პირველი გამოსვლა
დემონი
მონაწ. მარკოვა, ხუმაროვა, კრუზო, დოლიძე, შარაშიძე. დირიჟორობს ა. შ. მელიქ-ფაშაევი.
სამშაბათს 29-ს კარმენ. ოთხშაბათს 30-ს პროფკავშირთა წევრებისათვის ხელმისაწვდომი წარმოდგენა: დუბროვსკი
ამ წარმოდგენაზე ბილეთები იყიდება მუშათა სალაროში.
ხუთშაბათს, 1 დეკემბერს სამსონ და დალილა. პარასკევს 2 დეკემბერს პრემიერა ლეილა. ბილეთები იყიდება
ნ. 263 2—1

თეატრი მინიატიურის და ატრაქციონის
„თემინიატი" ქართული სექტორი
რუსთაველის გამზირი 23 ყოფილ. „მუსიკ-ხოლის" შენობაში
სეზონის გახსნა. 1. „თემინიატი", 2. „ტელეფონთან", 3. „დეპუტატი და ქურდი". დასაწყისი 1 სეანსის 8 საათზე, 2 სეანსის 10 საათზე. ნ. 279

ოთხშაბათს
30
ნოემბერს

ანონსი:
მალე
კაცი
და
ლივრეა
სურათი „კაცი და ლივრეა" კრიტიკის უკანასკნელი დროის საუკეთესო დადგმათ არის ცნობ
ნ. 278

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის
ინსტიტუტში
ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. ტელეფ. 10—90
მიიღება ფასიანი ავადმყოფები
წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეტებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.
ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში
ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი
25—1 ნ. 288

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1.

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ. № 5 მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. 25—

ექიმი
ვლ. ა. თოხაძე
გადავიდა ალექსანდროვის ქუჩიდან ბესიკის (ყოფ. დავიდოვის) ქ. № 20.
ღებულობს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

განცხადებები
ექიმების, ბებია ქალების და საავადმყოფოებ სა—
დღეიდან
გაზ. „კომუნისტი"
დაიბეჭდება შეღავათიან ფასებში
დარეკეთ ტელეფ. № 8—81.
0—4 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

## ამხ. „ქართული წიგნი"-ს გამგეობა

აცხადებს, რომ 1927 წ. 27 ნოემბერს, დღით კვირას, საქართველოს მუზეუმის დარბაზში, კალოუბნის ქუჩა) დილის 10 საათზე შესდგება

**ამხანაგობის წევრთა წლიური საზოგადო კრება**

განსახილველი კითხვები:

1. მოხსენება გამგეობის მოღვაწეობის შესახებ და წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
3. მომავალი მოქმედების გეგმის განხილვა და დამტკიცება.
4. საპაიო თანხის შეკრების შესახებ.
5. ხარჯთ-აღრიცხვა.
6. მიმდინარე საკითხები.
7. არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

თუ დანიშნულ საათზე კრებაზე არ გამოცხადდა ამხანაგობის წევრთა რიცხვის ერთი მესამედი, მაშინ აღნიშნული კრება გადაიდება და ხელახლა გაიხსნება იმავე დღეს შუადღის 12 საათზე, და თანახმად ამხანაგობის წესდების 28 მუხლისა ეს უკანასკნელი კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. ნ. 275

განათლების კომისარიატი
მიხა ჩოდრიშვილის სახელობის
საბუღალტრო კურსები
ქართულ და რუსულ ენებზე
ახალი ჯგუფისათვის სწარმოებს მიღება ან მდივანთან ხელოსანთა კლუბში, პლეხანოვის პრ. № 66, ან კურსების გამგე იოვანე ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვთან, ბოჭორიშვილის (1-ლი თუმანოვის) ქ. № 13. 602

## გოგია პიგაროვის საყურადღებოდ

უკანასკნელ წინადადებას გაძლევ გამომყვე სამედიატორო სასამართლოში—(ჩვენი შენთან არსებულ ანგარიშების გასასწორებლად) ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა აირჩიე ორი კაცი და გვაცნობე მათივე პირით, დრო და ადგილი სანოტარო კანტორისა, სადაც დახვდებიან ჩემ მიერ არჩეული კაცები ხელშეკრულების ხელმოსაწერად.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემს მიერ სათანადო ზომები იქნება მიღებული.

609 **ი. ჩიტიოშვილი.**

სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტომატოლოგიურ
(კბილის სნეულებათა)
კლინიკაში
ავადმყოფების მიღება 1 ნოემბრიდან იწარმოებს
დილით 8—12 საათამდე
საღამ. 4— 6 საათამდე
საღამოობით რჩევა-დარიგება უფასოა.
მკურნალობა დაკლებულ ფასებში
კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხანოვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34.

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. კონტოროვიჩი
მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე
კოსმეტიური მასაჟი და პირის კანის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფრეილინის). 25—1

# ვინაიდან მომავალ ზამთარში

მოსალოდნელია ყინვები,

წყალსადენის **ყველა აბონენტებს** (სახლის პატრონებს)

**მოვაგონებთ,** რომ თანახმად არსებული წესისა

**მათ ევალებათ** წყალსაზომების ყინვებისაგან დაცვას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, რისთვისაც საჭიროა:

შეაკეთონ წყალსაზომების ქის ხუფები და მუდამ დახურული იქონიონ.

2. შეახვიონ მილები და გვერდებიდან წყალსაზომი ერთიანად მაუდით ან რაიმე თბილეულით და ზევიდან საზომის ხუფსაც დააფარონ ცალკე თბილი ნაჭერი, რომ ჩვენების აღების დროს შეიძლებოდეს მისი აღება.

3. ღამ-ღამობით, დიდი ყინვის დროს, საზომის წინ დაკეტოს ბოჯი და დამხარჯი ბოჯის საშუალებით შტოდან გამოუშვან წყალი.

ამ საკითხის გარშემო ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლიან მიიღოს რჩევა-დარიგება წყალსადენის ტექნიკურ ნაწილში და აგრეთვე ადგილობრივ რაიკონტროლიორისაგან რაიონში ჩამოსვლის დროს.

წყალსადენი ამითვე მოაგონებს ყველას, რომ იმ სახლებში, სადაც ყინვისაგან წყალსაზომები და არმატურა გაიბზარებიან, აბონენტ-სახლის პატრონებს გადახდებათ სრული ღირებულების საფასური და ამის შესახებ აღძრული რაიმე დავა არ იქნება განხილული.

ნ. 276 3—1 **წყალსადენის დირექცია**

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოევ") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—13

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ნაწილებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი მეზრაბიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
[illegible] სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 28. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ. 2—5

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით
მიღება საღამოს 5—8 საათამდის ნ. 25—1

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნ.ს. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

ექიმი
ზ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3, 25-

დაიკარგა პარტბილეთი № 0863912 კოტე ყარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 610

დაიკარგა სამთო-მადნო პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 590511 სიმონ ივანეს-ძე ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 606

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 362 ათანასე სტეფანეს-ძე ჩილუნძის სახელზე, ჩ. გ. 608

დაიკარგა კავშირგაბმულობის კავშირის საწევრო წიგნაკი № 98474, ლევან ღლონტის სახელზე, ჩ. გ. 604

დაიკარგა საალრიცხვო ბარათი კარლო ძინარიშვილის სახელზე, ჩ. გ 601

პოლიგრაფტრესტის მე-ბ-ე სტამბა, კამოს ქ. № 68